ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 21 ნოემბერი, 2013 №276 (6277) ფასი: 30 თეთრი

21 ნოემბრიდან!
„ახალი თაობა“ +
საოჯახო ტომი 11
სამზარეულო
2 ლარი და 60 თეთრი




# მიხეილ სააკაშვილსა და ლეხ კაჩინსკიზე თავდასხმა ხელახლა იქნება გამოძიებული



გვ.3 ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოში ხელშეუხებელი მინისტრები აღარ იარსებებენ“

## რა შეცდომები დაუშვა მარგველაშვილმა

გვ.4

სოსო შატბერაშვილი: „სააკაშვილს ნუ ეხუმრებიან. ის იმდენად ვერაგი პიროვნებაა, ამის შემდეგ ჩაიცვამს გახეხილ ჯინსებს და „ბოტასებს“, დადგება ხალხში და მთავრობის კრიტიკას დაიწყებს. მას მალევე შეუძლია აკრიფოს ისევ რეიტინგი“.



## ნანა კაკაბაძე: „აღიარონ ნაციონალებმა, რა ფასად გადასცეს აფხაზეთი და სამაჩაბლო“

გვ.2





გვ.6

## შოთა უტიაშვილი: „ვანო მერაბიშვილი გამართლდება“

### არჩილ კბილაშვილი თანამშრომლებს გამოემშვიდობა



გვ.3



გვ.5

### მამუკა გვაჟავა: „აფხაზეთის დეპუტატებს უფლებამოსილება უნდა შეუწყდეთ“

### ხათუნა ოჩიაურმა ირაკლი ღარიბაშვილს ტონი დაუწუნა



გვ.6



გვ.6

### პეტრე ცისკარიშვილი: „ხელისუფლებას განსხვავებული აზრის მოსმენა არ შეუძლია“

### გუბაზ სანიკიძე: „ნაციონალებისგან ვისწავლეთ, როგორ არ შეიძლება მართო ქვეყანა“

გვ.4



ISSN 1987-9385

4 დავით ბაქრაძე: „ახალი მთავრობა უფრო დიდი გამოწვევების წინაშეა, ვიდრე ერთი წლის წინ იყო“

7 ახალი პრემიერი ვილნიუსის სამიტს არ დაესწრება

6 „საქართველოს სამეფო ოჯახი“ განცხადებას ავრცელებს

7 კახა კუკავა: „ხელისუფლებას თვითმმართველობის რეფორმის საკუთარ ინტერესებზე მორგება სურს“

# ნანა კაკაბაძე: „აღიარონ ნაციონალებმა, რა ფასად გადასცეს აფხაზეთი და სამაჩაბლო“

ნონა ცაბაძე

ახალი პრემიერ-მინისტრის პარლამენტში გამოსვლას უამრავი შეფასება მოჰყვა. საზოგადოების ძირითადმა ნაწილმა მისი გამოსვლა დადებითად შეაფასა, თუმცა იყო კრიტიკული შეფასებებიც. უფლებათა დამცველი ნანა კაკაბაძე მიიჩნევს, რომ ღარიბაშვილის პაექრობა უმცირესობასთან საკმაოდ სუსტი იყო, მას ძალიან ხშირად უწევდა თავის მართლება და ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ ახალმა ხელისუფლებამ ამ კრიმინალურ ბანდას თავისი სახელი არ დაარქვა, რომ არ მოხდა რეჟიმის გასამართლება.

„ახალი თაობა“ უფლებათადამცველ ნანა კაკაბაძეს ესაუბრა:

***— ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლას პარლამენტში საზოგადოების დიდი ნაწილი დადებითად აფასებს, როგორია თქვენი, როგორც უფლებათა დამცველის შეფასებები? რა მესიჯები ამოიკითხეთ?***

— არ ვიცი, ალბათ, სხვადასხვა შეხედულებები არსებობს მინისტრის ამ გამოსვლასთან დაკავშირებით და ალბათ ყველამ თავისი კუთხიდან შეხედა ამ საკითხს. მეც, როგორც უფლებადამცველმა, ამ მიმართულებით დავიწყე მისი გაანალიზება. მოდით, დავიწყოთ იმით, რომ პრემიერ-მინისტრს დაუსვა ნაციონალურმა მოძრაობამ ასეთი კითხვა, თუმცა ძალიან უზრდელური ფორმებით, ისეთი, როგორიც მათ ახასიათებთ, ცინიკური და უზრდელური ფორმებით, მაგრამ საინტერესო კითხვა, რომ რა მიგაჩნიათო თქვენი მოღვაწეობის პერიოდში თქვენს შეცდომადო და მე ვფიქრობ, რომ არასაკმარისად უპასუხა პრემიერ-მინისტრმა.

***— თქვენი აზრით, რა უნდა ეპასუხა?***

— მას რომ ეპასუხა — თავის მთავარ შეცდომად თვლის იმას, რომ დღეს ეს კრიმინალური ბანდა ზის პარლამენტში და არა იქ, სადაც ისინი უნდა ისხდნენ. მიუხედავად საზოგადოების დაკვეთისა და საზოგადოების მოთხოვნისა, რომ სამართლიანობა აღდგეს, ყველა დამნაშავე უნდა ყოფილიყო დასჯილი და ის პოლიტიკური გუნდი, რომელმაც შექმნა ეს დანაშაულებრივი სისტემა, ამისი შეფასება უნდა მომხდარიყო და ამას უნდა მისცემოდა თავისი კვალიფიკაცია, ეს არ გააკეთა არც შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის კომპეტენციაში და არც პარლამენტმა, სწორედ ეს არის დღევანდელი ხელისუფლების მთავარი შეცდომა. შეიძლება ითქვას, ხალხის წინაშე დანაშაულია, ამაზე ღარიბაშვილმა შეგნებულად თუ შეუგნებლად პასუხს თავი აარიდა და მისცა პასუხი, რომელიც აბსოლუტურად არასაკმარისი არასწორი იყო.

***— თქვენ ფიქრობთ, ამაში ჩაიჭრა პრემიერი თუ რას გულისხმობთ?***

— მე ვგულისხმობ იმას, რომ არ მოხდა შეფასება იმ სისტემური დანაშაულობებისა, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ქვეყანაში ჩადიოდა და რა სისტემაც მან დანერგა. ერთადერთი პოლიტპატიმრების საკითხი იყო, როდესაც იქნა პარლამენტის მიერ აღიარებული პოლიტპატიმრების არსებობა და ეს ერთადერთი სწორი ქმედება იყო ხელისუფლების და პარლამენტის და აქაც, როდესაც პრემიერს დაუსვეს კითხვა, რომ სკელნიკოვის პოლიტპატიმართა სიაში ყოფნას როგორ უყურებთ და რატომ იყო ის პოლიტპატიმართა სიაშიო? რატომღაც ღარიბაშვილმა ჩათვალა საჭიროდ, რომ ამაზე თავის მართლება დაეწყო ნაციონალების წინაშე. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი იყო არა მარტო ის, რომ ის



არ იყო კვალიფიციური ამ საკითხში, მას ალბათ არც უნდა ჰქონოდა ეს კვალიფიკაცია და ამიტომ პასუხიც არაკვალიფიციური ჰქონდა. მე აქ იცით რა არ მომეწონა? ის, რომ კითხვა არ გაუჩნდა ღარიბაშვილს, რა საქმე უნდა ჰქონოდა შინაგან საქმეთა მინისტრს პოლიტპატიმართა სიებთან, ან პოლიტპატიმრის სტატუსთან დაკავშირებით. მან ფაქტიურად შეიფერა ის როლი, რომ როგორც ნაციონალური მოძრაობის დროს ხდებოდა, ყველაფერი ვანო მერაბიშვილის და ადეიშვილის კაბინეტებში წყდებოდა, მასაც ასე გამოუვიდა. თურმე ვინ მოხვდებოდა პოლიტპატიმართა სიებში და ვინ არა, ეს უნდა გადაწყვეტილიყო ღარიბაშვილის კაბინეტში?! თუ არა და რატომ იმართლებდა თავს გვარებთან დაკავშირებით! ეს იყო ჩემთვის ძალიან ცუდი ნიშანი. ძალიან ცუდი სიგნალი იმისა, რომ მან ნორმად ჩათვალა ეს, ანუ შინაგან საქმეთა მინისტრი უნდა ერეოდეს იმაში, თუ ვის ჰქონდეს პოლიტპატიმრის სტატუსი და ვის არა.

***— თქვენი აზრით, არ უნდა ეპასუხა ახალ პრემიერს ამ კითხვაზე?***

— მას იქით უნდა შეებრუნებინა კითხვა და უნდა ეკითხა ნაციონალებისთვის — ჩემთან რატომ არის ეს კითხვა? მე რა შუაში ვარ პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით, ან მე რა პასუხი უნდა გაგცეთ იქ კომისიამ და პარლამენტმა ვინ შეიყვანა ამ სიაში? აი, ასე უნდა ეპასუხა, მას და თუ მაინცდამაინც პასუხი უნდოდათ მისგან, უნდა ეთქვა, რომ ეს იყო პოლიტიკური საქმეები, რომლებშიც გადიოდა ათეულობით ადამიანი და თუ ის გვარი, რომელიც თქვე დაასახელეთ ამ პოლიტიკურ საქმეში იყო, როგორ უნდა მომხდარიყო ამ გვარის ამოღება პოლიტიკური საქმიდან? ეს ჰკითხეთ კომისიას და ეს ჰკითხეთ პარლამენტს! მე რა შუაში ვარო — აი, რა უნდა ეპასუხა. ან რატომ არ იგრძნო დისკომფორტი, როდესაც მას ეკითხებოდნენ იმას, რაშიც ის არც არასოდეს არ უნდა ჩარეულიყო და თუ ის ამ საკითხებში ერეოდა, მე ნამდვილად მაინტერესებს, გავარკვიო ქალბატონ ეკა ბესელიასთან ერეოდა თუ არა ღარიბაშვილი პოლიტპატიმართა სიის შედგენაში და რატომ ჩათვალა მან საჭიროდ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ეს ჩემთვის ძალიან უსიამოვნო მომენტი იყო.

***— თქვენ ბრძანეთ, რომ ღარიბაშვილი კრიტიკული არ იყოო, თუმცა მან ასე მიმართა ნაციონალებს“ — თქვენი რეჟიმი იყო ნეოფაშისტური წარმონაქმნი, რომელმაც 300 ათასი ადამიანი გაასამართლა...***

— კი, ეს თქვა. თუმცა ერთია ამის თქმა და მეორეა ის, რომ სახელმწიფო დონეზე არ მომხდარა ამის აღიარება. პარლამენტის მხრიდან არ მომხდარა შეფასება, რომ ეს იყო დანაშაულებრივი რეჟიმი. ყველანი ციხეში, ნულოვანი ტოლერანტობა, რასაც მოჰყვა შედეგად 300 ათასზე მეტი ადამიანის გასამართლება და თითქმის ყველა მეორე ოჯახს ყავდა პატიმარი, ან ქვეყნიდან გაქცეული, ან პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გამოყრილი ადამიანები. ქონება წართმეული, ღირსება აყრილი, ბიზნეს ჩამორთმეული ადამიანები და რომ ამას არა აქვს დღემდე მიცემული შეფასება, რომ არავინ ლაპარაკობს იმაზე, რომ ეს იყო სისტემური დანაშაული, აი, მას შეეძლო ეთქვა, რომ მეც მიმიძღვის წვლილი იმაში, რომ არ მოხდა ამ მტკიცებულებების დადება. ის, რაც იყო საზოგადოების დაკვეთა რომ ვერ შესრულდა, რომ ვერ მოხდა ამ რეჟიმის გასამართლება და შეფასება, უნდა განეცხადებინა, რომ მასაც ჰქონდა ამაში თავისი წილი პასუხისმგებლობა. სწორედ ამ პასუხს ველოდი, მე ირაკლი ღარიბაშვილისგან და არა იმას, რომ ვინ უნდა ყოფილიყო სიებში, ეს უნდა განესაზღვრა შინაგან საქმეთა მინისტრს. ეს არის ძალიან საგანგაშო. რაც შეეხება იმას, რომ 300 ათასზე მეტი ადამიანი ჰყავდათ დაპატიმრებული და გასამართლებული, სწორედ ნაციონალური მოძრაობა აქეთ უნდა უბრუნებდეს კითხვებს, რომ — მერე ამაზე პასუხი რატომ არ მოსთხოვა ქართულმა ოცნებამ ნაციონალურ მოძრაობას? სწორედ იმიტომ ხომ არა, რომ ნაციონალური მოძრაობის გარკვეულ ჯგუფებთან და წარმომადგენლებთან, როგორც საზოგადოებში არის გავრცელებული, არის ძალიან კოაბიტაციური თუ რაღაცა გარიგებული ურთიერთობები და ამის შედეგი ხომ არ არის ის, რომ ხდება მათი დანაშაულობების დაფარვა. პლუს ის, რომ დასავლეთი, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ჰქონდა ბინძური თუ პირადი ინტერესები, ისინი ხელს აფარებდნენ სწორედ ამ დანაშაულებრივ რეჟიმს. ერთი მხრივ, ქართული ოცნება კოჰაბიტაციურ რეჟიმში მშვენივრად გრძნობს თავს და მეორე მხრივ, აქვთ ზეწოლა დასავლეთიდან. ამ ყველაფერმა კი გამოიწვია, ის, რომ საზოგადოება დარჩა მოტყუებული სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით. მე არ ვიცი, უახლოეს პერიოდში დადგება თუ არა ის დრო, როდესაც სამართლიანობის აღდგენა დაიწყება. რაც უფრო მეტად გადის დრო, მით უფრო მცირდება, ნელდება მტკიცებულებები ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ და ეს, რა თქმა უნდა, ნაციონალების წისქვილზე ასხამს წყალს.

***— როგორც უფლებათა დამცველმა, რა ამოიკითხეთ ღარიბაშვილის განცხადებებში, რომ არ შეფასდება რეჟიმი? არ მოხდება სამართლიანობის აღდგენა?***

— მე არ მაინტერესებს შერჩევითი სამართალი, რომ ვიღაცა დაისაჯოს და ვიღაცა გარიგებული დარჩეს დაუსჯელი. ჩვენ მოვითხოვდით სამართლიანობის აღდგენას. ახლა შემოდის ტერმინი — სამართლიანობის დამკვიდრება. დამკვიდრება კიდევ სხვა რაღაცაა. შეიძლება დღეიდან დავიწყოთ ჩვენ სამართლიანობის დამკვიდრება. ჩვენ, რომლებიც შემოვედით ამ პოლიტიკურ არენაზე აი, ამ მოთხოვნით, რომ სამართლიანობა უნდა აღდგეს, ჩვენ გააზრებული გვქონდა ამ ტერმინის შინაარსი. ჩვენ ამაში სამართლიანობის დამკვიდრებას კი არ ვგულისხმობდით, არამედ ჩვენ მოვითხოვდით აღდგენას. ეს აღდგენა გულისხმობს იმას, რომ ვისაც ამ 9 წლის განმავლობაში დაერღვა სამართლიანობა, ვის წინააღმდეგაც ხელისუფლებამ დაარღვია სამართლიანობა, მას უნდა აღვუდგინოთ. კი ბატონო, დავამკვიდროთ კიდეც სამართლიანობა თუ გინდათ სამარადჟამოდ, მაგრამ აღდგენით უნდა დავიწყოთ. უნდა დავიწყოთ იმ ადამიანების, იმ დაჩაგრული ადამიანების უფლებების აღდგენით, რომელიც 9 წლის განმავლობაში დაარღვია ნაციონალურმა მოძრაობამ. ამიტომ სწორედ ეს ვერ ამოვიკითხე მე, თორემ ის, რომ ვიღაცა დროებით გისოსებს მიღმა აღმოჩნდება, მერე გათავისუფლდება და ამითი დაზარალებული ადამიანები არაფერს არ იგებენ, ეს სულაც არ არის ჩემს ინტერესებში, ვიღაცების ციხეში აღმოჩენა. ჩვენ გვაინტერესებს, რომ აღუდგეს უსამართლოდ დაჩაგრულ მოქალაქეებს თავიანთი უფლებები. რა იქნება დღეის ამას იქით ამ კუთხით, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ჯერ გაფუჭებული უნდა გამოვასწოროთ. ასეთი ტოტალური უფლებების დარღვევა, რაც ამ 9 წლის განმავლობაში იყო, არ ყოფილა საბჭოთა კავშირის დაშლის მერე. არამც თუ საბჭოთა კავშირის დაშლის, 30-იანი წლების მერე ასეთი რამ არ ყოფილა.

***— რაც შეეხებათ ნაციონალებს, ვხედავდით, როგორი თავხედური ტონი და კითხვები ჰქონდათ მათ. როდესაც ღარიბაშვილი საუბრობდა მათ კორუფციულ კავშირებზე და დანაშაულობებზე, იყო ასეთი რეპლიცა — ასეთი რომელი ერთი დანაშაული დაგვიმტკიცეთო...***

— აბსოლუტურად ლოგიკური და სწორი იყო. ისინი არიან დემაგოგები, ისინი არიან პოლიტიკურ მაქინაციებში გაწაფულები, როგორც სიტყვით ისე საქმით. ახალი ხელისუფლება კი ჯერჯერობით გამოუცდელია. გამოუცდელები არიან თუნდაც საუბრის დონეზეც და მაშინ, როდესაც ნაციონალურმა მოძრაობამ იგრძნო, რომ მათ აქვთ გარკვეული გარანტიები ხელშეუხებლობის, თუნდაც კრიმინალური დანაშაულის შემთხვევაში, ჩვენ ვნახეთ, რომ გივი თარგამაძეც კი ბედავდა იქ საუბარს. გივი თარგამაძე, რომელზედაც სხვა რომ არაფერი, ვიდეოებიც კი არსებობს მის მიერ ჩადენილი არაერთი დანაშაულისა. ასევე გიორგი ბარამიძე, მარტო სვანეთი ეყოფოდა მას დანაშაულად. ის ესაუბრებოდა ღარიბაშვილს და ის იყო რიხით. არ ვიცი, ამ ხელისუფლებას თავმოყვარეობა არ გააჩნია?! თუ არ შეეძლოთ ამ ადამიანებს დამნაშავეების დასჯა, თუ არ შეეძლოთ სამართლიანობის აღდგენა, რისთვის მოდიოდნენ ხელისუფლებაში? კოაბიტაციას და შეგუებას კრიმინალთან, ჩვენ მაგათ გარეშეც ვახერხებდით, სხვათა შორის. ვისაც არ უნდოდა, რომ შეგუებოდა, ის თავსაც იტეხავდა მიტინგზე, თვალებსაც ითხრიდა და ღირსებას ასე იცავდა. დღეს ამათმა აიღეს თავის თავზე, ამ ღირსებას ჩვენ დავიცავთო, სამართლიანობას ჩვენ აღვადგენთო და გამოვიდა ისე, რომ იმ ღირსეულ ადამიანებს, რომლებსაც არ უნდოდათ რეჟიმთან შეგუება, ეს ადამიანებიც გააჩერეს. ვართ მოლოდინის რეჟიმში და ფაქტიურად ღირსებაშელახულები ვუყურებთ ეკრანიდან აი, ამ უღირს ნაციონალებს, როგორ ბედავენ კიდევ ამ ტონით საუბარს. გახვალ გარეთ, გააპროტესტებ და უკვე ღარიბაშვილის პოლიციელს უნდა დაეჯახო და არა მერაბიშვილისას, რაც თავისთავად დისკომფორტს გიქმნის, რადგან ჩვენ ყველანი ჩართულები ვიყავით ამ რეჟიმის შეცვლაშიო და ახლა ჩვენ მიერ გუშინ მოყვანილ ხელისუფლებას დღეს დაუპირისპირდე ისევ მიტინგით და აქციებით და ჩავარდე არასასურველ მდგომარეობაში. არადა, ეს ახალი ხელისუფლება იმ უმთავრეს მოთხოვნას სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით და მათ დაპირებას, რომ აღადგენდნენ, არ ასრულებს.

***— ალბათ, არასამთავრობოებსაც გექნებათ კითხვები ახალ პრემიერთან.***

— ძალიან კარგი იქნება, თუ ის სამოქალაქო სექტორსაც შეხვდება. სხვათა შორის, ივანიშვილი აქტიური იყო სამოქალაქო საზოგადოებასთან შეხვედრების დროს და მე იმედი მაქვს, რომ ღარიბაშვილიც ასე დაიწყებს თავის კარიერას. ვფიქრობ, რომ შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოებას და რა კითხვებიც გაგვაჩნია მის მიმართ, მას უნდა ჰქონდეს პასუხები არა მხოლოდ ამ ბინძური პოლიტიკური ძალისთვის, რომელთანაც მან გამართა კითხვა-პასუხის რეჟიმში საუბარი, არამედ სამოქალაქო საზოგადოებასთანაც. რადგანაც ჩვენც გვაქვს კითხვები, ივანიშვილი წავიდა ერთ წელიწადში, ისე, რომ ხალხმა გამოფხიზლებაც ვერ მოასწრო და დღეს, როდესაც მოვიდა ახალი პრემიერ-მინისტრი, ჩვენ გვაინტერესებს, ის როგორ აპირებს სამართლიანობის აღდგენას? მოხდება თუ არა იმ პროცესის დაწყება და დასრულება, რასაც პარლამენტის მხრიდან ჰქვია რეჟიმის გასამართლება, როგორ შეუწყობს ის ამ პროცესს ხელს და ასე შემდეგ. ძალიან ბევრი კითხვაა, რომელიც ჩვენ მის წინაშე გაგვაჩნია და მე იმედი მაქვს, რომ ასეთი შეხვედრა მოხდება. ძალიან ბევრი რამ არ თქმულა გუშინდელ შეხვედრაზე. რატომ არ ჰკითხა ღარიბაშვილმა ნაციონალებს, რა ფასად გაიყიდა საქართველოს ტერიტორიის ის 20%, რომელიც რუსეთს გადასცა მათმა ხელისუფლებამ. როგორც ჩანს, ეკონომიკის სამინისტროს ჯერ არ აქვს ამის თაობაზე ზუსტი ინფორმაცია.

## ზურაბ აბაშიძე დღეს გრიგორი კარასინს შეხვდება



რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლი ს, ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინის მორიგი შეხვედრა პრაღაში დღეს, 21 ნოემბერს გაიმართება. მხარეები განვლილი ერთი წლის მუშაობის შედეგებს შეაჯამებენ და სამომავლო გეგმებს დასახავენ.

ასევე ცნობილია, შეხვედრის მონაწილეები რუსეთში საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობისათვის მსჯავრდებულთა გათავისუფლების საკითხზეც იმსჯელებენ.

როგორც ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, ეს თემა „უკვე დაიძრა“.

„წმინდა იურიდიული ასპექტებია განსახილველი. ვფიქრობ, ჩვენი იურისტები მათ პოზიციას კარგად შეისწავლიან, კარგად მოემზადებიან და აქაც რაღაც პროგრესი გვექნება“, — აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.

მისივე თქმით, თავდაპირველად შედგენილი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები თითქმის ამოიწურა.

„ჩვენი პროდუქცია რუსულ ბაზარზე დაბრუნდა. ახლა შემდგომ ეტაპზე უნდა ვიფიქროთ, თუ რა თემები განვიხილოთ. ეს საკითხები ალბათ ისევ ამ სფეროებთან: სავაჭრო-ეკონომიკურ, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სფეროებთან იქნება დაკავშირებული. საუბრი ვიზებზეც გვექნება და გავარკვევთ, რა სტადიაშია ამ საკითხის განხილვა“, — აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მიხეილ სააკაშვილსა და ლეხ კაჩინსკიზე თავდასხმა ხელახლა იქნება გამოძიებული

## ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოში ხელშეუხებელი მინისტრები აღარ იარსებებენ“

შორენა მარსაგიშვილი

ძველი მინისტრებისგან დაკომპლექტებულ ახალ მთავრობას ამინდი არამეგობრულად დახვდა. ქუთაისურმა ქარმა პარლამენტის შენობის წინ აფრიალებული საქართველო-ევროკავშირის დროშები დახია. აშარმა ქარმა ესეც არ იკმარა და პარლამენტში შესასვლელი კარის შუშებიც ჩალეწა. მოძალებულ სტიქიას ახალი მთავრობა არ შეუშინდა და ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტს მთავრობის ახალი პროგრამა გააცნო.

წინა დღეს მან და მისმა მინისტრებმა უმცირესობასთან გამართეს შეხვედრები. სხვა მინისტრებისა რა გითხრათ, მაგრამ ახალმა პრემიერმა თავისი პასუხებით გვარიანად გაამწარა ნაციონალები. ნაცმოძიც მოწოდების სიმაღლეზე იყო, მაგრამ ღარიბაშვილმა უმცირესობას რამდენჯერმე აუღებელი დაურტყა.

უმცირესობამ მას სიტყვა-პასუხიც დაუწუნა და ზრდილობაც. ესეც არ იკმარეს და ერს დაუფარავად მიახალეს პირში, ახალ მთავრობას მხარს არ ვუჭერთო. ერს და მთავრობას ამის გამო ლაწვები არ დაუხოკია, რამეთუ ნაცმოძის მხარდაჭერის გარეშეც შეეძლოთ მეოცნებე დეპუტატებს ახალი მინისტრთა კაბინეტის დამტკიცება.

მართალია ნაცმოძი ახალ მთავრობას მხარს არ უჭერს, მაგრამ პროგრამას მაინც შეავლო თვალი. ჩვენში, როგორც წესი, მთავრობის პროგრამას არავინ არ უსმენს, მათ შორის არც დეპუტატები. ამ მხრივ თავი არც „ქართული ოცნების“ წევრებმა გამოიჩინეს.

ეს ამბავი არ გამოეპარა გოგა ხაჩიძეს. მან ფეისბუქის მეშვეობით გააუწყა, რომ პარლამენტში მინისტრთა ახალი კაბინეტის პროგრამაზე უფრო მეტი ყურადღება ენერგეტიკის მინისტრობის კანდიდატის, კახა კალაძის ნარუჯმა მიიპყრო.

– პარლამენტში კალაძის „ზაგარზე“ უფრო მეტი ადამიანი ლაპარაკობს, ვიდრე ახალი კაბინეტის პროგრამაზე. (მარტო დეპუტატებს არ ვგულისხმობ), – დაწერა ხაჩიძემ.

ხაჩიძისგან განსხვავებით კალაძის „ზაგარი“ საერთოდ არ აინტერესებდა ახალ პრემიერს. მას სამთავრობო პროგრამა ჰქონდა წარსადგენი და ცოტა ღელავდა. ამბობს, რომ მისთვის ქვეყნის პრემიერობა დიდი პატივია. გვპირდება, რომ ამ ნდობას აუცილებლად გაამართლებს.

– ბიძინა ივანიშვილმა და კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გამომიცხადეს ნდობა. ვიყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ძალიან დიდი პატივია და ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობა. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს დიდი ნდობა გავამართლო და თავდაუზოგავად ვემსახურო ჩვენს ქვეყანას. პრეზიდენტად ავირჩიეთ გიორგი მარგველაშვილი, რითაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა მხარი დაუჭირა „ქართულ ოცნებას“ და ძირეული რეფორმების განხორციელებას. გასული ერთი წლის განმავლობაში, რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, კოჰაბიტაციის პირობებში, რომლის პრეცედენტიც ჩვენს ქვეყანას არ ჰქონია, ჩვენმა გუნდმა შეძლო ძალიან მნიშვნელოვანი დაპირისპირების და ანგარიშსწორების თავიდან აცილება. ეს იყო ჩვენი გუნდის პოლიტიკური ნება. ამ ერთი წლის განმავლობაში, „ქართულმა ოცნებამ“ ყველას დაანახვა, რომ საქართველოს ადგილი ცივილიზებული ქვეყნების გვერდითაა. ჩვენ ჩავატარეთ ცივილიზებული არჩევნები და ძალიან მიხარია, რომ ამ არჩევნებს ძალიან კარგი შეფასება მოჰყვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ქვეყანა მმართველობის ახალ ეტაპზე გადავიდა და ჩვენს გუნდს კარგად აქვს გაცნობიერებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ახალი მმართველობის პირობებში ჩვენს გუნდს აქვს დაკისრებული, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

სამთავრობო პროგრამის წარდგენისას მან ყურადღება პოლიციის სამომავალო საქმიანობაზეც გაამახვილა. პრემიერმა სიამაყით აღნიშნა, რომ 2012 წლის ნოემბრიდან პოლიცია გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან და ჩამოყალიბდა ორგანიზაციად, რომელიც ხალხის სამსახურში დგას.

– პოლიციის ძირითადი მიზანი იქნება მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა და განმტკიცება. შს სამინისტრო გააგრძელებს დეპოლიტიზების აღებულ კურსს. პოლიცია თავის საქმეს წარმართავს კანონის დემოკრატიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვით. პოლიციასა და საზოგადოებას შორის ნდობის გაზრდა და თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება შს სამინისტროს ერთ-ერთი დიდი პრიორიტეტი იქნება, გაიზრდება საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის შესაძლებლობები, აშენდება და ექსპლუატაციაში შევა პოლიციის და მათ შორის, საპატრულო პოლიციის ახალი შენობები, საპატრულო პოლიცია აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, გაუმჯობესდება კრიმინალური ექსპერტიზის შესაძლებლობები, – განაცხადა ყოფილმა შს მინისტრმა.

მთავრობის მეთაური გვპირდება, რომ ყველაფერი გაკეთდება, რათა პროკურატურისადმი საზოგადოების ნდობა ამაღლდეს. ამ მხრივ მთავრობას მართლა ბევრი მუშაობა მოუწევს.

– პროკურატურის ფუნქცია იქნება საზოგადოების დაცვა დანაშაულისაგან, ბრალდებულისა და მსჯავრდებულის, ასევე, დაზარალებულის კანონიერი უფლებების დაცვა და საგამოძიებო ორგანოს მართლზომიერი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მათი საქმიანობის ზედამხედველობის გაგრძელება. პროკურატურის დეპოლიტიზაციის პროცესისთვის ნაბიჯები უკვე გადაიდგა და ის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში სამართალდაცვით ორგანოდ ჩამოყალიბდა, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა პირობა მოგვცა. რომ საქართველოში დამნაშავეები სათანადოდ დაისჯებიან და აღარც დაუსჯელი მინისტრები გვეყოლება.

– ამ ერთი წლის განმავლობაში წინა მთავრობის თითოეულმა წევრმა დაამტკიცა, რომ კარგად აქვს გაცნობიერებული პარლამენტთან და ხალხთან ანგარიშვალდებულება. ჩვენმა გუნდმა დაამსხვრია ის მავნე ტრადიცია, როდესაც მთავრობას ჰყავდა გამორჩეული და ხელშეუხებელი მინისტრები, რომლებიც არაფრად აგდებდნენ პარლამენტს და ხალხს. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს საშიშროება აღარ არსებობს, – აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

ღარიბაშვილი ასევე გვპირდება, საჯარო მოხელის დანიშვნა-გათავისუფლება პოლიტიკაზე დამოკიდებული აღარ იქნება. მისი თქმით, მთავრობა დონორების დახმარებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილებებს განახორციელებს, სადაც მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები ზუსტად განისაზღვრება.

– შეიქმნება საჯარო სამსახურის ისეთი მოდელი, სადაც საჯარო მოხელის დანიშვნა-გათავისუფლება პოლიტიკაზე დამოკიდებული აღარ იქნება. ხელისუფლების შეცვლა საჯარო სამსახურიდან კადრების დათხოვნას აღარ გამოიწვევს. კანონით ზუსტად განისაზღვრება მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები. დონორთა დახმარებით უკვე მუშავდება საჯარო სამსახურის კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედება ახალ კანონს „საჯარო სამსახურის შესახებ“. მთავრობის პრიორიტეტი ადამიანის უფლებების დაცვაზე იქნება ორიენტირებული, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ყველა უმცირესობის დაცვის კუთხით მთავრობა დაამტკიცებს ადამიანის უფლებათა სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას.

– გაგრძელდება ეროვნული უმცირესობების აქტიური ჩართვა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ხელი შეეწყობა სახელმწიფო ენის შესწავლის პროცესს, ყველა მსურველს მიეცემა სახელმწიფო ენის შესწავლის შესაძლებლობა. ხელი შეეწყობა ასევე ეროვნული უმცირესობების ენის, კულტურის, ღირებულებების დაცვას, – ამბობს პრემიერი.

სამთავრობო პროგრამა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთსაც ეხება. მთავრობის მეთაურის თქმით. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესებული ნებისმიერი შეღავათით და მომსახურებით თავისუფალი სარგებლობის უფლება ექნება.

– კონფლიქტების მოგვარების



პოლიტიკა იქნება მშვიდობიანი, კონსტრუქციული, პრაგმატული და ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული. კონფლიქტის მოგვარების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება ქვეყანაში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნას, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის გზით უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მექანიზმების ამოქმედებასა და ნდობის აღდგენის განმტკიცებას. მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ აფხაზ და ოს მოსახლეობასთან ნდობის აღდგენის კუთხით მუშაობის განმტკიცება, ადგილობრივი მოსახლეობის ჰუმანიტარული საჭიროებების დაკმაყოფილება და ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსწორება. ჩვენ გზას გავუხსნით სახალხო დიპლომატიას, ეკონომიკური რეაბილიტაციისა და ბიზნესპროექტებს. წახალისდება ოჯახური, ნათესაური და პირადი ურთიერთობები, რომლებსაც ინარჩუნებს საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობა, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი ინფორმაციით, ასევე გაგრძელდება დროებითი სამთავრობო კომისიის მუშაობა, რომელიც საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების საჭიროებებზე დროული და ეფექტიანი რეაგირებასა და სარეაბილიტაციო პროექტების ხელშეწყობაზე იზრუნებს.

ქუთაისში ნაუცბადევად აშენებულ პარლამენტის შენობაზე ბევრი რამ არის თქმული. მაგრამ ამ თემას გვერდი ღარიბაშვილმა ვერ აუარა. პრემიერი აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ პარლამენტის მშენებლობისთვის განკუთვნილი თანხიდან რამდენიმე ათეული მილიონი მიითვისეს.

– იმ კომპანიის ხელმძღვანელი, რომელიც პარლამენტის მშენებლობაზე მუშაობდა, უკვე პასუხისგებაშია მიცემული. ეს ფაქტი მეტყველებს, თუ როგორ ხელოვნურად ხდებოდა წინა ხელისუფლების პირობებში ეკონომიკის სტიმულირება. წინა ხელისუფლებაში ეკონომიკის სტიმულირება ხდებოდა დროებითი ინსტრუმენტებით. ეს არ იყო თანმიმდევრული და გეგმაზომიერი. ალბათ, იცით, რომ ხდებოდა ისეთი არაპოპულარული და უსარგებლო პროექტების დაფინანსება, როგორიცაა მაგალითად, ქუთაისის პარლამენტი, რომლის საჭიროებაც არ არსებობდა, მით უმეტეს, ამხელა თანხაა ჩადებული – 340 მილიონი დაჯდა. აქედან რამდენიმე ათეული მილიონი იქნა გაფლანგული, მითვისებული. ჩვენ იმ კომპანიის ხელმძღვანელობის მიმართ დავიწყეთ გამოძიება და ის პირი პასუხისგებაში მივეცით. ეს პარლამენტი ააშენა წინა ხელისუფლებასთან დაახლოებულმა და ასოცირებულმა პირმა, სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი მან შეასრულა და მოხდა რამდენიმე ათეული მილიონი ლარის მითვისება. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მათ საკითხების მიმართ, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მას გუშინ კიდევ ერთხელ მოუწია კითხვებზე პასუხის გაცემამ. დეპუტატი გიორგი გაჩეჩილაძე ერთი ძველი, მაგრამ გამოუძიებელი ფაქტით დაინტერესდა.

– 2008 წლის ომის შემდეგ, 23 ნოემბერს, საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა პოლონეთის პრეზიდენტი კაჩინსკი. მოხდა ასეთი უცნაური ფაქტი, როდესაც ესკორტი მიდიოდა აღმოსავლეთ საქართველოში, ესკორტმა გადაუხვია ახალგორის რაიონისკენ და ატყდა სროლა. ამის შემდეგ გამოქვეყნდა პოლონურ პრესაში პოლონეთის უშიშროების სამსახურის ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ეს იყო დაგეგმილი პროვოკაცია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. თუ გაქვთ ინფორმაცია ამ საშინელ პროვოკაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საქართველოს იმიჯს და პოლონეთის პრეზიდენტს და დაიწყო თუ არა გამოძიება ქართულ საგამოძიებო უწყებებში ამ ფაქტთან დაკავშირებით, – აღნიშნა გაჩეჩილაძემ კითხვის დასმის დროს.

ეს ამბავი ღარიბაშვილისთვის მართალია ცნობილია, მაგრამ დეტალებში გარკვეული არ არის. და ეტყობა თავადაც დაინტერესდა 5 წლის წინ მომხდარი ინციდენტით.

– მე არ ვიცი ეს საკითხი და აუცილებლად მოვიკითხავ. დღესვე მე დავავალებ პროკურატურას, რომ დაიწყონ ამ საკითხის შესწავლა და გარკვევა, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერი გუშინ კითხვების დასმის ხასიათზეც მოვიდა. რესპონდენტად მან თავის მხრის კაცი ლევან ბეჟაშვილი შეარჩია. ვინც არ იცით, გეტყვით, რომ ეს უკანასკნელიც პრემიერივით ქიზიყელია.

იმის მაგივრად, რომ თავის მხრის კაცთან ღვინოზე ან ხაშლამაზე ესაუბრა, ღარიბაშვილმა ბეჟაშვილს კონტროლის პალატაში მუშაობის პერიოდი გაახსენა და საკითხის დასაზუსტებლად პარლამენტის სხდომაზე შეკითხვით მიმართა.

– ბატონო ლევან, მაინტერესებს, თქვენ წლების განმავლობაში კონტროლის პალატის თავმჯდომარე ბრძანდებოდით? რაიმე საბიუჯეტო დარღვევა თუ გამოგივლენიათ ოდესმე. ეს ისე, მეხსიერება მინდა, რომ გაგივარჯიშოთ, – ჩაეკითხა ღარიბაშვილი ბეჟაშვილს.

რომელმაც თავის მხრივ პრემიერს ეკონომიკის გაუმჯობესების მიზნით მთავრობის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე დაუსვა კითხვა. ღარიბაშვილმა აღიარა, რომ ეკონომიკაში იყო მცირე დაღმასვლა. ამასთან, გვანუგეშა, რომ ეს დაღმასვლა გამოსწორებადია

– არც ისე რთულად არის საქმე ეკონომიკის კუთხით და ძალიან გთხოვთ, ნუ ცდილობთ, რომ ინვესტორები დააფრთხოთ, თითქოს აქ რაღაც ხდება. რეალურად, არაფერიც არ ხდება. არავითარი კატასტროფა არ არის ეკონომიკაში. იყო მცირე დაღმასვლა, მაგრამ ეს არის გამოსწორებადი, – მიმართა ღარიბაშვილმა უმცირესობის დეპუტატებს.

მისი თქმით, გაცილებით რთული პერიოდები იყო გასულ წლებში, როცა ყოფილი ხელისუფლება იღებდა საგარეო ვალს, ევრობონდებს და სხვა.

– ამაზე არ ვსაუბრობთ, არ გვინდა წარსულს დავუბრუნდეთ. გვინდა, რომ მომავალზე ვიფიქროთ, სწორედ ამიტომ, ვართ ჩვენ მომავალზე ორიენტირებული მთავრობა. ეკონომიკის კუთხით ძალიან პოზიტიურად ვარ განწყობილი. ასევე არის ჩვენი ეკონომიკური გუნდი, გვაქვს რეალური გეგმები და ღრმა რწმენა, რომ ქვეყანას გამოვიყვანთ ამ მცირე დაღმასვლიდან და ეკონომიკა გაჯანსაღდება, – განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, კონკრეტული ნაბიჯებია დაგეგმილი ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. მან წინა წლებში საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ამ და სხვა ბევრი სხვა მიზეზის გამო ინვესტორებს საქართველოში შემოსვლა ეშინოდათ.

ბეჟაშვილის თანაპარტიელმა გიორგი ვაშაძემ პრემიერის გამოსვლა დაიწუნა. მისი თქმით, ღარიბაშვილის ეს გამოსვლა პარლამენტში წინა გამოსვლისაგან არაფრით განსხვავდებოდა.

– მე მქონდა მოლოდინი, რომ გავიგებდი რამე ახალს, იდეების, პროექტების შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ, დაბალი კომპეტენციის მეტი ვერაფერი მივიღეთ. ვერც ერთ კითხვაზე პასუხი ვერ გასცა ღარიბაშვილმა, არც ერთი ახალი მესიჯი არ გაჟღერებულა, რაც საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს. ჩვენ დღეს ვამტკიცებთ ქვეყნის პირველ პირს და ყველამ კარგად უნდა გავიაზროთ, რომ ეს არის ადამიანი, რომელმაც უნდა მართოს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. რა იქნება მომავალში ეს უკვე მოქალაქეებმა უნდა შეაფასონ. ჩვენ მთავრობას ვამტკიცებთ მომავლისთვის და არა წარსულზე სასაუბროდ, – განაცხადა იმედგაცრუებულმა გიორგი ვაშაძემ.

პრემიერი კი ერს დაჰპირდა, რომ ის ბიძინა ივანიშვილის სტილს გააგრძელებს. ამბობს, რომ მხოლოდ საქმით ილაპარაკებს და არ მიმართავს პროპაგანდას. მისი თქმით, ყოფილი ხელისუფლებისგან განსხვავებით, მთავრობა არ ილაპარაკებს იმაზე, თუ რა პროექტების განხორციელებას გეგმავენ.

– ყოფილი ხელისუფლებისგან განსხვავებით ჩვენ არ გვინდა ვისაუბროთ იმაზე, თუ რა პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ. ჩვენ გვსურს, რომ ჯერ გავაკეთოთ და გვინდა, რომ ჩვენ საქმით ვილაპარაკოთ. თქვენ თუ გადახედავთ, ჩვენ არასდროს მივმართავდით პროპაგანდას და ჩვენ ყოველთვის საქმით ვხელმძღვანელობდით. ეს იყო სტილი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა დაამკვიდრა. ეს არის გზა, რომელიც მე გავაგრძელე, რომელსაც გააგრძელებს მთავრობა და პარლამენტი. ჩვენ გვირჩევნია, ხალხს ვაჩვენოთ საქმე და არ ვილაპარაკოთ. ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ ხალხის მდგომარეობა, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური და სხვა სფეროები, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

## არჩილ კბილაშვილი თანამშრომლებს გამოემშვიდობა



გუშინ მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი თანამშრომლებს გამოემშვიდობა. მან განვლილი ერთი წლის განმავლობაში საქართველოს პროკურატურის საქმიანობა შეაფასა, მიღწეულ წარმატებებსა და არსებულ ნაკლოვანებებზე ისაუბრა და პროკურატურის წარმომადგენლებს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

მან წარმატება უსურვა მომავალ ახალ მთავარ პროკურორს და საქართველოს პროკურატურის ყველა თანამშრომელს.

შეხვედრის ბოლოს არჩილ კბილაშვილმა საქართველოს პროკურატურის საპატიო მუშაკის წოდება მიანიჭა და შესაბამისი სერტიფიკატები გადასცა პროკურორებს – ანზორ ლაცუზბაიას, რევაზ ზარანდიას, კონსტანტინე ყიფიანს, ზურაბ გუბელაძეს, ვალერიან იოსავას და მიხეილ ნოზაძეს.

არჩილ კბილაშვილს აღნიშნულ თანამდებობაზე უახლოეს დღეებში ოთარ ფარცხალაძე ჩაანაცვლებს, რომელიც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ხელმძღვანელობდა. კბილაშვილმა გადადგომის შესახებ განცხადება რამდენიმე კვირის წინ გააკეთა. იგი მუშაობას, ბიძინა ივანიშვილთან ერთად, სამოქალაქო სექტორში გააგრძელებს.

ნიუსპრესი

# რა შეცდომები დაუშვა მარგველაშვილმა

**სოსო შატბერაშვილი: „სააკაშვილს ნუ ეხუმრებიან. ის იმდენად ვერაგი პიროვნებაა, ამის შემდეგ ჩაიცვამს გახეხილ ჯინსებს და „ბოტასებს“, დადგება ხალხში და მთავრობის კრიტიკას დაიწყებს. მას მალევე შეუძლია აკრიფოს ისევ რეიტინგი“.**

შორენა კოწოწაშვილი

„მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი სოსო შატბერაშვილი მიესალება კეზერაშვილის წინააღმდეგ ევროპაში დაწყებულ საქმეს და მიიჩნევს, რომ თუ არა ევროპელი სამართალდამცავების აქტიურობა, საქართველოში ექსმინისტრს ყველაფერი შერჩებოდა.

შატბერაშვილი ფიქრობს, რომ კოაბიტაციის დასრულების კუთხით არაფერი ხდება და პირიქით, ნაციონალები თავს სხვებზე კომფორტულად გრძნობენ.

რა შეცდომები დაუშვა ფიცის დადების დღეს მარგველაშვილმა, რაზეა წამსვლელი მიხეილ სააკაშვილი და რომელი მინისტრები უნდა შეეცვალა ირაკლი ღარიბაშვილს? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს სოსო შატბერაშვილთან.

***– ბატონო სოსო, ქვეყანა ახალი პოლიტიკური რეალობის წინაშე დგას. როგორ შეაფასებდით ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციას, მარგველაშვილის ფიცს და იმ განცხადებებს, რომლებიც პრეზიდენტის პოსტზე გააკეთა?***

– დავიწყოთ იმით, რომ პირველი შეცდომა, რომელიც დაუშვა ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა, ეს არის ის, რომ პრეზიდენტის სასახლეში არ შევიდა და არ შევიდა იმიტომ, რომ მას მიხეილ სააკაშვილი არ მოსწონს. მაგ პრინციპით თუ ვიმოქმედებთ, კომუნისტების დროს აშენებული ყველა შენობა დავანგრიოთ, ის გადავცეთ ან უნივერსიტეტებს, ან სხვა კერძო სტრუქტურებს. ეს, რა თქმა უნდა, იყო მარგველაშვილის პირველი უდიდესი შეცდომა. მეორე, დიდი შეცდომა ის გახლავთ, რომ მან ინაუგურაციაზე არ მოიწვია არამცთუ პარლამენტს გარეთ არსებული პოლიტიკური პარტიები, არამედ არ მოიწვია პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას ოჯახი. ასევე დიდი შეცდომა იყო ის, რომ ინაუგურაცია ჩატარდა ხალხის გარეშე. ასე რომ, პირველივე ნაბიჯი, რასაც ჰქვია ინაუგურაცია, დიდი შეცდომებით ჩატარდა. რაც შეეხება პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის საპროგრამო სიტყვას, იქ არ იყო აღნიშნული ის, რომ საქართველოს ტერიტორია არის ოკუპირებული. მისი არაღნიშვნა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ რუსეთთან დიალოგი უნდა შევწყვიტოთ. ეს იყო აუცილებლად აღსანიშნავი, რადგანაც შეურაცხყოფს იმ ადამიანების ხსოვნას, რომლებმაც თავი დადეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და სამაჩაბლოს და აფხაზეთის საქართველოს ერთიან სხეულში ყოფნისათვის.

***– მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა თქვენთვის მისაღებია?***

– რაც შეეხება მთავრობას, მთავრობაში არანაირი ცვლილება არ არის და არც არის მოსალოდნელი. თუმცა, უმეტესობა მინისტრებისა, არაეფექტურად მუშაობს. პირველ რიგში, არაეფექტურად მუშაობს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, რომელმაც ცოტა ხნის წინ აღიარა, რომ ბიუჯეტში 800 მლნ ლარამდე გარღვევაა. მანამდე, როდესაც ჩვენ ამას ვამბობდით, ხადური ამას კატეგორიულად უარყოფდა. აუცილებლად დაუყოვნებლივ შესაცვლელი იყო ფინანსთა მინისტრი; შესაცვლელი იყო საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, რომელიც არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებს. მათ კვალს უნდა გასდგომოდა კიდევ რამდენიმე მინისტრი. ჩემს გაკვირვებას იწვევს, მაშინ, როდესაც „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ აცხადებდა, რომ ჩვენ სექსუალურად მომწიფებული, დაღვინებული, ასაკში შესული მი-



ნისტრები გვეყოლებაო, ბიძინა ივანიშვილი 31 წლის პრემიერ-მინისტრს გვთავაზობს და 28 წლის შს მინისტრს. საინტერესოა, როგორ ჯდება ეს მათ მიერ ადრე გაცხადებულ ჩარჩოებში, მე არ ვიცი. მართალია, არჩილ კბილაშვილი უკვე აღარ არის მთავარი პროკურორი და კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი, მაგრამ მან ხომ ეს განცხადება „ოცნების“ სახელით გააკეთა?! რაც შეეხება ზოგად შეფასებას, მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა საქართველოს უახლეს ისტორიაში, პირველად შეიცვალა საქართველოში ხელისუფლება უსისხლოდ და სახელმწიფო გადატრიალების გარეშე. ამ დადებით მომენტებს აღვნიშნავთ და ასევე ვამბობთ, ნიშანდობლივია, რომ პრეზიდენტობის კანდიდატების უმრავლესობამ მიულოცა ახალ პრეზიდენტს გამარჯვება; მეტ-ნაკლებად მშვიდ და წყნარ ვითარებაში ჩაიარა საპრეზიდენტო არჩევნებმა, თუმცა, დარღვევები, რა თქმა უნდა, იყო. მთავარი დარღვევა გახლავთ ის, რომ არჩევნები ძველი, გაბერილი სიებით ჩატარდა. ცვლილებები არ იქნა შეტანილი საარჩევნო კოდექსში და სხვა მრავალი კიდევ. მაგრამ არჩევნებს, ზოგადად, მაინც არჩევნებს დადებითად ვაფასებ.

***– თქვენ ცალკეული მინისტრები ახსენეთ, რომლებიც, თქვენი აზრით, მინისტრის პორტფელს უნდა დამშვიდობებოდნენ. უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძეს ფინანსთა მინისტრის პარალელურად კითხვები გარემოს დაცვის მინისტრთანაც აქვს. საგანელიძე მიიჩნევს, რომ ამ უწყებებს უფრო ეფექტურად უნდა ემუშავათ...***

– საგანელიძის განცხადებას არ გავცნობილვარ, რაც მოგახსენეთ, ეს არის ჩემი შეფასება. არ ვიცი, სამწუხაროა თუ საბედნიეროა, რომ ჩემი პოზიცია საგანელიძის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს ემთხვევა.

***– ანუ გარემოს დაცვის მინისტრთან პრეტენზიები თქვენც გაქვთ?***

– რა თქმა უნდა, და თანაც ძალიან სერიოზული. თუნდაც იმიტომ, რომ ყოფილი „ცენტროლიტის“ ქარხნის ტერიტორიაზე არსებობს ცემენტის ქარხანა, რომელიც წამლავს მთელ ავჭალას და მიმდებარე ტერიტორიას. ჩვენ იქ აქცია ჩავატარეთ და გარემოს დაცვის სამინისტრო არათუ ეფექტურად არ მოქმედებს, საერთოდ არაფერს აკეთებს. ყველაზე მთავარი მაინც „ხუდონჰესის“ პრობლემაა, რომელსაც ჩვენ ასევე პროტესტის სიტყვა შევუერთეთ, როდესაც „ხუდონჰესის“ საწინააღმდეგო თბილისში საპროტესტო აქციები ტარდებოდა.

***– თქვენ პრემიერ ღარიბაშვილის ასაკს გაუსვით ხაზი. როგორ ფიქრობთ, არ გაუჭირდება ღარიბაშვილს ესოდენ ჭრელი კოალიციის მართვა და ქვეყანაში, ასე ვთქვათ, პირველკაცობა?***

– პრემიერზე შემიძლია ერთი რამ ვთქვა. როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი გახლდათ შს მინისტრი, მან მეტ-ნაკლებად თავი გაართვა სამუშაოს სხვა მინისტრებთან შედარებით. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კრიმინალმა არ იმატა. კრიმინალმა იმატა და ძალიან სერიოზულადაც, მაგრამ ჩვენ უარესს ველოდით, რადგან კოალიციამ კარი გახსნა და თითქმის ყველა კატეგორიის პატიმარი გამოუშვა. მეორე მხრივ, ასევე მოიქცა და კოალიციის ჯიბრზე სააკაშვილმაც უამრავი პატიმარი შეიწყალა. ჩვენ ველოდებოდით კრიმინალის აფეთქებას, რაც საბედნიეროდ, არ მოხდა. ამიტომ, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მუშაობას მეტნაკლებად დადებითად ვაფასებთ. ხოლო რაც შეეხება პრემიერ-მინისტრს, ღარიბაშვილს პრემიერობა შს მინისტრობა არ ეგონოს. ეს არის ურთულესი პოსტი და მას არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს ამ პოსტზე მუშაობისათვის. ეს არის, პირველ რიგში, პოლიტიკური პოსტი. იმ დროს, როდესაც პრეზიდენტის უფლებები ძალიან შეკვეცილია, მთელი პასუხისმგებლობა გადავა მასზე. მინდა ღარიბაშვილი გავაფრთხილო, რომ პრემიერის პოსტი – ეს არის საქართველოში ურთულესი პოსტი და ძალიან ძნელია აქ პირველი პირობა. ასე რომ, მე ვფიქრობ, რომ ღარიბაშვილს ამ პოსტზე მაინც გაუჭირდება. აქვე დავძენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიცური პარტიები, ინაუგურაციაზე არ მიგვიპატიჟეს, მზად ვართ, ვითანამშრომლოთ პრემიერთან ქვეყნის საკეთილდღეოდ, თუ ის მოისურვებს.

***– მოდით, ნაციონალურ მოძრაობაზეც ვისაუბროთ. გავრცელებული ინფორმაციით, საპარლამენტო უმცირესობა დავით ბეჟუაშვილმა დატოვა. როგორ გესახებათ ნაცმოძრაობის და პირადად, სააკაშვილის შემდგომი ნაბიჯები?***

– ძალიან სამწუხაროა, როდესაც თუნდაც სააკაშვილის გუნდს, რომელსაც პირადად მე და ჩემი პოლიტიკური თანამოაზრეები, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ვებრძოდით, ტოვებენ იმ დროს, როდესაც მიხეილ სააკაშვილი უკვე გადამდგარია და როდესაც მის პარტიას პოლიტიკური კრიზისი აქვს; თანაც ტოვებს ის ადამიანი, რომელიც მულტიმილიონერი, თუ მილიარდერი არა, გახდა სწორედ ყოფილი პრეზიდენტის მმართველობის დროს. ჩვენ არაერთხელ ვამხილეთ ძმებ ბეჟუაშვილების კრიმინალური საქმიანობები, მათი ბიზნესობიექტები, მათ მიერ წამოჭიმული სასახლეები, მათი ცემენტით აშენებული სახლები დანგრევის პირასაა. არერთგზის ვამხილეთ ეს ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ არა თავისი ნიჭით და მოხერხებულობით, ბიზნესმოხერხებულობას ვგულისხმობ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილის მფარველობით და მისი ფრთის ქვეშ გახდნენ მულტიმილიონერები. მას ზურგში მახვილს ურტყამენ და ტოვებენ მის გუნდს. აი, ეს შეფასება შემიძლია გავაკეთო, თორემ, რა თქმა უნდა, სააკაშვილის გუნდსაც დატოვებენ და „ოცნებასაც“ დატოვებს კიდევ არაერთი ადამიანი, მაგრამ როდესაც მიხეილ სააკაშვილს ამხელა დამსახურება აქვს შენი ოჯახის წინაშე და ამ დროს უკეთებ მას ასეთ საქმეს, აი, ეს არის ყველაზე დიდი უბედურება.

***– უკვე წარსული პოლიტიკოსია სააკაშვილი თუ მას კიდევ დიდი შანსი აქვს, ხელისუფლებაში რომ დაბრუნდეს?***

– ის პოლიტიკოსები, რომლებიც დამშვიდებული არიან იგივე „ქართულ ოცნებაში“ და ფიქრობენ, რომ სააკაშვილის მზე ჩაესვენა, მისი ეპოქა დამთავრდა და სააკაშვილი უკვე მომაკვდავი პოლიტიკოსია, მინდა მათ შევახსენო: სააკაშვილს ნუ ეხუმრებიან. ის იმდენად ვერაგი პიროვნებაა, ამის შემდეგ ჩაიცვამს გახეხილ ჯინსებს და „ბოტასებს“, დადგება ხალხში და მთავრობის კრიტიკას დაიწყებს. მინდა იცოდეთ, რომ მას მალევე შეუძლია აკრიფოს ისევ რეიტინგი. ასე რომ, ფრთხილად იყვნენ, სააკაშვილს ნუ ეხუმრებიან. მას კარგად ვიცნობ. ის არის უეშმაკესი და უვერაგესი პიროვნება. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილისგან, ღარიბაშვილისგან და სხვებისგან განსხვავებით, მინდა ვთქვა, რომ სააკაშვილი გახლავთ პოლიტიკოსი. ამას პრემიერზე და ივანიშვილზე ვერ ვიტყვი, თუმცა უსუფაშვილი გამოცდილი პოლიტიკოსი გახლავთ. ასე რომ, თუკი ვინმე საფრთხეს ხედავს სააკაშვილში, ეს არის რესპუბლიკური პარტია და მფარველობს კიდეც მას. გავიხსენოთ რესპუბლიკელების არაერთი განცხადება იმის თაობაზე, რომ სააკაშვილის დაპატიმრება გამოიწვევს ჩვენი ქვეყნის ნულოვან ჯგუფში გადაყვანას; რომ მათი მიზანია, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, ნაცმოძრაობის გადარჩენა. რესპუბლიკელები ძალიან კარგად გრძნობენ, რომ სააკაშვილი, რომელსაც უდიდესი ფინანსები აქვს და უდიდესი ლობი ჰყავს არა მარტო ევროპაში, არამედ აშშ-შიც და საქართველოშიც საკმაო მხარდამჭერები ჰყავს, განსაკუთრებით შეიარაღებულ ძალებში და პოლიციაში, ისევ საშიშ პიროვნებად რჩება.

***– ბატონო სოსო, თქვენი პოზიცია გასაგებია, თუმცა საკმაოდ სკანდალური საქმის გამოძიება დაიწყო თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ, რომელიც იარაღით უკანონო ვაჭრობას ეხება. გამორიცხავთ, ამ ბრალდებამ სააკაშვილსაც მიუკაკუნოს კარზე?***

– სხვათა შორის, ევროპას კეზერაშვილის საქმის გამოძიება რომ არ დაეწყო, მას საქართველოში თითს ვერავინ დააკარებდა, ისევე, როგორც ბარამიძეს ვერავინ აკარებს თითს, იგივე ბეჟუაშვილებს. ვანო მერაბიშვილსაც მალე გამოუშვებენ, ბაჩანა ახალაიას უკვე თითქმის ყველა ბრალდება მოუხსნეს, კეზერაშვილსაც თითს ვერავინ დააკარებდა. მაგრამ რადგან გამოძიება ევროპამ დაიწყო, ჩვენ კიდევ ერთხელ ვაცხადებ: კეზერაშვილი გახლავთ თაღლითი. ის არის სახელმწიფო დამნაშავე, ხაზინის ქურდი და ძალიან კარგია, რომ მის წინააღმდეგ საქმის გამოძიება დაიწყო. სწორედ ეს გვაძლევს იმის იმედს, რომ შეიძლება კეზერაშვილის კვალი არაერთ ყოფილ მაღალჩინოსანთან მივიდეს. ბევრი მათგანი ნამდვილად ციხეს იმსახურებს, დღეს კი ისინი ციხის ნაცვლად, მაღალ ტრიბუნაზე დგანან და გვმოძღვრავენ, როგორ უნდა ვიცხოვროთ და რა უნდა გავაკეთოთ; როგორი პოლიტიკური მიმართულება უნდა გვქონდეს. ისევ ევროპა გვაძლევს ამის იმედს, თორემ ჩვენი სამართალდამცავები რომ არაფრის გამკეთებლები არ არიან და სურვილიც არ აქვს ბიძინა ივანიშვილს, რომ დასაჯოს ყოფილი დამნაშავეები, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ჩვენ არაერთგზის ვამხილეთ კეზერაშვილი იარაღის კონტრაბანდაში, არაერთგზის ვამხილეთ ომის დროს შეგნებულად იარაღის საწყობების რუსეთის მხარეზე გადაცემაში; შემდეგ მან ეს იარაღი ჩამოწერა და ხელახლა შეისყიდა. ამაში კეზერაშვილმა უდიდესი ფული მოხსნა. ამიტომ კარგია, რომ ევროპამ მაინც დაიწყო მისი საქმის გამოძიება.

***– დაბოლოს, მარგველაშვილი ამბობდა, რომ 27 ოქტომბერს კოაბიტაცია დასრულდებოდა. რას ელით ამ მხრივ მარგველაშვილ-ღარიბაშვილის პოლიტიკური დუეტიდან?***

– რა ეტყობა ქვეყანას, რომ კოაბიტაცია დამთავრდა. მართალია, დღეს მეოთხე დღეა უკვე, რაც ახალი პრეზიდენტი გვყავს, რაიმე იგრძნობა კოაბიტაციის დამთავრების?! რომელიმე ნაციონალ დეპუტატს მაინც თუ დაეტყო ეს სახეზე?! მათი ნაღვლიანი გამომეტყველება თუ შენიშნეთ? ისინი ისევ რიხიანად ლაპარაკობენ და ძალიან თავხედურადაც იქცევიან. ასე რომ, მე პირადად, არანაირი კოაბიტაციის დასრულების არ მჯერა.

## დავით ბაქრაძე: „ახალი მთავრობა უფრო დიდი გამოწვევების წინაშეა, ვიდრე ერთი წლის წინ იყო“

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი და საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე, საქართველოს ახალ მთავრობას წინამორბედის შეცდომების გაანალიზებას და გამოსწორებას უსურვებს. ამის შესახებ მან ფეისბუქში, საკუთარ გვერდზე, ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაწერა.

ბაქრაძე სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ახალი მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებას და პარლამენტში გამართულ დებატებს, ავიარეისის გადადების გამო ვერ ესწრება.

„მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვუსურვო ახალ მთავრობას, რომ შეძლოს გაანალიზოს თავისი წინამორბედის შეცდომები და ნაკლოვანებები, რამაც არ მისცა მას საშუალება შეესრულებინა საკუთარი წინასაარჩევნო დაპირებები და გაემართლებინა ხალხის მოლოდინი.

სამწუხაროდ, მათ ვერ შექმნეს ახალი სამუშაო ადგილები, ვერ უზრუნველყვეს ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნება და მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. უფრო მეტიც, დღეს ახალი მთავრობა უფრო დიდი გამოწვევების წინაშეა, ვიდრე ერთი წლის წინ იყო – შეჩერებულია ეკონომიკა, იზრდება კრიმინალი, უქმდება სამუშაო ადგილები. ვუსურვებ მათ, გამოასწორონ ეს შეცდომები“ – ნათქვამია მის განცხადებაში.

ნიუსპრესი

## გუბაზ სანიკიძე: „ნაციონალებისგან ვისწავლეთ, როგორ არ შეიძლება მართო ქვეყანა“



დეპუტატ გუბაზ სანიკიძის განხადებით, ახალმა ხელისუფლებამ „ნაციონალური მოძრაობისგან“ ისწავლა როგორ არ უნდა მართოს ქვეყანა. აღნიშნულის შესახებ სანიკძემ პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას უმცირეობის მისამართით ისაუბრა.

„თქვენ ხართ ჩვენი მასწავლებლები, ჩვენ თქვენგან ვისწავლეთ როგორ არ შეიძლება მართო ქვეყანა, მაგრამ გვაქვს პრეტენზია ჩვენს ხელისუფლებას, რომ ვიყოთ თქვენი მასწავლებლები დღეიდან, როგორ შეიძლება იმართოს ქვეყანა, ტერორის გარეშე, უსამართლობის გარეშე, რომ შეიქმნას ეროვნული ქართული სახელმწიფო. ასე რომ, სათაკილო არაფერი არ გვაქვს, ვიყოთ ერთმანეთის მასწავლებლები“ – აღნიშნა სანიკიძემ.

თავის გამოსვლაში გუბაზ სანიკიძემ პრემიერ-მინისტრს საზღვარგარეთ ქართული დიასპორების საკითხებზე ყურადღების გამახვილება სთხოვა და განაცხადა, რომ ქვეყნის აღმშენებლობა ქართული დიასპორების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნება.

მან იმედი გამოთქვა, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ორიენტირებული იქნება უცხო ქვეყნებიდან საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნებაზე.

ნიუსპრესი

## სამი სუპერმარკეტიდან ვადაგასული სურსათი ამოიღეს

სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა საბურთალოს ქუჩაზე მდებარე „ჰამბურგის სავაჭრო სახლ დეჰაგედან“, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე – ინდმეწარმეების– „ნანი კალანდიას“ და „ნონა კროპაძის“ მარკეტებიდან სარეალიზაციოდ გამოტანილი ვადაგასული პროდუქტები ამოიღეს. მათ შორის იყო – რძე, თაფლის „ფანტელი“, საკონდიტრო ნაწარმი, სხვადასხვა წარმოების სოსისი და კარაქი, ყველი, ორცხობილა, „ჩიპსი“, ხაჭოს დესერტი, იოგურტი, ნამცხვარი.

სააგენტოს თანამშრომლების თქმით, ზოგიერთ პროდუქტს რეალიზაციის ვადა, შეცვლილი ჰქონდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების ინფორმაციით, ვადაგასული სურსათი დაილუქა და კანონის შესაბამისად განადგურდება.

ინდმეწარმე „ნონა კროპაძე“ ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე სურსათის რეალიზაციისათვის 300 ლარით დაჯარიმდა. რაც შეეხება „კობა მჭედლიშვილს“, რომელიც, ასევე, ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე შაურმის რეალიზაციას აწარმოებდა, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად, 300 ლარით დააჯარიმეს.

სურსათის ეროვნული სააგენტო აგრძელებს სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგს მთელი ქვეყნის მასშტაბით და შეახსენებს სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ, გადამამუშავებელ და დისტრიბუტორ მეწარმეებს, დარეგისტრირდნენ ბიზნეს ოპერატორად იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში.

ნიუსპრესი

# მამუკა გვაძაბია: „აფხაზეთის დეპუტატებს უფლებამოსილება უნდა შეუწყდეთ“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ უპარტიოთა მოძრაობის ლიდერ მამუკა გვაძაბიასთან

***— ბატონო მამუკა, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსა და მთავრობასთან დაკავშირებით დევნილთა ერთმა ჯგუფმა შიმშილობის აქცია წამოიწყო. ისინი დევნილი მთავრობის რეორგანიზაციას მოითხოვენ. რამდენადაც ვიცი, მსგავსი მოთხოვნები თქვენც გქონდათ. ახლანდელ პროცესში თუ ხართ ჩართული და ზოგადად, რა პოზიცია გაქვთ?***

— თავის დროზე, ამ ორგანოს არჩევნებში ვმონაწილეობდი და თავიდან ბოლომდე ვიცი ამ ორგანოს სტრუქტურა, რა საარჩევნო კანონით იქნა არჩეული, როგორ მოვიდა დღემდე, რა სამართლებრივი ჩიხია იმის გამო, რომ ეს ორგანო გასცდა კონსტიტუციურ ფარგლებს, რას წარმოადგენს სამართლებრივად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო არის 1991 წლის სექტემბერ-დეკემბერში საჩოთირო საარჩევნო კანონით არჩეული აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ნარჩენები. რატომ იყო საჩოთირო კანონი? 1991 წლის 27 აგვისტოს შესწორების თანახმად, აფხაზეთის ასსრ კანონში „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ შეტანილი იქნა ცვლილებები, რომელიც აკანონებდა ოლქებში შესაძლო დეპუტატს ეთნიური წარმოშობის მიხედვით, ანუ გარკვეულ ოლქში უნდა ყოფილიყო აფხაზი დეპუტატი, გარკვეულ ოლქში — ქართველი და გარკვეულ ოლქში კიდევ — სხვა ეროვნების. ეს იყო ე.წ. გარიგების შედეგი, მაგრამ ამან იქამდე მიგიყვანა, რომ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში მოსახლეობის 45%-ს, ანუ ქართველებს აღმოაჩნდათ 26 მანდატი; მოსახლეობის 17%-ს, ანუ აფხაზებს აღმოაჩნდათ 28 ადგილი, ხოლო სრულიად არაადეკვატურად და არაპროპორციულად — დანარჩენ მოსახლეობას 11 ადგილი. სწორედ ამ კანონით არჩეულმა პარლამენტმა საფუძველი ჩაუყარა ნაციონალ-სეპარატისტების თავგასულობას. ისინი, ერთი მხრივ, ფაქტობრივად, თავს უდანაშაულოდ გრძნობდნენ, მეორე მხრივ, ამან ქართულ მოსახლეობაში არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბება გამოიწვია.

***— თუმცა, ამ დათმობას მიიჩნევენ 1989 წლის 15-16 ივნისის ინციდენტის შემდეგ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გარკვეულ საშუალებად იმ პერიოდისთვის გართულებული სიტუაციის დარეგულირებად.***

— კი, ასე მიიჩნევდნენ, მაგრამ ასე ხომ არ გამოვიდა.

***— სახელმწიფო გადატრიალება რომ არა, საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს არსებობის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა ამ დისპროპორციის გასწორება.***

— მაშინდელ არჩევნებში მე გალის რაიონიდან ვიყრიდი კენჭს და აღნიშნული კანონი შევაფასე, როგორც აპარტეიდულად. მიუხედავად ასეთი შემხვედრი ნაბიჯებისა, ნაციონალ-სეპარატისტებისა და ოკუპანტების მხრიდან არავითარი შემხვედრი ნაბიჯები არ გადადგმულა. შემდეგ დაძაბულობის ესკალაციას აფხაზეთში მოჰყვა საომარი მოქმედებები. მანამდე ქართული ფრაქციის უსუსურმა ქმედებებმა გამოიწვია ამ ორგანოს გაყოფა. საომარ მოქმედებებსა და აფხაზეთის დაცემას მოჰყვა ამ ორგანოს დევნილობაც. ერთ პერიოდში შევარდნაძის ხელისუფლებამ ამ ორგანოს უფლებამოსილება შეუწყვიტა, მერე ისევ აღუდგინა და გარკვეული ხელისუფლებების ცვლილებების მიუხედავად, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მათ უფლებამოსილება უგრძელდებოდათ. ნებისმიერ ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში ნომერ პირველი პოლიტიკური მიზანშეწონილობა არის კონსტიტუცია. სიტუაცია იქამდე მივიდა, რომ გარკვეული ბუნებრივი პროცესების შედეგად (ზოგიერთი დეპუტატი გარდაიცვალა, ზოგიერთს — უფლებამოსილება შეუჩერდა) საქმე იქამდე მივიდა, რომ ქვორუმს ვერ აგროვებდა. საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 14 ივნისის დადგენილებით, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში შეყვანილი იქნენ დეპუტატები კოოპტაციის წესით, რომლებიც თავის დროზე საქართველოს პარლამენტში არჩეული იყვნენ 1992 წლის არჩევნებში. მაშინ საომარი მოქმედებები მიდიოდა და იმ არჩევნებს არჩევნებს ვერ დავარქმევ, რადგან აბსოლუტური გაყალბება ხდებოდა. 1995 წელს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში კოოპტაციის წესით შეიყვანეს ანზორ წოწონავა, არნოლდ ფერდენავა, მალხაზ ბარამიძე, ალექსანდრე ჯიქია, გენო კალანდია, ადა მარშანია, ჯემალ საჯაია, გივი ლომინაძე, ბორის კაკუბავა, გერმანე ფაცაცია. აქედან, სამწუხაროდ, ფერდენავა, ჯიქია და ფაცაცია გარდაიცვალნენ, ხოლო ბორის კაკუბავას უფლებამოსილება შეუწყდა. ე.ი. წოწონავა, ბარამიძე, კალანდია, მარშანია, საჯაია, ლომინაძე, რომლებიც საქართველოს პარლამენტის წევრები იყვნენ, არაკანონიერად, ანტიკონსტიტუციურად არიან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. ეს იყო ნონსესი. მსოფლიო პარლამენტარიზმის ისტორიას არ ახსოვს (გინდა რეგიონული პარლამენტი იყოს, გინდა — სხვა დონის პარლამენტი), რომ საკანონმდებლო ორგანო კოოპტაციის წესით შევსებულიყო. კოოპტაციის წესით შეიძლება თვითორგანიზებადი ორგანოს შევსება. მაგალითად, ასოციაციის, პარტიის. ყოველგვარი არჩევნებისა და მანდატის გარეშე, რითაც პიროვნებები გახდნენ საკანონმდებლო ორგანოს წევრები. ეს არ შეიძლება.

***— საქართველოს პარლამენტის წევრობის პარალელურად ისინი თავიდანვე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრები არ ყოფილან?***

— არა. ისინი გადატრიალების შემდეგ, 1992 წლის არჩევნებით გახდნენ დეპუტატები. იქ არიან მრგვალი მაგიდიდან დეპუტატები, რომლებმაც აფხაზეთის უმაღლეს ორგანოშიც იყარეს კენჭი, რაც მაშინ კანონით არ იყო აკრძალული. ესენი არიან მჟავია, ლორთქიფანიძე და მგალობლიშვილი, რომლებიც დღესაც არიან უმაღლესი საბჭოს წევრები. ელემენტარული ცივილიზებული კონსტიტუციის ძირითადი და უმთავრესი ნორმებია, რომ საკანონმდებლო ორგანო ფორმირდება პირდაპირი, საყოველთაო არჩევნების შედეგად.

***— მახსოვს, ადრე თქვენ ამბობდით, რომ უმაღლეს საბჭოში არიან წევრები, რომლებიც გარკვეულ პერიოდში გარკვეულ თანამდებობებზე მუშაობდნენ, შემდეგ ისევ დაბრუნდნენ უმაღლეს საბჭოში.***

— მე რასაც ვამბობ, დოკუმენტები გამაჩნია. მათ შორის, უმაღლესი საბჭოდან მიღებული ოფიციალური დოკუმენტები. დემოკრატიული სახელმწიფოსა და დემოკრატიული საზოგადოების ფუძემდებლური პრინციპია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ოფიციალური ინფორმაციით, რომელიც მე მომაწოდეს აფხაზეთის მთავრობის აპარატიდან, სხვადასხვა დროს აღმასრულებელ ხელისუფლებაში მუშაობდნენ ბატონები, აკაკი გასვიანი, დავით გვაძაბია, რუდიკ ცატავა, ვახტანგ ყოლბაია, თამაზ ხუბუა. დეპუტატებს დავით გვაძაბიას და ცატავას, თავის დროზე, 1992 წლის დასაწყისში, როცა ისინი დაინიშნენ შესაბამისად გულრიფშისა და გალის რაიონების გამგებლებად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელებად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით მათ უფლებამოსილება შეუწყდათ. ასევე თამაზ ხუბუა მუშაობდა აფხაზეთის მთავრობაში მინისტრად, თან ინარჩუნებდა დეპუტატის მანდატს. ფაქტობრივად, გამოდის, რომ იკრიბება უმაღლესი საბჭო და თავიანთ თავს ნიშნავენ მინისტრებად. ცატავა კიდევ მუშაობდა ვიცე-პრემიერად მთავრობაში. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვინაიდან თავის დროზე უფლებამოსილება შეუწყდათ, ბატონები ცატავა, გვაძაბია, ხუბუა, ყოლბაია უკანონოდ არიან დეპუტატები. ჩემთვის გარკვეული არ არის ზურაბ ჯგუბურიას საკითხი, რომელიც თან უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო, თან საგარეო საქმეთა სამინისტროში საგანგებო დავალებათა ელჩი. თუ ბატონი ჯგუბურია ანაზღაურებად თანამდებობაზე მუშაობდა, მაშინ კანონს არღვევდა და დეპუტატობის უფლებამოსილება უნდა შეწყვეტოდა. თუ აუნაზღაურებელ თანამდებობაზე მუშაობდა, მაშინ კანონიერადაა დეპუტატი. ვახტანგ ყოლბაია არის დღეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

***— აქ უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინაშე იდგა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შევსებისა და ქვორუმის პრობლემა, რადგან ეს ორგანო გაიყო და მისი ერთი ნაწილი თბილისში აღმოჩნდა დევნილობაში. ამიტომ, როგორც ჩანს, ის შეავსეს იმ პიროვნებებით, რომლებიც თავის დროზე არჩეული იყვნენ ამ ორგანოში.***



— ისინი იყვნენ არჩეული საქართველოს პარლამენტში, მაგრამ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ და არავითარი ლეგიტიმაცია ამ ორგანოს შიგნით არ აქვთ. იმ აქციის მონაწილეებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ბუნდოვნად წარმოუდგენიათ ამ ორგანოს სამართლებრივი საფუძველი, როგორ შეიძლება შემდეგ განვითარდეს მოვლენები, როგორ შეიძლება ლეგიტიმაცია მოხდეს საქართველოს ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, მე ეს ყველაფერი კონცეფციის სახით მაქვს ჩამოყალიბებული და წინა ხელისუფლებასაც ვთავაზობდი სხვადასხვა დონეზე, მაგრამ ხელისუფლების მაშინდელ ზოგიერთ ჩინოვნიკუნას ეს გავაგებინე, მაგრამ ვერაფრით შევაგნებინე. ლოგიკურ შედეგად თუ დადგა ის, რომ დევნილების უმეტესობამ წინა ხელისუფლებას ხმა არ მისცა, ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ისიც არის, რომ ამ ორგანოს მიმართ გულგრილი და არასერიოზული დამოკიდებულება გამოიჩინა წინა ხელისუფლებამ.

***— თუკი ცენტრალური ხელისუფლება არ მოახდენდა ამ ორგანოს შევსებას, მაშინ, როგორ გააგრძელებდა არსებობას?***

— ჩემი კონცეფციით შეიძლებოდა ამ საკითხის მოწესრიგება. ჩემ მიერ ჩამოთვლილ არაკანონიერად უმაღლეს საბჭოში შეყვანილ დეპუტატებს უფლებამოსილება უნდა შეუწყდეთ. მოწვეული უნდა იქნას აფხაზეთიდან დევნილთა საყოველთაო-სახალხო ყრილობა, დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არჩეულ იქნენ დელეგატები და იმ დელეგატებმა მისცენ დელეგირება მომავალ დეპუტატებს, რომლებსაც გაცილებით მეტი ლეგიტიმურობა ექნებათ.

***— არჩევნების გარეშე მისცენ დელეგირება?***

— პირდაპირი არჩევნები არ იქნება, მაგრამ არჩევნები იქნება. ყრილობა მისცემს დელეგირებას, რომელიც შეიძლება მოხდეს ღია კენჭისყრით, შეიძლება — ფარულით. როდესაც ჩვენ ვსვამთ ამ ორგანოს არალეგიტიმურობის საკითხს, ზოგიერთი ამ ორგანოს წარმომადგენელი ატეხავს ინფანტილურ კრუსუნს, თითქოს ის, ვინც კრიტიკულ შენიშვნას გამოთქვამს, თანამდებობის მაძებარია. შემირცხვენია დეპუტატის მანდატე, ის სტატუსი, რომელიც საქართველოს ტერიტორიების დაკარგვის ხარჯზე ხდება.

***— ეს ხომ მხოლოდ რაღაცის ხარჯზე დეპუტატის მანდატის შენარჩუნება არ არის. მოგვწონს თუ არა, გარკვეული პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, გარკვეული მიზნის მიღწევამდე ხომ აუცილებელი იყო ამ ორგანოს შენარჩუნება?***

— მე არ ვსაუბრობ ორგანოს გაუქმებაზე. კანონიერ ფარგლებში ეს ორგანო ქმედუნარიანი რომ იყოს, საჭიროა ამ ორგანოს რებრენდინგი, უნდა მოხდეს დეპუტაციის როტაცია, შესაბამისობაში მოვა თანამედროვეობასთან და არ იქნება კარჩაკეტილი, აბსოლუტურად გაუგებარი, 20 წლის წინანდელი არჩეული ორგანო.

## ნოდარ ხადური საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას შეხვდა

გუშინ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ხადური შეხვდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას, რომელსაც მარკ გრიფიტსი ხელმძღვანელობს.

„დღეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ასრულებს მუშაობას საქართველოში. ჩვენ ბევრ საკითხზე შევთანხმდით, მათ შორის, მომავალი წლის პროგნოზებზე — ეკონომიკური ზრდის, ინფლაციისა და ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლებზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ, პრაქტიკულად, გაიზიარა საქართველოს მთავრობის ხედვა, რაც კიდევ უფრო დიდ იმედს გვაძლევს, რომ მომავალ წელს საქართველო მიაღწევს დაგეგმილ ყველა მაკროეკონომიკურ პარამეტრს, რომელსაც ეყრდნობა მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი,“ — განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, ნოდარ ხადურმა.

„ქართულ მხარესთან ერთად განვიხილეთ მიმდინარე წლის ეკონომიკური მდგომარეობა და ვისაუბრეთ მომავალი წლის პერსპექტივაზე, მთავრობის გეგმებზე 2014 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით. წელს ეკონომიკური ზრდა, სავარაუდოდ, შეადგენს 2.5%-3%, თუმცა ბოლო რამდენიმე თვეში ეკონომიკა გამოცოცხლდა, რაც ძალიან კარგი ნიშანია და შემდეგი წლისთვის იმედი გვაქვს, რომ ეკონომიკის ზრდა იქნება დაახლოებით 5%, რაც იქნება ძალიან კარგი. აღნიშნულის მისაღწევად ჩვენ გვჭირდება პოლიტიკური სტაბილურობა, გაუმჯობესებული ბიზნეს-გარემო, ფისკალური სტიმულირება გონივრულ ფარგლებში, უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა. მთავრობამ ასევე, უნდა იმუშაოს უმუშევრობის აღმოფხვრის მიმართულებით და მეტი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, რათა ხელი შეეწყოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ქვეყნის ახალ მთავრობას აქვს კარგი შანსები აღნიშნულის მისაღწევად და ჩვენ გვსურს მათ დახმარება გავუწიოთ,“ — აღნიშნა სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა მარკ გრიფიტსმა.

2014 წლის ბიუჯეტის პროექტის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებულ საბოლოო პარამეტრებს მთავრობა პარლამენტს წარუდგენს.

მედიანიუსი




**21 ნოემბერს, 20:00 საათზე,** კინოთეატრ „ამირანში“, თიბისი ბანკის ორგანიზებით გაიხსნება „სამი მუშკეტერის“ პირველი საერთაშორისო კინოფესტივალი მსოფლიოში.

ფესტივალის ფარგლებში საზოგადოებას საშუალება ექნება, ნახოს „სამი მუშკეტერის“ ყველა დროის საუკეთესო ფილმები და გაიხსენოს ალექსანდრე დიუმას ამ გმირების მეგობრობის, ერთგულებისა და გვერდში დგომის დაუვიწყარი ისტორია!

ფესტივალი ტარდება თიბისი ბანკის ახალი საკომუნიკაციო პლატფორმის ფარგლებში, რომლის მიხედვითაც თიბისის ბრენდის ახალი მეგობრები ხდებიან თანამედროვე მუშკეტერები — ათოსი, პორთოსი და არამისი.

ფესტივალის დღეებში, **21-დან 24 ნოემბრის** ჩათვლით ნაჩვენები იქნება **1939 წლიდან დღემდე გადაღებული 8 ფილმი.**

ყოველდღე მაყურებელს საშუალება ექნება ნახოს დიუმას რომანის **2 ეკრანიზაცია — ერთი ძველი და ერთი ახალი.** ფილმების დასაწყისი 20:00 საათზე და 22:00 საათზე.

კინოფესტივალზე დასწრება შეეძლებათ ბანკის Facebook გვერდის მომხმარებლებს, რისთვისაც უნდა დარეგისტრირდნენ სპეციალურ აპლიკაციაში.

2013, 21 ნოემბერი, №276

# შსს მართვის მოწმობაში სისხლის ჯგუფისა და რეზუსის დატანას იწყებს

შორენა გონგლაძე

სიახლეა მართვის მოწმობებთან დაკავშირებით. ამიერიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო მართვის მოწმობებზე, მოქალაქეების სურვილის მიხედვით, სისხლის ჯგუფისა და რეზუსის დატანას იწყებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ტერიტორიაზე, სისხლის ბანკის თანადგომით, სისხლის კვლევითი ლაბორატორია გაიხსნა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ნინო კობახიძემ განაცხადა, ლაბორატორიაში სატრანსპორტო საშუალებების მართვის მოწმობაში საიდენტიფიკაციო მონაცემებთან ერთად, სისხლის ჯგუფისა და რეზუსის მითითების ყველა მსურველს აღნიშნული კვლევა ადგილზე ჩაუტარდება. ხოლო ყველა იმ პირს, ვინც სურვილს გამოთქვამს გახდეს სისხლის დონორი, გაიღოს 250 გრამი სისხლი და დაეხმაროს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს, შესაძლებლობა ეძლევა, სრულიად უფასოდ ჩაიტაროს გამოკვლევა 4 სახის ვირუსზე.

შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებმა და მოქალაქეებმა დონორობის სურვილი გამოთქვეს და მომსახურების სააგენტოს ტერიტორიაზე მოწყობილ ლაბორატორიაში სისხლი ნებაყოფლობით ჩააბარეს.

იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის სისხლის ბანკის და სამედიცინო დირექტორმა თამთა დემურიშვილმა განაცხადა, ბავშვების სიცოცხლის და არა მარტო ბავშვების სიცოცხლის გადასარჩენად ძალიან მნიშვნელოვანია შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინიციატივა.

— ეს ყველაფერი მომსახურების სააგენტოს ინიციატივით მოხდა. დღეიდან მართვის მოწმობაში დატანილი იქნება სისხლის ჯგუფი და რეზუსი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, გამომდინარე იქიდან, რომ ავტოკატასტროფის შემთხვევაში მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია თავისი სისხლის რეზუსის და ჯგუფის შესახებ. ხშირ შემთხვევაში, ამის დადგენაზე დრო იკარგება და ხშირად ლეტალობით მთავრდება. უმნიშვნელოვანესია ის, რომ ადამიანები, რომლებიც განახორციელებენ უანგარო დონაციას, მიიღებენ მონაწილეობას აქციაში — „გაიღე სისხლი — გადაარჩინე სიცოცხლე", რომელიც უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს. ეს სისხლი მოხმარდება ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს. ძალიან მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარეც, რომ ზოგჯერ სისხლი დაავადებული ბავშვებისათვის მედიკამენტებზე უფრო მნიშვნელოვანია, — განაცხადა თამთა დემურიშვილმა.

მართვის მოწმობაში მფლობელის სისხლის ჯგუფის ასახვა ნებაყოფლობითია, სადაც ექიმის მიერ გაცემული ცნობით, მითითებულია სისხლის ჯგუფი და რეზუსი, ან მომსახურების სააგენტოში ჩატარებული კვლევის საფუძველზე მოხდება, სატრანსპორტო საშუალებების მართვის მოწმობაში აღნიშნული ინფორმაციის ასახვა.

# „საქართველოს სამეფო ოჯახი" განცხადებას ავრცელებს

განცხადებას, რომელიც საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენასთან დაკავშირებით საზოგადოებაში გამოთქმულ მოსაზრებებს შეეხება, ხელს დავით ბაგრატიონ მუხრან ბატონიშვილი აწერს.

„მას შემდეგ, რაც ჩემი ვაჟი — გიორგი უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მონათლა და უფლისწული უწოდა, საზოგადოებაში არაერთხელ გაისმა საჯარო განცხადებები და მოწოდებები კონსტიტუციური მონარქიის აღდგენასთან დაკავშირებით.

მინდა, საჯაროდ განვაცხადო, რომ ეს მოწოდებები ჩემთან შეთანხმების გარეშე გაკეთდა და რომ ჩემი ოჯახი აღნიშნულ პროცესში არ მონაწილეობს.

ჩვენი მხრიდან არ გადაიდგმება არცერთი ნაბიჯი ქართველ ხალხთან და ახალ, დემოკრატიულად არჩეულ მთავრობასთან შეთანხმების გარეშე, რომელმაც იბრძოლა ჩვენი ერისა და ასევე ჩემი ოჯახის თავისუფლებისთვის", — ნათქვამია დავით ბაგრატიონ მუხრან ბატონიშვილის განცხადებაში.

**პირველი**

# პეტრე ცისკარიშვილი: „ხელისუფლებას განსხვავებული აზრის მოსმენა არ შეუძლია"

დეპუტატ პეტრე ცისკარიშვილის განცხადებით, საპარლამენტო უმცირესობა ახალი



მთავრობის დამტკიცებას მხარს არ დაუჭირა და ამისთვის საფუძვლიანი არგუმენტი აქვს. როგორც ცისკარიშვილმა განაცხადა, ახალი ხელისუფლების სიტყვა და საქმე ბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან.

„მაგალითად, მთავრობა მთელი ამ თვეების განმავლობაში ამბობდა და ამბობს, რომ ქვეყანას სჭირდება ძლიერი ოპოზიცია. სინამდვილეში კი, ყველაფერს აკეთებს, ოპოზიციის დასუსტებლად. არის დეპუტატებზე ზეწოლა, გადაბირების მცდელობა, საკრებულოს წევრების ისტორია ყველამ კარგად იცის, თითოეული„ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერზე, რეგიონებში, ქალაქებში არის მაქსიმალური წნეხი, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ჩვენს პარტიას უჭერენ მხარს" — განაცხადა ცისკარიშვილმა.

მისი თქმით, ხელისუფლება ამბობს, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება სურს, მაგრამ ვერ იტანს განსხვავებულ აზრს.

„არ შეგიძლიათ კრიტიკის, განხვავებული აზრის მოსმენა. ამაზე მყისიერად არის აგრესიული პასუხი, გაბრაზება და განსხვავებული აზრის შემწყნარებლობა საერთოდ გადადებულია გვერდზე. სასამართლოს დამოუკიდებლობა გვინდა, ვსაუბრობთ ამასთან დაკაშირებით, მაგრამ საქმით ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ სასამართლო ექვემდებარებოდეს „ქართული ოცნების" პოლიტიკურ ინტერესებს"- განაცხადა ცისკარიშვილმა პარლამენტში, სადაც მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებაზე მსჯელობდენ.

**ნიუსპრესი**

# შოთა უტიაშვილი: „ვანო მერაბიშვილი გამართლდება"

შორენა გონგლაძე

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის ადვოკატი გიორგი ჩივიაშვილი და შსს-ს ანალიტიკური სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი მიიჩნევენ, რომ 26 საქმეში მტკიცებულებებიდან დენსუსის ანგარიშის ამოღება ეჭვქვეშ აყენებს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას. განცხადება ამის შესახებ შოთა უტიაშვილმა და გიორგი ჩივიაშვილმა „პრაიმტაიმის" პრესკლუბში გააკეთეს. ჩივიაშვილის თქმით, დენსუსის ანგარიშის გათვალისწინებით, სასამართლომ შესაძლოა ვანო მერაბიშვილს 26 მაისის საქმეში გამამართლებელი განაჩენი გამოუტანოს, რის გამოც პროკურატურამ მისი მტკიცებულებიდან ამოღება მოითხოვა.



გიორგი ჩივიაშვილის განცხადებით, 26 მაისის საქმეში „დენსუსის" დასკვნა ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა.

— ეს, ჩვენი აზრით, სრული უსაფუძვლობაა, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში წერია, რომ უნდა იყოს შესაძლებელი იმ პირის დაკითხვა, ვინც აღნიშნული დოკუმენტი შეადგინა, ან იმ პირის დაკითხვა, ვისთანაც ინახებოდა ეს დოკუმენტი სასამართლო პროცესის დაწყებამდე. საქმეში ცალსახაა, რომ დოკუმენტი ბოლო პერიოდში პროკურატურაში ინახებოდა და ეს თავად პროკურატურამ გადმოგვცა, — განაცხადა გიორგი ჩივიაშვილმა.

ადვოკატის განცხადებით, დასკვნაში ცალსახად არის მითითებული, რომ 26 მაისის მიტინგი ტექნიკურად სწორად იყო დაგეგმილი და უბრალოდ, მისი განხორციელების დროს კონკრეტული პოლიციელების მიერ იყო გამოყენებული გადაჭარბებული ძალა, რაც მერაბიშვილის ბრძანებიდან არ გამომდინარეობდა. შესაბამისად, ადვოკატი მიიჩნევს, რომ პროკურატურის შუამდგომლობა არა რაიმე ტიპის პროცედურული ნორმების დაცვას, არამედ საქმიდან ვანო მერაბიშვილის უდანაშაულობის დამადასტურებელი ყველა მტკიცებულების გაქრობას ემსახურება.

— პროკურატურა ვალდებულია საქმეში როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი განაჩენი დატოვოს. თუმცა 19 ნოემბერს პროკურატურამ 26 მაისის საქმიდან ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაკვეთილი ანგარიშის ამოღება მოითხოვა. პროკურატურამ იცის, რომ თუ დენსუსის ანგარიში საქმეში დარჩება, მერაბიშვილი გამართლდება. მან ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებული ანგარიშის ამოღებასთან ერთად, მოწმეებად წარადგინა ნინო ბურჯანაძე და მისი ათეულობით მხარდამჭერი. პროკურატურის მტკიცებით, ამერიკული დენსუსის არასანდო მტკიცებულებაა, ხოლო პუტინისტების ჩვენებები სანდო, ეს არის პირდაპირი სიგნალი ყველასთვის, რომ თავისი ხელქვეითების მხარდამჭერების მეშვეობით, პუტინს საქართველოშიც კი შეუძლია თავისი მოწინააღმდეგეების გასამართლებას მიაღწიოს, — განაცხადა ჩივიაშვილმა.

შოთა უტიაშვილის თქმით კი, პროკურატურამ საქმიდან დასკვნის ამოღების პარალელურად, მოწმის სახით ნინო ბურჯანაძის ათობით თანაპარტიელის ჩვენებები წარმოადგინა.

— რა ხდება — ამერიკულ დასკვნას აღარ ვენდობით და, სამაგიეროდ, ვენდობით ბურჯანაძის პარტიას და მის მოწმეებს, პუტინისტებს? რა გამოდის — პუტინმა თავისი მომხრეებისა თუ მხარდამჭერების ხელით საქართველოში შეიძლება ნებისმიერი ადამიანი გაასამართლოს? — იკითხა შოთა უტიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ პროკურატურამ 19 ნოემბერს 26 მაისის საქმესთან დაკავშირებით მტკიცებულებიდან დენსუსის ანგარიშის ამოღება მოითხოვა. სასამართლო 27 ნოემბერს გადაწყვეტს, დაკმაყოფილდება თუ არა პროკურატურის მოთხოვნა.

# ხათუნა ოჩიაურმა ირაკლი ღარიბაშვილს ტონი დაუწუნა

შორენა გონგლაძე

მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ხათუნა ოჩიაური მიიჩნევს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის ტონი უმცირესობასთან დებატების დროს მიუღებელი იყო. განცხადება ამის შესახებ ოჩიაურმა „პრაიმტაიმის" პრესკლუბში გააკეთა. ოჩიაურის თქმით, ღარიბაშვილმა ოპონენტების მიმართ ზიზღი გამოამჟღავნა.

— გამომდინარე იქიდან, რომ ღარიბაშვილს პოლიტიკური წარსული არ აქვს, საინტერესო იყო, რა პრიორიტეტებით წარდგებოდა იგი უმცირესობის წინაშე. ღარიბაშვილმა მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. მიუღებელი იყო მისი ტონიც. შეიძლება ეს პოლიტიკურ გამოუცდელობას დავაბრალოთ. ყველა კითხვაზე, რაც ოპონენტების მხრიდან დაისვა, პასუხი არაკომპეტენტური იყო, — განაცხადა ხათუნა ოჩიაურმა. მისი განცხადებით, ოპონენტების მხრიდან მხოლოდ ზიზღი დაინახა და არა ურთიერთთანამშრომლობის სურვილი.

— ერთადერთი ხაზი, რომელიც გუშინ გამოიკვეთა, ეს არის პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ზიზღი და არაკომპეტენტურობა. რადგანაც შეკითხვებში, რომელიც დაისვა, არ იყო აგრესია, კითხვები ეხებოდა სამომავლო გეგმებს, მის ხედვას. ყველა კითხვაზე პასუხი იყო, რას აკეთებდით ცხრა წლის მანძილზე, არ გაქვთ მორალური უფლება, რომ ეს კითხვა დამისვათ და ასე შემდეგ. ანუ ისევ წარსულში ყურება ხდება



— წარსულს ღარიბაშვილი ვერ შეაფასებს, წარსულს შეაფასებს მომავალი. ამიტომ, ჩემი აზრით, ახალი ხელისუფლების მთავარი იდეა უნდა იყოს მომავლისკენ ყურება, იდეები, თუ რა უნდა გაკეთდეს. მაგრამ მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მათ არ გააჩნიათ გეგმები, რადგანაც კითხვაზე, თუ როგორ აპირებენ თუნდაც ეკონომიკური სტაგნაციის თავიდან აცილებას, სრულიად სასაცილო ფორმით იყო — ხადური უპასუხებს. ჩვენ ხადურის აზრები ისედაც ვიცით, თუნდაც მისი გასული წლის ინტერვიუ, სადაც ის აცხადებდა, რომ დაიწევდა დენის ტარიფი, გაიაფდებოდა საწვავი, ის ასახელებდა კონკრეტულ ციფრებს, ასევე ამბობდა, რომ იქნებოდა ექვსპროცენტიანი ეკონომიკური ზრდა და ასე შემდეგ. ანუ შარშან ამ დროს, ხადურს ძალიან ოპტიმისტური ვარაუდები ჰქონდა, რაც არ გამართლდა და სრულიად ნორმალური იქნებოდა, რომ თავად კოალიციის შიგნით დამდგარიყო ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობის საკითხი. თუმცა, მათ სხვა გზა აირჩიეს, ეს არის გადაბრალების გზა, რაც ძალიან ადვილია, და ამ გადაბრალების ერთ-ერთი ობიექტი მეც გახლავართ, რადგანაც ლაპარაკია იმაზე, რომ ეკონომიკურ ზრდას უშლიდნენ ხელს მიხეილ სააკაშვილი და გუბერნატორები, რაც მართლა სასაცილო ბრალდებაა, რომ კომენტარიც არ შეიძლება ამაზე. გუბერნატორს, სურვილი კი არა, რომ რაღაცაზე ხელი შეეშალა, ბერკეტიც კი არ გააჩნდა ამისი, — აცხადებს ოჩიაური. მისივე თქმით, ხელისუფლება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და მის მიერ დაშვებული შეცდომების სხვაზე გადაბრალებას ცდილობს.

— როდესაც მუდმივად უკან იყურები, ეს გამოწვეულია არაკომპეტენტურობითა და ხედვის არარსებობით და ტყუილებით, საზოგადოების მოტყუებით, რომ თითქოს არიან ადამიანები, რომლებიც ეკონომიკის განვითარებას უშლიან ხელს. ბევრად მძიმე მდგომარეობა იყო, როდესაც ქვეყანა ჩაიბარა ნაციონალურმა მოძრაობამ და ახლა რა თანხაც არის გარღვევა ბიუჯეტში, ზუსტად ანალოგიური თანხა იყო ნამატი ბიუჯეტში პირველივე წელს, როდესაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში. ანუ ეკონომიკური თვალსაზრისით იყო მუდმივი წინსვლა და აღმავლობა. მათ უნდა მოიფიქრონ, თუ როგორ გამოვიდეს ქვეყანა ამ მდგომარეობიდან, მაგრამ მე ეს ვერ დავინახე, დავინახე მხოლოდ ტონალობა, რომელიც ჰგავდა ჩემს ეზოში, ბოლო ერთი წლის მანძილზე გახშირებულ გარჩევებს და თუ ამას მოვისმენდი პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდანაც, ეს ნამდვილად არ მეგონა, — განაცხადა ოჩიაურმა.

# ემზარ გოგუაძე შსს-ს საზოგადოებრივი მაუწყებლიდან ირაკლი ციბაძის გაწვევისკენ მოუწოდებს

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ემზარ გოგუაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს მაუწყებლიდან უშიშროების მოქმედი ოფიცრის, ირაკლი ციბაძის გაწვევისკენ მოუწოდებს. მან ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რითიც პარლამენტში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის, ირაკლი ღარიბაშვილის გუშინდელ გამოსვლას გამოეხმაურა.

გოგუაძის თქმით, ამ საკითხზე დეპუტატ გიორგი კანდელაკის მიერ დასმულ შეკითხვაზე ირაკლი ღარიბაშვილმა, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ ციბაძე ნამდვილად მისი უწყების თანამშრომელია.

„მოვუწოდებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ირაკლი ციბაძე მაუწყებლიდან გაიწვიოს და ამ თანამდებობის საერთოდ გაუქმების გადაწყვეტილება მიიღოს. მსგავსი ფაქტები იმ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის რეციდივებია, რომელსაც ჩემს უფროს თანამებრძოლებთან ერთად ვებრძოდი და რომლისგანაც საქართველოს გათავისუფლების საქმეში გარკვეული წვლილი მაქვს შეტანილი", -— აღნიშნა ემზარ გოგუაძემ.

მისივე თქმით, თანამედროვე ეპოქაში მსგავსი ინსტიტუტების არსებობა თავისუფალი მედიისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა ყველა მნიშვნელოვან მონაპოვარს ეწინააღმდეგება.

„ირაკლი ციბაძემ საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა დატოვოს. მისი თანამდებობაცა და ფუნქციაც ტელევიზიაში სრულიად გაურკვეველია. არ შეიძლება, და ეს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევააცაა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ტელევიზიაში მუშაობდეს. ამით მედიის თავისუფლება იზღუდება", -— განაცხადა ემზარ გოგუაძემ.

**მედიანიუსი**

# პრეზიდენტმა ცესკოს წევრის შესარჩევი ღია კონკურსი გამოაცხადა

საქართველოს პრეზიდენტის 19 ნოემბრის განკარგულებით, გამოცხადდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის შესარჩევი ღია კონკურსი ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე.

როგორც „მედიანიუსს" პრეზიდენტის პრესსამსახურიდან აცნობეს, კანდიდატის შესარჩევად პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეიქმნა ოთხკაციანი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები: სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი ნინო ლომჯარია და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური, ასევე პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა აბაშიძე და პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმისწარმოებისა და საკადრო საკითხთა სამსახურის უფროსი დავით უმეკაშვილი.

ვაკანტურ ადგილზე საკონკურსო საბუთების წარდგენის ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 14 დღისა.



განაცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან ორ დღეში გამოქვეყნდება კანდიდატთა სია. ერთ ვაკანსიაზე კომისია შეარჩევს არა ნაკლებ ორ და არა უმეტეს სამ კანდიდატს და წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს. რის შემდეგაც, 7 დღეში, საქართველოს პრეზიდენტი მიიღებს გადაწყვეტილებას კანდიდატთა შერჩევის შესახებ და შერჩეულ ორ კანდიდატს წარუდგენს პარლამენტს.

**მედიანიუსი**

## ყაზბეგის საკრებულომ ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობაზე ნებართვა გასცა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობაზე ნებართვა გასცა. როგორც მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ალიბეგაშვილმა განუცხადა, შესაბამისი დოკუმენტაცია ინვესტორ კომპანიას უკვე გადაეცა და შეუძლია სამშენებლო სამუშაოები ნებისმიერ დროს დაიწყოს.

„გამგეობამ გადმოგვიგზავნა დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც ჰესის მშენებლობაზე ნებართვა გავეცი. ეს დოკუმენტები ჰესის მშენებელ კომპანიას უკვე გაეგზავნა“, — აღნიშნა ზაზა ალიბეგაშვილმა.

შპს „ფერის“ წარმომადგენლის ლაშა იორდანიშვილის განცხადებით, ხდის ხეობაში ჰესის სამშენებლო სამუშაოებს კომპანია რამდენიმე კვირაში დაიწყებს.

„მშენებლობის დაწყებამდე რაღაც ვალდებულებებია შესასრულებელი, რასაც დაახლოებით 1 კვირა, 10 დღე დასჭირდება. რამდენიმე კვირაში დავიწყებთ სამუშაოებს“, — განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ლაშა იორდანიშვილმა.

შპს „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობა, ყაზბეგის რაიონში, მდინარე თერგის მარჯვენა შენაკადზე — ბროლისწყალზე იგეგმება. გზშ-ს ანგარიშის მიხედვით, 6 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური დერივაციული ტიპის უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მდინარე მილებში უნდა მოაქციონ. ინვესტორმა ხდის ხეობაში „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოები გასულ წელს დაიწყო. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ჰესის მშენებლობა დროებით შეჩერდა. გარემოს დაცვის სამინისტრომ, ჰესის მშენებლობაზე დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არ გასცა, თუმცა რამდენიმე თვეში, ინვესტორმა სამინისტროს ახალი გზშ-ს ანგარიშით, ხელახლა მიმართა. 2013 წლის 4 ნოემბერს გარემოს დაცვის სამინისტრომ, „ყაზბეგი ჰესზე“ დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გასცა. კანონმდებლობით, ამის შემდეგ მშენებლობის ნებართვა ადგილობრივმა საკრებულომ უნდა გასცეს.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ალიბეგაშვილის პოზიცია ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე იყო ცნობილი. 2013 წლის 11 სექტემბერს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ჰესის გზშ-ს ანგარიშის განხილვაზე, საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „შესაძლოა, ჰესმა კალმახზე უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია, რადგან როდესაც რამე კეთდება, გარემოს ყოველთვის ადგება ზიანი“. გამგებელმა კი აღნიშნა, რომ ჰესების მშენებლობამ ხეობას საკუთარი სტრატეგიული ფუნქცია არ უნდა დაუკარგოს.

რამდენიმე დღის წინ, ზაზა ალიბეგაშვილმა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, რომ გამგეობა ჰესის მშენებლობის დაწყებას აჭიანურებდა და საკრებულოს მშენებლობის ნებართვის გასაცემად საჭირო დოკუმენტებს არ უგზავნიდა.

*მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი*

## ჩიორა თაქთაქიშვილი: „ღარიბაშვილი აშკარად ცდილობს ბიძინა ივანიშვილს მიბაძოს“



საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლის ჩიორა თაქთაქიშვილის განცხადებით, ირაკლი ღარიბაშვილი ცდილობს ბიძინა ივანიშვილს დაემსგავსოს, რაც მისი თქმით, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის იმიჯზე უარყოფითად აისახება.

როგორც თაქთაქიშვილმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, ირაკლი ღარიბაშვილი ვერასდროს გახდება ბიძინა ივანიშვილი. გარდა ამისა, თქთაქიშვილმა ახალ მთავრობას რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკა დაიწუნა და უთავმოყვარეობა უწოდა ხელისუფლების მიდგომას ამ საკითხის მიმართ.

„ჩვენ მოვისმინეთ დღეს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის გამოსვლა, მაგრამ არ შეიძლება არ შევაფასოთ გუშინდელიც. ის აშკარად ცდილობს და ძალიან ინდომებს, რომ ყველაფერში მიბაძოს ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ სამწუხაროდ, ეს უარყოფითად აისახება მის იმიჯზე. ის ცდილობს, რომ მისი წინამორბედის კვალდაკვალ თავი დაიმკვიდროს, ოპოზიციის მიმართ ხშირ შემთხვევაში, არაკორექტული მიმართვებით, მუქარით, პოლიტიკოსისთვის და პარლამენტისთვის შეუფერებელი საქციელით“ — განაცხადა თაქთაქიშვილმა.

მისი თქმით, ღარიბაშვილი ოპოზიციას რიტორიკის შეცვლისკენ მოუწოდებს და ემუქრება.

„ძალიან სამწუხაროა, რომ საფრანგეთში სწავლაც კი არ არის იმის გარანტია, რომ ადამიანმა გაითავისოს დემოკრატიის, თავისუფლების, თანასწორობის პრინციპები“ — განაცხადა თაქთაქიშვილმა.

მან ბიძინა ივანიშვილს ქართული პოლიტიკის ცუდი წასრული უწოდა. „ბატონო პრემიერ-მინისტრობის კანდიდატო, ვერასოდეს გახდებით ბიძინა ივანიშვილი, ერთი მარტივი მიზეზის გამო, იმის გამო, რომ თქვენ არ გაქვთ 7 მილიარდი, რომლითაც მოატყუებთ საქართველოს სიღარიბის ზღვარზე მყოფ მოქალაქეებს და ბოლოს გადააგდებთ, როგორც ეს გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა“ — განაცხადა თაქთაქიშვილმა.

მისი თქმით, ღარიბაშვილმა როგორც საქართველოს მოქალაქემ და მომავალმა პრემიერ-მინისტრმა უნდა იცოდეს, რომ რუსეთისთვის მიუღებელია წარმატებული, ეკონომიკურად ძლიერი, ევროპული საქართველო.

„რუსეთისთვის არ არის მისაღები და არ არის საკმარისი ის უთავმოყვარეობა, რომელსაც ქართული ხელისუფლება ბოლო ერთი წელია იჩენს. ცეკვა-თამაშის გამართვა კრემლში, სოჭში. საქართველოს ღირსეული სპორტსმენების მიგზავნა პუტინთან საახლებლად. ახალი პრეზიდენტის მითები კულტურის ორენოვანებაზე. რუსეთისთვის ეს ყველაფერიც კი არ არის საკმარისი და ის აგრძელებს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას. პაატა ზაქარეიშვილის ჩასმით ახალი მთავრობის შემადგენლობაში, თქვენ დაამტკიცეთ, რომ გააგრძელებთ ბიძინა ივანიშვილის კურსს“ — განაცხადა თაქთაქიშვილმა.

მისი შეფასებით, არაფერს კარგს არ მოუტანს საქართველოს ბიძინა ივანიშვილის და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისეული დამოკიდებულება რუსეთისადმი.

**ნიუსპრესი**

## ახალი პრემიერი ვილნიუსის სამიტს არ დაესწრება

**ნათია ხურცილავა**

ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით საქართველო ევროკავშირის კრიზისების გადაჭრასა და მის მართვაში მიიღებს მონაწილეობას. ამ ფაქტს, ცხადია, საქართველოში დადებითი შეფასებები მოჰყვა. აღნიშნული ფაქტი მაია ფანჯიკიძემ შეაფასა.

მაია ფანჯიკიძის შეფასებით, ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში ჩართვა საქართველოს სახელს აამაღლებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის შეფასებით, ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის ნდობის გამოცხადება, რაც ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შესაბამისი გადაწყვეტილების კომენტირებისას განაცხადა.

მინისტრის განცხადებით, ეს ჩართულობა ქართველ სპეციალისტებს გამოცდილებასაც შესძენს.

— გადაწყვეტილება მიღებულია ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ, რომ საქართველო ევროკავშირის ეგიდითაც ხდება საერთაშორისო მოთამაშე. მისი მონაწილეობა ასეთ ოპერაციებში საქართველოს მიმართ ნდობას და სახელს აამაღლებს და, რასაკვირველია, გამოცდილებას შესძენს ჩვენს შესაბამის სპეციალისტებს, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

როგორც ცნობილი გახდა, ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გასაღრმავებლად ნდობის ფონდი იქმნება.

ფონდის შექმნაზე, რომელიც საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის აქტივობებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მონაწილეობის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს, ლიტვა, დიდი ბრიტანეთი და უნგრეთი შეთანხმდნენ. აღნიშნულის შესახებ ბრიუსელში გამართულ ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოზე შეკრებილ ევროკავშირის ქვეყ-



ნების საგარეო და თავდაცვის მინისტრებს ლიტვის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა იუოზას ოლეკასმა აცნობა.

ფონდის შექმნა ლიტვის თავმჯდომარეობის დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხია, რათა აღმოსავლელ პარტნიორებთან პრაქტიკული თანამშრომლობა გაძლიერდეს. მომავალში ფონდს ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნებიც შეუერთდებიან.

— ეს არის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი: პარტნიორები აძლიერებენ ევროკავშირსა და ევროკავშირი აძლიერებს პარტნიორებს. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროკავშირთან თანამშრომლობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში არასდროს ყოფილა ისეთი, როგორიც დღეს. ეს ლიტვის განუწყვეტელი და მიზანმიმართული ძალისხმევის შედეგია. მოხარული ვარ, რომ ევროკავშირის ქვეყნების საგარეო და თავდაცვის მინისტრებთან შევთანხმდით, რომ საჭიროა შევინარჩუნოთ ახლო თანამშრომლობა ჩვენს პარტნიორებთან, რაც დადასტურდა შეხვედრის დასკვნის პროექტში. ვიმედოვნებ, რომ ევროპის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები ყურადღებას გაამახვილებენ პარტნიორობათა მნიშვნელობასა და ევროკავშირის, როგორც სამეზობლოში უსაფრთხოების მიმწოდებლის როლზე, — განაცხადა ლიტვის ერთ-ერთმა მინისტრმა საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრთა ერთობლივ სხდომაზე გამოსვლისას.

ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ, ლიტვის თავდაცვის მინისტრმა იუოზას ოლეკასმა აღნიშნა, რომ იმ პრიორიტეტებმა, რომლებიც ლიტვას უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სფეროში გააჩნია, საგარეო საქმეთა საბჭოს დასკვნების პროექტში სათანადო ასახვა ჰპოვა. ამ დასკვნების საფუძველზე, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპუი წინადადებებს წარადგენს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები მიმდინარე წლის დეკემბერში განიხილავენ.

როგორც ცნობილია, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო შეთანხმდა, რომ ხელი მოეწეროს ჩარჩო ხელშეკრულებას, რომელიც ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობას გულისხმობს.

საქართველოში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა ფილიპ დიმიტროვმა ევროკავშირის საგარეო უწყების ხელმძღვანელების მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეაფასა.

დიმიტროვი ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში საქართველოს ჩართვას ევროკავშირის მხრიდან აღიარებად მიიჩნევს.

როგორც საქართველოში ევროკავშირის ელჩმა ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შესაბამისი გადაწყვეტილების კომენტირებისას განაცხადა, ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირი საქართველოს სანდო პარტნიორად მიიჩნევს.

— ეს არის საქართველოს უნარებისა და შესაძლებლობების აღიარება, რომ თქვენ ქვეყანას შეუძლია, ევროპულ ოჯახთან ერთად განახორციელოს ის საქმიანობა, რაც ოჯახისთვისაა მნიშვნელოვანი. ეს არ არის სიახლე იმ თვალსაზრისით, რომ საქართველო უკვე ჩართულია სხვა ასეთი ტიპის ღონისძიებებში და ევროკავშირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს უერთდება. ეს არის ძალიან კარგი შეფასება და აღიარება იმისა, რომ ევროპული ოჯახი საქართველოს სანდო პარტნიორად მიიჩნევს, — განაცხადა ფილიპ დიმიტროვმა.

გუშინ, საგარეო საქმეთა მინისტრი კიდევ ერთ საკითხს გამოეხმაურა. ვილნიუსის სამიტზე ვინ იქნება პირველი პირის სტატუსით წარმოდგენილი პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი?

ვილნიუსის სამიტის დელეგაციის შემადგენლობა უკვე ცნობილია. თუმცა, ვილნიუსის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი წარმოადგენს თუ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი? თუმცა, როგორც მინისტრი კომენტარიდან ირკვევა, საკითხი გადაწყვეტილია.

როგორც განსაზღვრულია, ვილნიუსის დელეგაციაში ქვეყნის მხოლოდ ერთი პირველი პირი უნდა შედიოდეს.

საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ სამიტს ორი მინისტრი — ალექსი პეტრიაშვილი და თავად ფანჯიკიძე დაესწრება.

— ვილნიუსის დელეგაციაში იქნება საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტი. ორივე მათგანი, პრემიერი და პრეზიდენტი ვერ მოხვდებოდა, რადგან ერთი პირველი პირი უნდა იყოს, ერთი ხელმძღვანელი უნდა იყოს დელეგაციის. არის ორი მინისტრი — ბატონი ალექსი პეტრიაშვილისა და ჩემი სახით და არის კიდევ ხუთი ადამიანი, რომლებიც მუშაობდნენ ამ ხელშეკრულებაზე, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

## კახა კუკავა: „ხელისუფლებას თვითმმართველობის რეფორმის საკუთარ ინტერესებზე მორგება სურს“

**ნათია ხურცილავა**



არასაპარლამენტო ოპოზიცია კვლავ განაგრძობს ხელისუფლების მიერ დაგეგმილ თვითმმართველობის რეფორმის კრიტიკას. ოპოზიციის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ამ პროცესში ოპოზიცია არ არის ჩართული და ხელისუფლება თავის თავზე ირგებს აღნიშნულ რეფორმას.

არასაპარლამენტო ოპოზიცია მზად არის მიმართვა გაუგზავნოს ბიძინა ივანიშვილს, რომ აღნიშნული რეფორმა შეაჩეროს, რადგან განხილვები უფრო ფართომასშტაბით მოხდეს.

კახა კუკავა მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნება“ თვითმმართველობის რეფორმის საკუთარ ინტერესებზე მორგებას აპირებს.

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ თვითმმართველობის რეფორმის შესახებ გამართული კონფერენციის შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა.

— კონფერენციაზე შევთანხმდით, რომ უახლოეს ხანებში შევადგენთ მიმართვას, სადაც მოვითხოვთ, შეჩერდეს თვითმმართველობის ეს ე.წ. რეფორმა, რომელიც პრემიერ-მინისტრის აპარატის, მისი მრჩევლების მიერაა მომზადებული და რომელიც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, ევროპის საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც ანტიდემოკრატიული. ჩვენ კარგად გვახსოვს, თვითმმართველობა როგორ მოირგო ჯერ მოქალაქეთა კავშირმა, შემდეგ ნაციონალურმა მოძრაობამ და ახლა იგივეს „ქართული ოცნება“ აპირებს. უახლოეს დღეებში ჩვენ ოფიციალურად მივმართავთ პრემიერ-მინისტრს და ვთხოვთ, ნუ აიღებს თავის თავზე ამ ტვირთს, რომელიც საკმაოდ არაჯანსაღი ძალების მიერაა მომზადებული, — განაცხადა კუკავამ.

არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების დანარჩენი წარმომადგენლებიც იგივე პოზიციას აფიქსირებენ და ისინი თვითმმართველობის რეფორმის გადახედვას ითხოვენ.

არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიები გუშინ აღნიშნულ საკითხზე ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს შეხვდნენ.

ოპოზიციური პარტიები თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკუსიის დაწყებას და აღნიშნული დოკუმენტისთვის საერთაშორისო ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვენ.

თავისი პოზიცია გუშინ ჟურნალისტებთან არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს.

თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან თბილისის საკრებულოს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების კომისიის თავმჯდომარემ მამუკა კაციტაძემ კომენტარი გააკეთა.

მამუკა კაციტაძეც აცხადებს, რომ რეფორმის პროექტი სახელისუფლო კულუარებშია ჩაკეტილი და ოპოზიციის სხვადასხვა წარმომადგენლებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, რომ განხილვებში მონაწილეობა მიიღონ.

— ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა ხელისუფლების ინიციატივით უკვე დაიწყო. ძალიან სამწუხაროა, რომ 8 თვის განმავლობაში ეს პროცესი სახელისუფლებო კულუარებშია ჩაკეტილი. ამ დროს, ეს თემაა, რომელიც ფართო დისკუსიებს, გამჭვირვალობას და ჩართულობას ითხოვს. ამის გარდა, საერთაშორისო დასკვნები ისეთ დოკუმენტს, როგორიც თვითმმართველობის კოდექსია, არ ახლავს. ამიტომ ჩვენ ვიკრიბებით ადგილობრივი არასამთავრობოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად და მთავრობის წინაშე ლოგიკურ და კონკრეტულ მოთხოვნას ვაყენებთ, დაუყოვნებლივ გაიხსნას საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკუსია თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით და საერთაშორისო ექსპერტიზა ჩაუტარდეს აღნიშნულ დოკუმენტს. საქართველოს პარლამენტში მხოლოდ ამ ორი ფაქტორის შემდეგ უნდა დაიწყოს ამ დოკუმენტის განხილვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს რეფორმა ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის საგანი ვერ იქნება, — განაცხადა კაციტაძემ.

არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლების აღნიშნულ პოზიციებს იზიარებენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც, რომლებმაც გუშინ შეხვედრა გამართეს არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებთან.

## სახალხო დამცველი მთავარ პროკურატურას მიმართავს

სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა მთავარ პროკურატურას, ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის მიმართ კასპის საკრებულოს თანამშრომლების მხრიდან სისხლის სამართლის დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტი გამოიძიოს. შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტმა საბა წიწიკაშვილმა სახალხო დამცველს მიაწოდა ახსნა-განმარტება და ვიდეომასალა, რომლის თანახმად, 2013 წლის 15 ნოემბერს კასპის საკრებულოს სხდომაზე ქართლი.გე-ს ჟურნალისტები არ დაუშვეს.

„მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა რატი ზიკური ძალის გამოყენებით სცადა ჟურნალისტების შენობიდან გაძევება. თათხაშვილმა და დაცვის პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად ფისაბა წიწიკაშვილის განმარტებით, მას არ მისცეს შენობაში გადაადგილების, შემდეგ კი სხდომათა დარბაზში შესვლის უფლება“ — ნათქვამია სახალხო დამცველის ინფორმაციაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, დაუშვებელია ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა. ამავე კოდექსის 154-ე მუხლით, დასჯადია ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ან/და რაიმე ფორმით მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან.

**ნიუსპრესი**

# გალაკტიონს სპეციალური საიტი მიუძღვნეს

ეკა ირემაშვილი

**ქართველ პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს სპეციალური საიტი მიუძღვნეს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პოეზიის მეფის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება. ეს არის ყველაზე დიდი საიტი, რომელიც ერთ შემოქმედს ეძღვნება. გალაკტიონის საიტის საგანგებო პრეზენტაცია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა.**

ვებ გვერდი ლიტერატურის მუზეუმის მიერ არის შექმნილი. წარმოდგენილი მასალის მოცულობით, გალაკტიონ. ჯი არის ყველაზე დიდი ვებ-გვერდი, რაც ოდესმე რომელიმე ქართველი ავტორის შესახებ გაკეთებულა. აქ შესაძლებელია გაეცნოთ გალაკტიონ ტაბიძის მემკვიდრეობას სრულად — მის ყველა ნაწარმოებს, ფოტოს, ჩანაწერს, ჩანახატს, დღიურს, მიმოწერას, დოკუმენტსა თუ მემორიალურ ნივთს.

საიტის წარდგენის შემდეგ დაიგეგმა მერაბ ნინიძის მიერ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების, ჩანაწერების და წერილების წაკითხვა. თუმცა ღონისძიებამდე რამდენიმე საათით ადრე ცნობილი გახდა, რომ მერაბ ნინიძემ, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო დღევანდელი საღამოსთვის თბილისში ჩამოსვლა. ლიტერატურის მუზეუმში განმარტეს, რომ მერაბ ნინიძესთან შეხვედრა უახლოეს პერიოდში შედგება.

ვებ-გვერდი გალაკტიონის შესახებ შექმნილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. როგორც მუზეუმის ხელმძღვანელმა ლაშა ბაქრაძემ აღნიშნა, ამ საიტზე გალაკტიონის შემოქმედების შესახებ სრული ინფორმაციაა.

— ვებ-გვერდისთვის მასალების მოგროვება და ატვირთვა წელიწადნახევარია მიმდინარეობს და ამ დროისთვის მასალების 80% საიტზე უკვე განთავსებულია. ეს არის ყველაზე დიდი საიტი საქართველოში, შესაძლოა მსოფლიოშიც კი, რომელიც ცალკეულ მწერალს ეძღვნება. ამჟამად საიტზე განთავსებულია 2.000 ლექსი და ამ ლექსის სხვადასხვა ვარიანტია. 600 დღიური, 130-ზე მეტი დოკუმენტი, 200-ზე მეტი მისივე ჩანახატი, 250 პირადი წერილი, 100 განცხადება, მაგალითად, გალაკტიონის პოეტების მეფედ არჩევის 22 ბიულეტენია, 85 წერილი გალაკტიონისადმი, 50 მოსაწვევი, 500 ფოტო და კიდევ უამრავი მასალა. გარდა იმ მასალებისა, რაც ლიტერატურის მუზეუმს გააჩნდა, დოკუმენტები მოძიებულია გალაკტიონის ჭყვიშის და თბილისის სახლ-მუზეუმებში, ლიტერატურის მუზეუმს ასევე მასალა მოაწოდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო-ეროვნულმა ფონდმა და საქართველოს ეროვნულმა არქივმაც. მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ თქვენ შეგიძლიათ ნახოთ რუბრიკა ბიბ-



ლიოთეკა, აქ მოცემულია ის, რაც იყო გალაკტიონის ბიბლიოთეკაში. ვფიქრობ, თუკი მწერალზე ან ნებისმიერ პიროვნებაზე გვინდა შევიქმნათ რაღაც გარკვეული აზრი, ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა წიგნებს კითხულობდა. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა, რომ ჩვენ გვაქვს გალაკტიონის ბიბლიოთეკა მუზეუმში და წიგნების სახელები ატვირთულია საიტზე, არა მხოლოდ სახელები, არამედ თუკი ამ წიგნებზე არის გალაკტიონის ჩანაწერები, კომენტარები და შენიშვნები, ასევე არის ეს დასკანირებული და ამის ნახვაც შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. საიტი ინოვაციურია იმითაც, რომ აქვს ე.წ. „თაიმლაინი", რომლის საშუალებითაც მასალების ნახვა წლებისა და თვეების მიხედვითაა შესაძლებელი. მომავალში ძალიან გვინდა, რომ გავაკეთოთ საიტის ინგლისური ვერსიაც. არ ვსაუბრობ იმაზე, რომ ლექსები ვთარგმნოთ, მაგრამ საუბარია იმაზე, რომ ბიოგრაფიული მონაცემები, ფოტოს აღწერები და მინიმალური ინფორმაციის გაცნობის საშუალება ინგლისურადაც მიეცეს არაქართულენოვან მკითხველს. ასევე დაგეგმილია, რომ საიტს დაემატოს ბმულები, რომლითაც მომხმარებელს ამა თუ იმ ლექსის თარგმანის ნახვა შეეძლება, — განაცხადა ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელმა ლაშა ბაქრაძემ.

საიტზე განთავსებულ ყველა მასალას სპეციალური ნომერიც აქვს მინიჭებული, რომელიც მკვლევრებისთვის მათი ორიგინალების მოძიებას აადვილებს.

17 ნოემბერს გალაკტიონის დაბადებიდან 122 წელი შესრულდა. სწორედ ამ თარიღს დაამთხვია ლიტერატურის მუზეუმმა პოეზიის მეფეზე შექმნილი საიტის პრეზენტაცია. ცნობილია, რომ მისი ლექსები საკმაოდ პოპულარული გახდა გამოქვეყნებისთანავე, თუმცა „არტისტულმა ყვავილებმა" მას „გენიალური გალაკტიონისა" და „პოეტების მეფის" სახელწოდება მოუტანა. ჭყვიშში დაბადებული პოეტი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა, სადაც გამოსცემდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალს". პოეტი ასევე იყო ჟურნალ „მნათობის" ერთ-ერთი დამფუძნებელი. პარიზში კი მონაწილეობას იღებდა ანტიფაშისტურ კონგრესში.

მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონს არც პოპულარობა აკლდა და არც თაყვანისმცემლები, მან სიცოცხლე სულიერ სიმარტოვეში გაატარა, რამაც თავისი დაღი დაასვა მის შემოქმედებასაც. გალაკტიონმა 68 წლის ასაკში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, თუმცა წლების შემდეგ ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მას თვითმკვლელობის ცოდვა შეუნდო. პოეზიის მეფე მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია დაკრძალული.

გალაკტიონის შემოქმედება თარგმნილია ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. მისი ერთტომეული გამოიცა ბერლინში გერმანულ ენაზე. მისი შემოქმედების შესახებ მომზადებული სტატია შეტანილია „მსოფლიო ლიტერატურის ენციკლოპედიურ ლექსიკონში".

გალაკტიონის სახელის უკვდავსაყოფად თბილისში ვერის უბანში ფუნქციონირებს გალაკტიონის ხიდი. თბილისის 51-ე საჯარო სკოლა გალაკტიონის სახელს ატარებს. მარჯანიშვილის ქუჩაზე ფუნქციონირებს გალაკტიონის მემორიალური მუზეუმი. ის განთავსებულია იმ სახლში, სადაც პოეტმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა. მისი სამუშაო ოთახი და საცხოვრებელი გარემო თითქმის უცვლელადაა აღდგენილი. მემორიალური ნივთების გარდა, ამ მუზეუმში დაცულია ხელნაწერები, ფოტომასალები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. თბილისის გარდა, გალაკტიონის სახლ-მუზეუმი მოქმედებს მის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში.

კომპოზიტორმა ჯუმბერ ჯანდიერმა გალაკტიონის პოეზია მუსიკაში ააჟღერა. ის აღმოჩნდა პირველი კომპოზიტორი, ვინც პოეზიის მეფის შემოქმედება სანოტო სისტემას მოარგო.

# სამხატვრო აკადემია რეგიონულ ფესტივალს ატარებს

ეკა ირემაშვილი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია რეგიონალურ ფესტივალს მასპინძლობს. ფესტივალი ტარდება „ქოლოქიუმ IV, ფლორენცია 2014" თანამშრომლობის ფარგლებში. რეგიონული ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია ჩატარდება ვირტუალურ ექსპო და საერთაშორისო კონფერენცია, საერთაშორისო ვორქშოფი. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება სახელოვნებო მიმართულებებიც — ვიდეოარტი და ფოტოგრაფია, ვიზუალური და ციფრული ხელოვნება, სამოქალაქო არქიტექტურა, ფერწერა, გრაფიკა, მოდის დიზაინი, ტექსტილი, ხელოვნების ისტორია და თეორია, რესტავრაცია. ფესტივალის ორგანიზატორები არიან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მედიახელოვნების ფაკულტეტი, საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია.

— ამ ფესტივალის ფარგლებში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მიეცემათ შანსი, წარმოადგინონ თავიანთი სადიპლომო პროექტები „სმარტ" პრეზენტაციის სახით ინგლისურ ენაზე. ფესტივალის დახურვის ცერემონიაზე, ფესტივალის საერთაშორისო ბორდი გამოავლენს საუკეთესო პროექტებს და დააჯილდოებს პრიზებით, — აცხადებს სამხატვრო აკადემიის წარმომადგენელი ნათია პავლიაშვილი.

მისივე განმარტებით, ფესტივალის ფარგლებში ჩატარდება კონფერენციები, სადაც პროფესიონალები და კომპანიები ფესტივალის მონაწილეებს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მიღწევებს, გააცნობენ პროფესიულ სამყაროს და არსებულ შესაძლებლობებს. კომპანიები, უნივერსიტეტები და დეპარტამენტები გამოფენენ ინფორმაციას, პროდუქტს და სასწავლო პროექტებს.

— ვირტუალურ ექსპოში მონაწილე პროექტები, რომლებიც ამ გზით იქნებიან წარმოდგენილნი საერთაშორისო ასპარეზზე, დაჯილდოვდებიან საერთაშორისო სერტიფიკატებით. ინფორმაცია აიტვირთება ლომუალდელ ბიანკოს ფონდის საიტზე. ასევე ჩატარდება საერთაშორისო სტუდენტური ვორქშოფი, რომელზეც სტუდენტები პროფესორებთან ერთად იმუშავებენ ჯგუფებად მოცემულ თემებზე და ფესტივალის ბოლოს წარმოადგენენ ფინალურ „სმარტ" პრეზენტაციას, — ამბობს ნათია პავლიაშვილი.

რაც შეეხება პრიზება „სმარტის" პრეზენტაციისათვის, დაწესებულია პრიზები მოკლე პრეზენტაციისთვის, გრანპრი – 800 ლარი 3 დღე ფლორენციის საერთაშორისო ფესტივალზე, პირველი ადგილი – 400 ლარი, მეორე ადგილი – 300 ლარი, მესამე ადგილი – 250 ლარი. საერთაშორისო კონფერენციაში გამარჯვებული ორი მონაწილისათვის ასევე დაწესებულია 5 დღით ფლორენციის საერთაშორისო ვორქშოპზე გამგზავრება და ცხოვრება.

რეგიონული ფესტივალი თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში 24 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდება.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● სმენის დაქვეითების — სასმენი ნერვის ნევრიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, რადიკულიტის, სახსრების ანთების, შეუხორცებელი ჭრილობებისა და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟით. მიღება მხოლოდ წინასწარ ჩაწერით. ტელ: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● სასწრაფოდ იყიდება ბინა მდებარე მოსკოვის გამზირზე ახლადაშენებულ 11-სართულიან კორპუსში, მე-9 სართულზე, 55 მკვ აივნით და კარგი ხედით, ფასი შეთანხმებით. ტელ: 599191967 გელა.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათკვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 2306252; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით, ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირებით 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

## ზუგდიდს დარასელია გაწვრთნის

საფეხბურთო კლუბ „ზუგდიდის" ირგვლივ განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენების შედეგად კომპრომისი გამოიძებნა. საკუთარი განცხადების საფუძველზე „ზუგდიდის" დირექტორის პოსტი მალხაზ ჭეჟიამ დატოვა და განცხადება მას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დააკმაყოფილა.

საფეხბურთო კლუბი „ზუგდიდი" მადლობას უხდის აწ უკვე ყოფილ დირექტორს კლუბში გაწეული საქმიანობისთვის. გუნდის მთავარ მწვრთნელად კი გიორგი დარასელია დაინიშნა, რომელმაც დღეს, საფეხბურთო კლუბ „ზუგდიდში" პირველი ვარჯიში გამართა. გიორგი დარასელიას საფეხბურთო წრეებში წარდგენა არ სჭირდება, უბრალოდ, ფეხბურთის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ ის ისრაელიდან დაბრუნების შემდეგ გორის „დილას" ჩაუდგა სათავეში, ხოლო ახალგაზრდა სპეციალისტმა გორიდან რუსეთში გადაინაცვლა და ხაბაროვსკის „სკა ენერგიას" დამრიგებელი გახდა. ამჯერად, როგორც აღვნიშნეთ, დარასელია ისევ ქართულ კლუბს გაწვრთნის და მას ასისტენტობას კლიმენტი წიტაიშვილი გაუწევს.

რაც შეეხება სერგო გაბელაიას – პირველ რიგში ზუგდიდური კლუბი გაბელაიას დიდ მადლობას უხდის, ხოლო ამ გამოცდილ სპეციალისტთან მიღწეული შეთანხმების შედეგად, კლუბსა და მწვრთნელს შორის კონტრაქტი გაწყდა.

„ზუგდიდი" კი ახალ მთავარ მწვრთნელს, გიორგი დარასელიას ოფიციალურად, მორიგი ტურის წინ, თბილისის „ვიტ ჯორჯიასთან" გასამართ მატჩამდე წარადგენს.

## მოკრივეებს წარმატება სამინისტროში მიულოცეს

რუსეთის ქალაქ ანაპაში დასრულებულ ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის პირველობაზე წარმატებას მიაღწიეს ქართველმა მოკრივეებმა.

66 კგ. წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონის ტიტული გიორგი ხარაბაძემ მოიპოვა. ფინალურ ორთაბრძოლაში ქართველმა მოკრივემ უკრაინელ სტერან გრეკულს სძლია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ჯამში, ქართველმა მოკრივეებმა ევროპის ჩემპიონატზე 4 მედალი მოიპოვეს: 1 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა მე-3 ადგილი დაიკავა რუსეთისა და ირლანდიის შემდეგ.

74 კგ. წონით კატეგორიაში ვერცხლის პრიზიორი გახდა რატი ტლაშაძე, რომელმაც ფინალური ორთაბრძოლა ფრანგ ლუიო ტოტისთან დათმო, 46 კგ. წონით კატეგორიაში ბრინჯაოს დაეუფლა გიორგი ჩარგაზია, ხოლო 52 კილოგრამში ასევე ბრინჯაოს პრიზიორი უჩა მაისურაძე გახდა.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატზე მსაჯთა თავმჯდომარედ მიწვეული იყო საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი, აიბა-ს დელეგატი – ვლადიმერ ახალკაცი. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები მთავარ მწვრთნელ, კუკური შავგულიძის ხელმძღვანელობით ევროპის პირველობაზე 9 სპორტსმენით წარდგა. ჩემპიონატიდან წარმატებულად დაბრუნების შემდეგ, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებისა და კრივის ფედერაციის ხელმძღვანელების ერთობლივი პრესკონფერენცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაიმართა. ჟურნალისტებთან შეხვედრაზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ, კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა – დავით კვაჭაძემ და ევროპის ჩემპიონმა – გიორგი ხარაბაძემ ისაუბრეს.

**თამაზ თევზაძე:**

– ვულოცავ ნაკრების უფროს მწვრთნელ თემურ ლორთქიფანიძეს, ნაკრების და ფედერაციის ხელმძღვანელობას, მოკრივეთა პირად მწვრთნელებს და აბსოლუტურად ყველას, ვისაც ამ წარმატებაში წვლილი მიუძღვის.

**დავით კვაჭაძე:**

– ძალიან კარგი თაობები მოდის და მათ მაქსიმალური მხარდაჭერა სჭირდებათ. იმედია, მომავალ წელს მთავრობის მხრიდან მეტი დახმარება იქნება. ინფრასტრუქტურის პრობლემასაც მივხედავთ და ეს ხელშეწყობა შედეგებზეც აუცილებლად აისახება.

**გიორგი ხარაბაძე:**

– ოთხი შეხვედრა ჩავატარე და ოქროს მედალი მოვიპოვე. ისეთი ბედნიერი ვარ, სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. ეს ტიტული ჩემთვის დიდი სტიმულიცაა, უფრო მაღალი შედეგებისთვის საბრძოლველად.

## ამისულაშვილმა საქართველოს ნაკრები დატოვა

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები კიდევ ერთმა ფეხბურთელმა დატოვა – 31 წლის ალექსანდრე ამისულაშვილს თემურ ქეცბაიას გაწვრთნილ გუნდში თამაში არ სურს. ქეცბაიამ სატელევიზიო გადაცემაში ამისულაშვილის ნაკრებში არჩამოსვლის მიზეზებზე ისაუბრა, რამაც ფეხბურთელი გაანაწყენა.

– იმის შემდეგ, რაც ქეცბაიამ ჩემზე ილაპარაკა, მის გუნდში თამაშს ვეღარ შევძლებ. 16 წლისამ დავიწყე პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა და მთელი ამ ხნის განმავლობაში არავისთან მომსვლია კონფლიქტი, მათ შორის – არც ქეცბაიასთან, მაგრამ მწვრთნელი ასეთ რაღაცებს რომ იტყვის ჩემზე, ასეთ კაცთან ვეღარ ვიმუშავებ. პირველი არ ვარ, ვინც საქართველოს ამ ნაკრებიდან ასე მიდის და ღმერთმა ქნას, ბოლო ვიყო. ნაკრების ფეხბურთელებს მთელი გულით ვუსურვებ წარმატებებს, – აცხადებს ამისულაშვილი და დასძინა, რომ თავად სატელევიზიო გამოსვლებით არ აპირებს „ყვირილს" და ქეცბაიას პირში ეტყვის, თუ რა პრეტენზიები აქვს მასთან.

– ესპანეთთან მატჩი 14 ოქტომბერს იყო, მანამდე კი რუსეთის ჩემპიონატში ვითამაშე, მატჩის მერე ფეხი ამტკივდა, ექიმმა მითხრა, 7-8 დღე უნდა დაისვენოო, ეს პერიოდი კი 12-13 ოქტომბერს მთავრდებოდა და ამიტომაც ვერ მოვახერხე ნაკრებში ჩამოსვლა, – ამ მიზეზს ასახელებს ამისულაშვილი ნაკრებში ვერჩამოსვლის გამო.

უნდა ითქვას, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ნაკრებს ფეხბურთელი ქეცბაიაზე განაწყენებული ტოვებს. ნაკრები მანამდე საკუთარი სურვილით დატოვეს გოგიტა გოგუამ, ზურაბ ხიზანიშვილმა და ლევან ყენიამ.

## ბორჯღალოსნები სამოასთვის ემზადებიან

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ნოემბრის ბოლო ტესტმატჩისთვის „შევარდენის" სანაკრებო ბაზაზე ემზადება. მილტონ ჰეიგის გუნდი 23 ნოემბერს „ლოკომოტივის" სტადიონზე სამოას ნაკრებს დაუპირისპირდება. 19 ნოემბერს ეროვნულმა გუნდმა ღია ვარჯიში გამართა, რომელსაც მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ და მომავალ თამაშთან დაკავშირებით მორაგბეების მოსაზრებები მოისმინეს.

ამერიკასთან მძიმე მარცხის შემდეგ „ბორჯღალოსნები" მომავალი შეხვედრისთვის ოპტიმალური შემადგენლობით ვარჯიშობენ, ანუ ყველა მორაგბე, ვინც თბილისში ჰეიგის განკარგულებაში იყო, სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ერთადერთი, ვინც ინდივიდუალურად ემზადება, ნაკრების კაპიტანი ირაკლი მაჩხანელია.

მაჩხანელი კანადასთან მიღებულ ტრავმას მკურნალობს. მან ამერიკასთან მნიშვნელოვანი დაპირისპირება გამოტოვა. აშშ-სთან წაგება „ბორჯღალოსნები" რეიტინგშიც დააქვეითა, შესაბამისად სამოასთან შეხვედრა ორმაგად მნიშვნელოვანია.

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა:

პირველი ხაზი: დავით ხინჩიგაშვილი (რასინგ მეტრო, საფრანგეთი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე, საფრანგეთი), სიმონ მაისურაძე (ბანიერი, საფრანგეთი), შალვა მამუკაშვილი (არმია), რევაზ ბელქანია (ლელო), დავით ქუბრიაშვილი (სტად ფრანსე, საფრანგეთი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი, საფრანგეთი);

მეორე ხაზი: კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე, გიორგი ნემსაძე (ორივე ტარბი, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი, საფრანგეთი);

მესამე ხაზი: მამუკა გორგოძე (მონპელიე, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი (მასი, საფრანგეთი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი);

9-10: გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვაჟა ხუციშვილი (ხარები), მერაბ კვირიკაშვილი (ვიენი, საფრანგეთი), ლაშა მალაღურაძე (ბანიერი, საფრანგეთი), ლაშა ხმალაძე (ლელო);

უკანა ხაზი: მერაბ შარიქაძე, თამაზ მჭედლიძე (ორივე ბურგ-ან-ბრესი, საფრანგეთი), დავით კაჭარავა (ენისეი, რუსეთი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო, საფრანგეთი), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი).

# ირაკლი ღარიბაშვილი: სპორტის განვითარებისთვის სერიოზული გეგმები გვაქვს



საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის" – სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე იმსჯელეს, სადაც სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრობის კანდიდატს ლევან ყიფიანს მოუსმინეს.

ლევან ყიფიანი:

– ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებისთვის ხელშეწყობა სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. მუშავდება სპორტის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი და სტრატეგიული გეგმა. ქვეყნის მასშტაბით დაიწყება არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა, რეგიონებში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების შექმნა და მათი აღჭურვა თანამედროვე ინვენტარით. ახლად დაფუძნებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი მუშაობას დაიწყებს თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო სისტემით და გახდება სასპორტო განათლების რეგიონული ცენტრი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პროფესიული სპორტული განათლების, აგრეთვე სპორტის მეცნიერების, მათ შორის, სპორტის მედიცინისა და სპორტის სამართლის განვითარებას.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის" – სამთავრობო პროგრამას და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრობის პოსტზე ლევან ყიფიანის კანდიდატურას ნდობა 10 ხმით 1 წინააღმდეგ გამოუცხადეს.

სპორტის განვითარებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა პრემიერმინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველო წარმატებული სპორტსმენების რაოდენობით გამოირჩევა და ამ სფეროში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანაა.

ირაკლი ღარიბაშვილი:

– რაც შეეხება სპორტის განვითარებას, გვაქვს სერიოზული გეგმები. ძალიან წარმატებული სპორტსმენები გვყავს ჩვენ, საქართველო წარმატებული სპორტსმენების რაოდენობით გამოირჩევა. მართლაც ვართ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანა ამ მიმართულებით. როცა მე მაჟორიტარებთან მქონდა შეხვედრა, განვიხილეთ სპორტული დარბაზების მშენებლობის პროექტი, რომელიც უკვე წარმოდგენილია. ამაში ჩართულია განათლების სამინისტროც. ჩვენ გვაქვს სამწლიანი გეგმა. სამი წლის განმავლობაში ჩვენ სერიოზული ცვლილებები უნდა განვახორციელოთ ამ მიმართულებით. უნდა მოხდეს დარბაზების მშენებლობა. ჩვენ, მთავრობამ, უნდა შევუწყოთ ხელი სპორტის განვითარებას და ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებას ჩვენს საზოგადოებაში.

ფინანსთა მინისტრობის კანდიდატმა ნოდარ ხადურმა კი განაცხადა, რომ მთავრობამ სპორტის უნივერსიტეტის რეაბილიტაციისთვის 200.000 ლარი გამოყო.

ნოდარ ხადური:

– ამ თხოვნით სპორტის სამინისტრომ მოგვმართა და ეს თხოვნა დავაკმაყოფილეთ. ამის შესახებ ლევან ყიფიანმა ჯერ არ იცოდა და ახლა შეიტყო. ეს მცირედიც კი არის იმის დასტური, რომ ჩვენთვის სპორტი მნიშვნელოვანია.

# მუნდიალი სრულად დაკომპლექტდა

მსოფლიოს ჩემპიონატზე გასული გუნდები ცნობილია. ევროპიდან ცამეტი გუნდი ითამაშებს: ბელგია, იტალია, გერმანია, ჰოლანდია, შვეიცარია, რუსეთი, ბოსნია, ინგლისი, ესპანეთი, ხორვატია, პორტუგალია, საბერძნეთი და საფრანგეთი. მათ აზიიდან იაპონია, ავსტრალია ირანი და სამხრეთ კორეა, ჩრდილოეთ ამერიკიდან კოსტა რიკა, აშშ, ჰონდურასი და მექსიკა, სამხრეთ ამერიკიდან არგენტინა, კოლუმბია, ჩილე, ეკვადორი და ურუგვაი, აფრიკიდან ნიგერია, კოტ დივუარი, კამერუნი, განა და ალჟირი, ხოლო მასპინძლის სტატუსით ბრაზილია შეუერთდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ მუნდიალზე წინა ჩემპიონატების რვავე გამარჯვებული ნაკრები ითამაშებს.

**შვედეთი-პორტუგალია 2:3**

0:1 რონალდუ (50), 1:1, 2:1 იბრაჰიმოვიჩი (68, 72), 2:2, 2:3 რონალდუ (77, 79)

**შვედეთი:** ისაქსონი, ლუსტიგი, ანტონსონი, ნილსონი, ოლსონი, კაჩანიკლიჩი (დურმაზი 82), კალსტრიომი, ელმი (სვენსონი 46), ლარსონი (გერნდტი 90), ელმანდერი, იბრაჰიმოვიჩი

**პორტუგალია:** რუი პატრისიო, ჟოაო პერეირა, პეპე, ალვეში, კოენტრაუ (ანტუნეში 53), მოუტინიო, ველოზუ, მეირელეში (ბ.კარვალიო 74), რონალდუ, ნანი, ალმეიდა (კოშტა 82)

ორი სუპერვარსკვლავიდან ერთი ბრაზილიაში გასამართ მუნდიალს დააკლდება და ეს ზლატან იბრაჰიმოვიჩია. უნდა ვთქვათ, რომ შვედი მართლაც დიდი დანაკლისი იქნება, მაგრამ აბა, რონალდუ? პორტუგალიელმა ყველაფერი გაიღო მისი გუნდის მოსაგებად და შვედების კარში 4 ბურთი გაიტანა. აქედან სამი მათსავე მოედანზე.

რონალდუ საქმეს შესვენების შემდეგ შეუდგა. 50-ე წუთზე, მოუტინიოს პასით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. ამ გოლმა შვედები ძალზე რთულ მდგომარეობაში ჩააგდო – ჰამრენის გუნდს, ფინალურ ეტაპზე გასასვლელად, უკვე 3 გოლის გატანა სჭირდებოდა.

იბრაჰიმოვიჩმა ორი გაახერხა: ჯერ კელსტრომმა კუთხური მოაწოდა, ზლატანმა თავით ზუსტად დაარტყა და ანგარიში გათანაბრდა. 4 წუთში კი, საჯარიმო დარტყმა შეასრულა ზუსტად და ანგარიში უკვე 2 მატჩის ჯამშიც გათანაბრდა. თუმცა, სტუმრად გატანილი გოლის წესის წყალობით, უპირატესობას პორტუგალიელები ფლობდნენ.

შეტევაში დიდი ძალებით წასული შვედეთი რონალდუმ დასაჯა. 77-ე წუთზე მან ალმეიდას პასი გამოიყენა. კიდევ ორ წუთში, კრიშტიანუმ მოუტინიოს მორიგი კარგი გადაცემით იხეირა და ეროვნულ გუნდში მე-2 ჰეთ თრიქი გაიფორმა, ნაკრებში გატანილი გოლების რაოდენობით (47) რეკორდსმენ პაულეტას გაუტოლდა და რაც მთავარია, გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა.

**საფრანგეთი-უკრაინა 3:0**

1:0 სახო (22), 2:0 ბენზემა (34), 3:0 გუსევი (72სკ)

ფრანგებს კი უკრაინელებთან ორბურთიანი ჰანდიკაპი ჰქონდათ „ამოსაქაჩი", რაც, სხვათა შორის, გააკეთეს კიდეც და მეტიც: 3:0 მოიგეს შეხვედრა ათკაციან უკრაინასთან, რომელიც უშანსოდ დამარცხდა პარიზში.

**რუმინეთი-საბერძნეთი 1:1**

0:1 მიტროღლუ (23), 1:1 ტოროსიდისი (54სკ)

ბერძნებს პირველი მატჩი მოგებული ჰქონდათ (3:1) და ეს უპირატესობა 23-ე წუთზე უფრო კომფორტული გახადეს – მიტროღლუმ მორიგი გოლი მიითვალა. მართალია რუმინელებს შანსი ისევ ბერძნებმა გაუჩინეს, როდესაც ტოროსიდისმა ბურთი საკუთარ კარში გაიტანა, მაგრამ ეს იყო რუმინელთა მაქსიმუმი.

**ხორვატია-ისლანდია 2:0**

1:0 მანჯუკიჩი (27), 2:0 სრნა (47)

ისლანდიელთა მოხვედრა პლეი ოფშიც სენსაცია იყო, ამიტომ ხორვატთა გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. ასეც მოხდა – მანჯუკიჩმა და სრნამ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**მჩ-2014. შესარჩევი ეტაპი**

**პლეი ოფები**

| | |
|---|---|
| ხორვატია-ისლანდია | 2:0 |
| რუმინეთი-საბერძნეთი | 1:1 |
| საფრანგეთი-უკრაინა | 3:0 |
| შვედეთი-პორტუგალია | 2:3 |
| ა.ზელანდია-მექსიკა | 2:4 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| არგენტინა-ბოსნია | 2:0 |
| ავსტრალია-კოსტა რიკა | 1:0 |
| ყირგიზეთი-აზერბაიჯანი | 0:0 |
| ინდოეთი-ნეპალი | 2:0 |
| რუსეთი-ს.კორეა | 2:1 |
| სლოვენია-კანადა | 1:0 |
| ლიხტენშტეინი-ესტონეთი | 0:3 |
| მალტა-ფარერები | 3:2 |
| ნამიბია-მოზამბიკი | 0:0 |
| ნორვეგია-შოტლანდია | 0:1 |
| თურქეთი-ბელარუსი | 2:1 |
| გიბრალტარი-სლოვაკეთი | 0:0 |
| ს.აფრიკა-ესპანეთი | 1:0 |
| ჰოლანდია-კოლუმბია | 0:0 |
| ავსტრია-აშშ | 1:0 |
| პოლონეთი-ირლანდია | 0:0 |
| ინგლისი-გერმანია | 0:1 |
| ბელგია-იაპონია | 2:3 |
| ტრინიდადი-იამაიკა | 2:0 |
| ბრაზილია-ჩილე | 2:1 |
| ჰონდურასი-ეკვადორი | 2:2 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-მინესოტა | 104:100 |
| დეტროიტი-ნიუ იორკი | 92:86 |
| მაიამი-ატლანტა | 104:88 |
| ჰიუსტონი-ბოსტონი | 109:85 |
| საკრამენტო-ფინიქსი | 107:104 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ბუფალო-სენტ ლუისი | 1:4 |
| ტორონტო-აილენდერსი | 5:2 |
| ფილადელფია-ოტავა | 5:2 |
| დეტროიტი-ნეშვილი | 0:2 |
| მონრეალი-მინესოტა | 6:2 |
| რეინჯერსი-ბოსტონი | 1:2 |
| კოლორადო-ჩიკაგო | 5:1 |
| ედმონტონი-კოლამბუსი | 7:0 |
| ვანკუვერი-ფლორიდა | 2:2(0:1ბ) |
| ლოს ანჯელესი-ტამპა ბეი | 5:2 |

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# რამაზ ჩხიკვაძეს ძეგლი დაუდგეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რამაზ ჩხიკვაძე არაერთი საერთაშორისო ჯილდოსა და პრემიის მფლობელია. რუსთაველისა და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მეუღლის ნატაშა ჩხიკვაძის გვერდით არის დაკრძალული. ქუჩას, რომელზეც მსახიობი ცხოვრობდა რამაზ ჩხიკვაძის სახელი ეწოდა.



რამაზ ჩხიკვაძის ძეგლი 9 აპრილის ბაღში ტაშისა და ოვაციების ფონზე გაიხსნა. ისმოდა ნაწყვეტები აზდაკის გმირის მონოლოგებისა სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე“, ჟღერდა სიმღერები მსახიობის შესრულებით.

როგორც რამაზ ჩხიკვაძის ძეგლის გახსნაზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა:

– დიდია რამაზ ჩხიკვაძის დამსახურებები საქართველოსა და ქართული თეატრის წინაშე. არსებობენ ადამიანები, რომლებიც წარუშლელ კვალს ტოვებენ ქვეყნის ცხოვრებაში, ასეთი ადამიანი გახლდათ რამაზ ჩხიკვაძე, სწორედ ამიტომ ვუდგამთ მას ძეგლს და პატივს მივაგებთ მის უკვდავყოფას. რამაზმა მთელი ეპოქა შექმნა თეატრის ცხოვრებაში და ის გენიალური მსახიობების თანავარსკვალვედში ჩაეწერა. მან მართლაც ქართულ თეატრში მთელი ეპოქა შექმნა. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, როგორი პოპულარული იყო რამაზ ჩხიკვაძე, როგორ ალტაცებაში მოჰყავდა რამაზს მაყურებელი, როგორ გააოცა შექსპირის სამშობლოც კი საკუთარი შემოქმედებით და მან სიცოცხლეშივე მოახერხა საკუთარი შემოქმედების უკვდავყოფა. რამაზი ჩემი და ჩემი ოჯახის მეგობარი გახლდათ და ჩვენ ამით ძალიან ვამაყობთ. ქართველმა ხალხმა მოახერხა და ძეგლის აგებით მას დიდი პატივი მიაგო. ჩვენი თაობა ბედნიერია, რომ რამაზის ეპოქაში ვცხოვრობდით და მოვახერხეთ სცენაზე გვენახა ამ გენიალური მსახიობის შემოქმედება. დღესაც არ დაგვიმალავთ და გეტყვით, გაზრდისთანავე თეატრში მივდივარ და ალბათ მეათედ ვნახავ სპექტაკლ „ჩემი გაზაფხულის ეშმიდელმა“, სადაც ერთ-ერთ პერსონაჟს რამაზი ახმოვანებს. ვულოცავ საქართველოს დღევანდელ დღეს და ვულოცავ ამ დღეს ქართულ კულტურას.

თბილისის მერის გიგი უგულავას თქმით:

– რამაზ ჩხიკვაძის მოსაგონად ბრეხტის სიტყვები მახსენდება, რომელიც მსახიობმა თავის დროზე არაერთხელ გაახმოვანა. ყველა სიკეთე ამ ქვეყანაზე უნდა ეკუთვნოდეს იმათ, ვინც ამ სიკეთეს თესავს. ეს დიდებული სიტყვები სწორედ რამაზ ჩხიკვაძემ გაახმოვანა ქართული საზოგადოების წინაშე და ეს სიტყვები დღეს, როგორც არასდროს, აქტუალურია. დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ბატონ ზურაბ წერეთელს, რომელმაც ასეთი საჩუქარი გაუკეთა დედაქალაქს და თითოეულ ქართველს. რამაზ ჩხიკვაძე ჩვენთვის მუდამ ცოცხალი დარჩება.

რუსთაველის თეატრის მსახიობის კახი კავსაძის განცხადებით:

– თეატრი არის ის ინსტიტუტი, რომელიც ერის სულიერ დონეს განსაზღვრავს დღეს. დღეს ვინ არის ხალხი, როგორ სუნთქავს, რას წარმოადგენს, ამას ამბობს თეატრი. სწორედ ამ თეატრს, ამ სამსახურს, ამ საქმეს ემსახურებოდა რამაზი მთელი თავისი ცხოვრება და ემსახურებოდა ბოლომდე. თავისი ცხოვრება დაუდო იმ საქმეს, რომელსაც ქართველი კაცის სულიერი ცხოვრება ეწოდება, ამიტომ რამაზი ყოველთვის უკვდავია, ლილი მადლობა ზურაბ წერეთელს, რომ ასეთი ძვირფასი საჩუქარი გაუკეთა ქართველ ხალხს და რამაზის სახელს ასე უკვდავყო. დიდი მადლობა ყველას, ვინც მოვიდა და რამაზის სახელი ასეთი სიყვარულით შეავსეს.

რამაზ ჩხიკვაძის შვილის, ალექსანდრე ჩხიკვაძის თქმით:

– ძალიან დიდი საქმე გაკეთდა, რადგან ეს არ არის მარტო მამაჩემის სახელის უკვდავყოფა, აზდაკი არ არის მარტო რამაზ ჩხიკვაძე, ეს არის საქართველოს კულტურა, რუსთაველის თეატრის რენესანსი, ისტორია. ეს ისეთი პერსონაჟია, რომელიც ნებისმიერ დროს აქტუალურია. მინდა ამ ბაღში აზდაკი, როგორც ყოველთვის, იყოს განაჩენის გამომტანი დროის, ხალხის და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას, ვინც ამაში მიიღო მონაწილეობა.

ქანდაკების ავტორმა ზურაბ წერეთელმა 9 აპრილის ბაღში შეკრებილ საზოგადოებას შეკითხვით მიმართა, მოეწონათ თუ არა რამაზ ჩხიკვაძის ძეგლი. პასუხი დადებითი აღმოჩნდა და დასტურის ნიშნად შეკრებილმა საზოგადოებამ აზდაკის ძეგლს და რამაზ ჩხიკვაძეს ტაში კიდევ ერთხელ დაუკრა.

ეკა ირემაშვილი

# კულტურის სამინისტროს არასამთავრობოები მიმართავენ

ეკა ირემაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირებას სთხოვენ.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ კახა კოჟორიძემ და „ტფილისის ჰამქარის“ ხელმძღვანელმა ალეკო ელისაშვილმა ამ საკითხს საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნეს.

– ეკონომიკის სამინისტროს მიერ პარლამენტისთვის შეთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებებით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა მარტივდება. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელი ხდება ისეთ გაურკვეველ და ბუნდოვან პირობებში, როგორიცაა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აუცილებლობის არსებობა. შეშფოთებას იწვევს ის ფაქტიც, რომ კანონპროექტის პარლამენტში განხილვა რეგლამენტის წესის დარღვევით მოხდა. განათლებისა და კულტურის კომიტეტმა კანონპროექტი მისი მიღებიდან მესამე დღეს განიხილა. ამასთან, სხდომის შესახებ ინფორმაცია სხდომის დაწყებიდან ერთი საათით ადრე გამოქვეყნდა. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს კი კანონპროექტის განხილვის შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ გამოუქვეყნებია. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილების წინააღმდეგ პეტიცია შევიმუშავეთ, რომელსაც დღეისთვის 14 არასამთავრობო ორგანიზაცია და 500-ზე მეტი ფიზიკური პირი აწერს ხელს. პეტიციის ხელმომწერები მოითხოვენ პარლამენტისგან მხარი არ დაუჭიროს აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებას და ძალაში დატოვოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონში დღემდე მოქმედი რეგულაცია. კულტურის სამინისტრომ ღიად დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით. ასევე, ეკონომიკის სამინისტრომ განუმარტოს საზოგადოებას, რა იგულისხმება განმარტებით ბარათში აღნიშნული „საზოგადოებრივი მნიშვნელობის გარკვეულ შემთხვევაში“, – აცხადებს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე.

როგორც „ტფილისის ჰამქარის“ ხელმძღვანელი ალეკო ელისაშვილი აღნიშნავს:

– „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები, სავარაუდოდ, ე.წ. მიხაილოვის საავადმყოფოს შენობის გაყიდვას უკავშირდება. სავარაუდოდ, გაიყიდება ინვესტორზე, რომელიც ე.წ. მიხაილოვის საავადმყოფოს შენობას შეიძენს. შენობა სამი კორპუსისაგან შედგება, ცენტრალური და ორი გვერდითი კორპუსები, რომლებიც აღმაშენებლის გამზირზე გამოდის. ინვესტორი ხელისუფლებისგან ითხოვდა წასულიყო კომპრომისზე და ეს ორი გვერდითი შენობების დანგრევა განეხორციელებინა. სავარაუდოდ, ამ ადგილზე 100 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება, შენონების შესაძენად 7 მილიონი ლარი არის გათვალისწინებული. მიმაჩნია, რომ საჭიროა ხელისუფლებამ აღნიშნული საკითხი განსახილველად გამოიტანოს. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ამჟამად ინვესტორთან მოლაპარაკებების პროცესი მიმდინარეობს. კულტურის სამინისტროში გარკვეულმა პირებმა უარი განაცხადეს შენობისთვის კულტურის ძეგლის სტატუსი მოეხსნათ. აღნიშნულის გამო სასწრაფოდ ხდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების განხორციელება. ეკონომიკის სამინისტროს ინიცირებით, პარლამენტში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონში ცვლილებათა პროექტი შევიდა, კერძოდ, ძეგლის სტატუსის მოხსნა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უნდა გამარტივდეს, – ამბობს „ტფილისის ჰამქარის“ ხელმძღვანელი.

როგორც კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა:

–მთავრობა „განსაკუთრებულ შემთხვევებში“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს სტატუსს მოუხსნის. მთავრობას უფლებამოსილება ეძლევა „განსაკუთრებულ შემთხვევებში“ განკარგულება გამოსცეს და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტს სტატუსი მოუხსნას. შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკუთვნის, რომელიც პარლამენტში უკვე ინიცირებულია. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ მოქმედი კანონის გათვალისწინებით, ძეგლისთვის სტატუსის მოხსნა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ძეგლი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ ისტორიული თუ კულტურული ღირებულება დაკარგა, რომლის აღდგენაც შეუძლებელია, ან მეცნიერული კრიტერიუმებით ის ძირითადი მახასიათებელი აქვს დაკარგული, რომლის გამოც ობიექტს ძეგლის სტატუსი მიენიჭა. კანონი ძეგლისთვის სტატუსის მოხსნის რაიმე სახის საგამონაკლისო ნორმებს და აღნიშნულისგან განსხვავებულ საფუძვლებს, სადღეისოდ არ ითვალისწინებს. ეკონომიკის სამინისტროს მიერ პარლამენტში ინიცირებული პროექტის თანახმად კი, ძეგლისთვის სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებულ მუხლს ემატება ნორმა, რომლის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აუცილებლობის არსებობისას, მთავრობის განკარგულებით ძეგლისთვის სტატუსის მოხსნა დასაშვები ხდება. გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული. ამავე პროექტის გათვალისწინებით, „განსაკუთრებულ შემთხვევებში“ ძეგლისთვის სტატუსის მოხსნის შესაძლებლობა არ ვრცელდება ეროვნული კატეგორიისა და მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილ ძეგლებზე.

საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონში ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელეს და ხელმომწერებისთვის პეტიცია გააკეთეს. განცხადებას „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„ხელმომწერი პირები უარყოფითად ვაფასებთ საკანონმდებლო ორგანოში საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს და მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, მხარი არ დაუჭიროს ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებას, რომლის თანახმადაც ცვლილება შედის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში და შესაძლებელი ხდება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნა ისეთი ბუნდოვან და გაურკვეველ პირობებში, როგორიცაა: განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აუცილებლობის არსებობა.

ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებით არ არის განსაზღვრული, თუ რა იგულისხმება განსაკუთრებულ შემთხვევებში და რა მოიაზრება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აუცილებლობაში. აღნიშნული ორი გარემოება კი გადაწყვეტილების მიღების პროცესში სუბიექტურობის მაღალ საფრთხის შემცველია და შესაძლოა, უარყოფითად აისახოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე.

ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ აღნიშნული კანონპროექტის პარლამენტში განხილვა, პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნების უხეში დარღვევით ხდება. კერძოდ, წამყვანმა, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა კანონპროექტი მისი მიღებიდან მესამე დღეს განიხილა, მაშინ, როდესაც, რეგლამენტის თანახმად, ასეთ მცირე ვადაში კანონპროექტის განხილვა აკრძალულია. ამასთან, კომიტეტმა ინფორმაცია სხდომის შესახებ, სხდომამდე ერთი საათით ადრე გამოაქვეყნა, თუმცა რეგლამენტით ერთი დღით ადრე გამოქვეყნების ვალდებულებაა დადგენილი. ხოლო საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს ინფორმაცია კანონპროექტის განხილვის შესახებ საერთოდ არ გამოუქვეყნებია.

რეგლამენტის აღნიშნულმა დარღვევებმა დაინტერესებულ პირებს ჩამოგვართვა კომიტეტის სხდომაში მონაწილეობის, მოსაზრების გამოთქმისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება. კანონპროექტის გაუმჭვირვალედ განხილვის ფაქტი კი თავისთავად მეტყველებს ამომრჩევლებისა და ზოგადად მოსახლეობის მიმართ ანგარიშვალდებულების დეფიციტზე საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან.

საყურადღებოა, რომ კანონპროექტის თანახმად, ძეგლისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადების უფლება ყველა იმ უწყებას ენიჭება, ვინც საქართველოს მთავრობის წინაშე შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის ინიცირების უფლებით სარგებლობს. აღნიშნულ პირთა წრე კი იმდენად დიდია, რომ პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ამ პროცესის ეფექტურად მართვასა და კონტროლს.

ხელმომწერ პირებს დამაფიქრებლად მიგვაჩნია ის, რომ საკანონმდებლო ცვლილებების ავტორი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროა. ხოლო საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით არ არსებობს შესაბამისი დადებითი დასკვნა. კანონპროექტის მომზადება არ წარმართულა საჯარო დისკუსიების ფონზე და ამ პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ შესაბამისი დარგის გამოცდილ ექსპერტებს და სპეციალისტებს.

როგორც პარლამენტს, ასევე მთავრობას, გვსურს შევახსენოთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა და არა უფლება. ამასთან, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის უმთავრეს მიზანს სწორედ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა წარმოადგენს. შესაბამისად, ყოვლად მიუღებელია იმ ტიპის კანონპროექტის ინიცირება, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნებს არ ემსახურება და არსებითად აუარესებს მის მდგომარეობას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელმომწერები მოვითხოვთ, რომ იმ ფონზე, როდესაც არსებული სამართლებრივი რეგულაციების პირობებშიც კი, ბოლო წლებში რეაბილიტაცია-რესტავრაციის სახელით არაერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობა განადგურდა, ხოლო ძეგლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა არსებითად იცვალა სახე:

საქართველოს პარლამენტმა, მხარი არ დაუჭიროს საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებას და ძალაში დატოვოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ სა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# რა ბედი ელის რაბათის ციხეს?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

პლექსის და ქალაქის განვითარებას არ აპირებენ, ნგრევისგან მიღე შეიაკოზ თავი. დღევანდელი ხელისუფლება ამ ნგრევას სხვადასხვა ტერმინებით და მიზნებით ნიღბავს. მუსულმანებს, რუსებს და კომუნისტებსაც საკმარისი მიზეზები და საბაბები ჰქონდათ, როდესაც ანგრევდნენ. ამას ისინი განახლებას, წარსულისგან გათავისუფლებას და სამართლიანობის აღდგენას არქმევდნენ. ადრე თუ გვიან, დარწმუნებული ვარ, ყველანი მიხვდებით, ისევე, როგორც ევროპელები მიხვდნენ შუა საუკუნეების მიჯნაზე, რომ შეუძლებელია, ნგრევამ სიკეთე და განვითარება მოიტანოს. 21-ე საუკუნეში კონკრეტული შენობების დანგრევით ისტორიის წაშლა შეუძლებელია“, – ნათქვამია ვანო მერაბიშვილის განცხადებაში.

გაითვალისწინებს თუ არა დღევანდელი ხელისუფლება ვანო მერაბიშვილის მოსაზრებებს და შეუნარჩუნებს თუ არა რაბათის ციხეს ოქროსფერ გუმბათს, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. აეროპორტი პარიზში; 2. ავადმყოფური გამონაზარდი ხეზე, კორძი; 3. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 4. პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 5. რომის იმპერატორთა ტიტული; 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 8. კინოსა და თეატრის ქართველი მსახიობი მამაკაცი; 10. გურული სიმღერა; 11. კუთხე საქართველოში; 14. სახელმწიფო ევროპაში; 15. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 16. საფარიკაო სპორტული იარაღი.

**თარაზულად:** 1. „დედინაცვლის ენად“ წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 4. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 7. ქალაქი ბელგიაში; 9. ესპანური სპორტული გაზეთი; 12. შხამიანი გველი; 13. გალექსილი აფორიზმი; 14. ინგლისელი მწერალი დების გვარი; 17. აპკი, რომელიც ფარავს გულმკერდისა და ღრუს კედლებს; 18. წყალშეუვალი მინის სარქველი გემზე; 19. ობიექტურად არსებული სინამდვილე; 20. ინდური კანაფისაგან დამზადებული ნარკოტიკი.

შეადგინა თგოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „გალი“; 2. აჟანი; 3. ცეისი; 5. სოკერი; 6. ჯაბახანა; 9. ციმაყურიძე; 10. „ფოუმიჩნი“; 11. „ნოვარტისი“; 14. სპა; 16. ოსტანი; 18. იგლუ.

**თარაზულად:** 1. გუთანი; 4. „ფასკუნჯი“; 7. კალასი; 8. სვანეთი; 12. ომარი; 13. ასტანა; 15. ემისია; 17. ზრა; 19. კრიპტოგრამა; 20. ზესხო; 21. მუჟუჟი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰიტი; 2. ტარტუ; 3. „იმოლა“; 4. ჰეიგი; 5. ლოკალი; 6. კუზელიკი; 8. ივანიშვილი; 10. დუბროვნიკი; 11. ტარანტინო; 14. კოვბოი; 15. ულლესი; 16. „ტვიში“.

**თარაზულად:** 1. ჰაიტელი; 4. ჰელსინკი; 7. ტიბრი; 9. ვარდი; 12. სორაჯი; 13. ფარმა; 14. კატერი; 17. „ტვისტი“; 18. ღვინობისთვე; 19. „ლიპტონი“; 20. ქიზიყი.

# ტიმოშენკოს და უკრაინის ევროინტეგრაციის ბედი დღეს გადაწყდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

აშშ-ს სენატის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელშიც იყო მოწოდება უკრაინის მთავრობისადმი ექს-პრემიერ იულია ტიმოშჩენკოს გათავისუფლების შესახებ ტიმოშჩენკოს გარემოცვალს 220 ათასი აშშ დოლარი დაუჯდა. ასეთი მონაცემები წარადგინეს აშშ-ს იუსტიციის სამინისტროში.

„უკრაინსკაია პრავდას" ინფორმაციით, აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს უცხოელი აგენტების შესახებ ინფორმაციის გახსნის სისტემაში ხელმისაწვდომია ლობისტური ფირმის ანგარიში, რომელიც იულია ტიმოშჩენკოს ინტერესებს წარმოადგენს.

მასში საუბარია უკრაინელი კლიენტების მიერ გადახდილი ჰონორარების ოდენობაზე და მათ ინტერესებში ჩატარებულ სამუშაოზე. უკრაინის ექსპრემიერის ოჯახის წარმომადგენლად ერთ-ერთი პრესტიჟული კომპანია „ვაილი რეინი" მუშაობს.

ამას გარდა, ტიმოშჩენკოს მაღალჩინოსანი წარმომადგენელი აშშ-ში ასევე არის ექსდეპუტატი ჯიმ სლატერი, რომელიც 1983-1995 წლებში აშშ-ს კონგრესში კანზასის შტატს წარმოადგენდა. ახლა სლატერი „ვაილი რეინში" პარტნიორია, რომელსაც ვაშინგტონის ცენტრში ორი შენობა უკავია. სლატერის ანგარიშით, რომელიც მან აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს გადასცა ნაჩვენებია მისი თანამონაწილეობა აშშ-ს სენატის მიერ ამ რეზოლუციის მიღების საქმეში.

დაწყებული აპრილიდან სლატერს კონტაქტი ჰქონდა სწორედ იმ კონგრესმენებთან რომლებმას ეს დოკუმენტი განსახილველად შეიტანეს. გამოცემა აღნიშნავს, რომ 23 მაისიდან 27 ივნისის ჩათვლით „უაილი რეინის" წარმომადგენლებს სენატორ დურბინის ოფისთან 13 კონტაქტი ჰქონდა. სენატში ასახულებაკდ ეს დოკუმენტი სენატორებმა დიკ დურბინმა ფა ჯეიმს ინხოფმა შეიტანეს.

ამ სამუშაობისათვის „ვაილი რეინმა" ტიმოშჩენკოს ოჯახისგან ნახევარი წლის განმავლობაში 220 ათასი აშშ დოლარი მიიღო. აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტაციის მიხედვით, იულია ტიმოშჩენკოს ქალიშვილმა პირადად 17,5 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა. დანარჩენი ფული კი ჯილდოს სახის ლობისტებს ოფშორული ფირმებიდან გადაერიხათ.

თავის მხრივ, უკრაინის რადას მმართველი რეგიონების პარტიის დეპუტატმა ოლეგ ცარევმა დღეს, პარლამენტის ტრიბუნიდან ამერიკა, შემდგომში უკრაინაში ხელისუფლების დამხობის მიზნით, „რევოლუციონერების" მზადებაში დაადანაშაულა, – წერს უკრაინული მედია.

ცარევის ინფორმაციით, „ამერიკის საელჩოს დახმარებით და უშუალო მონაწილეობით", შესაძლოა, ქვეყანაში სამოქალაქო ომი გაჩაღდეს. დეპუტატს, ამ პროექტის ფარგლებში სემინარების გამართვის შესახებ აქტივისტებმა მოუთხრეს, რომლებმაც სწავლება თავადაც გაიარეს. მათი თქმით, ღონისძიებები, ამერიკის საელჩოს ტერიტორიაზე, თავისუფალი მედიის შესახებ, მეცადინეობის საფარქვეშ ტარდებოდა. ინსტრუქტორები, თითქოს საზოგადოებრივ აზრზე გალენის მოხდენის მიზნით ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებასა და საპროტესტო პოტენციალის გაზრდაზე საუბრობდნენ, ასევე, აჩვენებდნენ როგორ უნდა გამოიყენო სოციალური ქსელები ქუჩის აქციების სამართად.

რადას დეპუტატმა აქტივისტებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ სწავლების მიზანი „უკრაინის ტერიტორიაზე ძალისმიერი აქციების ორგანიზება" იყო. საელჩოში მსგავსი მომზადება 300-მა კაცმა გაიარა, რომლებიც ამჟამად, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მუშაობენ.

პარლამენტარმა სამართალდამცავ ორგანოებს თხოვნით მიმართა – გაარკვიონ, ხომ არ არღვევენ აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლები სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევის დაუშვებლობის შესახებ გაეროს დეკლარაციას.

დეპუტატის პრეტენზიაზე აშშ-ს დიპლომატიური წარმომადგენლობის რეაქცია ჯერჯერობით უცნობია.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ობამამ სენატორებს ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა

აშშ-ის პრეზიდენტმა, ბარკ ობამამ ამერიკელ სენატორებს მოუწოდა, ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციები არ დაწესდეს. „ბი ბი სის" ცნობით, მან შესაბამისი განცხადება ჟურნალ „უოლ სტრიტ ჯორნალის" მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე გააკეთა.

ობამამ ამერიკელ სენატორებს მოუწოდა, ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესების გაგრძელებისგან იმისთვის შეიკავონ თავი, რათა ოფიციალურ თეირანს ბირთვული პროგრამის შესახებ შეთანხმების დასრულების საშუალება მიეცეს.

თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ხელისუფლება გააფრთხილა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ირანთან გარიგება არ შედგება, ეს უკანასკნელი ურანის გამდიდარებას კვლავაც გააგრძელებს.

დღეს ჟენევაში ირანსა და გაეროს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივ წევრს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი და ჩინეთი), ასევე გერმანიას შორის მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი დაიწყება. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი დარწმუნებულია, რომ აზრთა სხვადასხვაობის თავიდან აცილება შესაძლებელი გახდება.

როგორც ცნობილია, დასავლეთი შიშობს რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს, რასაც ირანი კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ბირთვული პროგრამის განვითრება მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება.

რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტი გოლნაზ ესფანდიარი ვაშინგტონიდან იტყობინება, რომ სენატორები განიხილავენ ორ შესაძლებლობას: გაამკაცრონ სანქციები თუ დიპლომატიურ საშუალებებს მისცენ „გზა ფართო", როგორც პრეზიდენტი და ადმინისტრაციის მაღალი წარმომადგენლები ითხოვენ.

– ირანისთვის ახალი სანქციების დაწესების შესაძლო შედეგებზე ბოლო ხანებში სხვადასხვა მოსაზრებებს გაიგონებდით ვაშინგტონში. ერთნი, ისრაელის მომხრე ჯგუფები და „ქორები" კონგრესში, ფიქრობენ, რომ ამ ეტაპზე, ჟენევაში ირანსა და მსოფლიოს ექვს წამყვან ქვეყანას შორის მოლაპარაკების შემდეგი რაუნდის წინ, დასავლეთს უფრო ძლიერი ბერკეტები გაუჩნდება, მეტი ზეწოლა მოახდინოს ირანზე. სხვათა აზრით, ახალი სანქციები დიპლომატიური, მშვიდობიანი გზით მოლაპარაკებას ჩაშლიდა. ჟენევის მოლაპარაკებამდე, „5+1"-ის სახელით ცნობილ შეხვედრამდე, ერთი-ორი დღე რჩება და, როგორც „ფორინ პოლისის" სა-



ხელმწიფო უშიშროების საკითხებში რეპორტიორი ჯონ ჰადსონი ამბობს, დღემდე არაა ცხადი, მიაღწია თუ არა ობამას ადმინისტრაციამ კანონმდებლების დარწმუნებას იმაში, რომ ამ ეტაპზე სანქციებისგან თავის შეკავება ჯობს:

„დიდი სამუშაოს ჩატარება მოგიწევთ სენატის საბანკო კომიტეტთან, რომელიც ირანისთვის ახალი სანქციების დაწესებას გეგმავს. ასეთი სანქციები ნავთობით ვაჭრობის სფეროში წარმომადგენელთა პალატამ უკვე დააწესა. ამდენად, არის საშიშროება, რომ სენატორთა ნაწილი შეეცადოს შესწორებების შეტანას ამ დოკუმენტში, სენატის თავდაცვის უფლების პროექტში".

სენატმა ეს დოკუმენტი უნდა განიხილოს ამ დღეებში, ჟენევის მოლაპარაკების წინ. თუმცა მიმომხილველები მოელიან, რომ დეკემბერამდე ამ დოკუმენტში სანქციების შესახებ პასაჟის დამატებაზე არ იმსჯელებენ. ზოგიერთი რესპუბლიკელი სენატორიც ფიქრობს, რომ პროექტისთვის დამატებული სანქციების ამოქმედება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სამიდან ექვს თვეში, რათა დიპლომატიას მიეცეს განხორციელების შესაძლებლობა. მათ რიცხვში, ვინც დამატებითი სანქციების მომხრეა და მიაჩნია, რომ შეერთებულ შტატებს ამით ახალი ბერკეტები გაუჩნდება, მარკ დაბოვიციცაა, დემოკრატიის დაცვის მკაცრი ხაზის მომხრე ფონდის დირექტორი. ეს ორგანიზაცია უწევდა კონგრესს სანქციების სფეროში კონსულტაციებს. სხვების აზრით, ირანზე დამატებითი ზეწოლა სწორედ მოლაპარაკების დროს მოლაპარაკებებს ჩაშლიდა. სენატის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარე დაიან ფაინსტაინი არ ემხრობა სანქციების დაწესებას მოლაპარაკების პერიოდში. მისი აზრით, ეს კარგ შედეგამდე არ მიგვიყვანს. რესპუბლიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი, ირანში აშშ-ის პოლიტიკის მთავარი კრიტიკოსი, ამბობს, რომ, მიუხედავად თავისი სკეპტიკური დამოკიდებულებისა, მას სურს ადმინისტრაციას მისცეს რამდნიმე თვე, სანამ სანქციებზე იმსჯელებდნენ. სხვა ოთხმა რესპუბლიკელმა სენატორმა 14 ნოემბერს ობამას საგანგებოდ მისწერა წერილი, სადაც ირანის მიმართ სანქციების გამკაცრებას მოითხოვდნენ. პრეზიდენტი ობამა 19 ნოემბერს განუმარტავს სენატორებს თავის პოზიციას და კიდევ ერთხელ აუხსნის მათ, რომ სანამ მოლაპარაკება მიდის, ახალი სანქციების დაწესება მართებული არ იქნება, როგორც ეს მან გასულ კვირაში უკვე თქვა: „თუ ჩვენ სერიოზულად ვუდგებით დიპლომატიური ზომების გატარებას, მაშინ უკვე არსებულ, ძალიან ეფექტიან სანქციებზე ახალი სანქციების დამატება საჭირო არ არის".

ირანელი მიმომხილველი ალირეზა ნადერი ფიქრობს, რომ ახალი სანქციები შეთანხმებას ჩაშლიდა:

„ბოლო რაუნდზე ირანი და ექვსი წამყვანი სახელმწიფო ძალიან ახლოს იყვნენ შეთანხმების ხელმოწერასთან. ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო შეთანხმებასთან ბოლო ათ წელიწადში, ალბათ, ყველაზე ახლოს ვიყავით. ირანმა მოლაპარაკების გზით საკითხის მოგვარების მხრივ სერიოზულობა გამოავლინა. თუ კონგრესი სანქციებს შემოიღებს, ამით გამოჩნდება, რომ აშშ მოლაპარაკებით საკითხის მოგვარებას სერიოზულად არ განიხილავს".

ნადერის აზრით, სანქციებმა ირანი შეიძლება მიიყვანა მოლაპარაკების მაგიდასთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ახალი სანქციები მას მაგიდასთან დატოვებს. 17 ნოემბერს ირანის პარლამენტის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წევრმა ჰოსეინ ასაფარიმ განაცხადა, რომ ირანი დატოვებს მოლაპარაკების მაგიდას, თუ კონგრესი ახალ სანქციებს დააწესებს, – აცხადებს „თავისუფლება".

# ვირჯინიის სენატორი საკუთარმა შვილმა დანით დაჭრა

ვირჯინიის სენატორს, დემოკრატ კრეიგ დიდს საკუთარმა ვაჟმა დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, შემდეგ კი თავი მოიკლა. ამის შესახებ „სქაი ნიუსი" იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკელ სენატორს შვილმა თავისა და მკერდის არეში ჭრილობები მიაყენა. ამ ეტაპზე მისი მდგომარეობა სტაბილურია.

პოლიციის განცხადებით, 24 წლის გას დიდსმა კი თავი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მოიკლა.

„ადგილზე აღმოჩენილი სამხილები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ინციდენტამდე მამა-შვილს შორის კამათი მოხდა", – განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა კორინ გელერმა.

ამასთან, პოლიციამ ამ დრომდე ვერ მოახერხა კრეიგ დიდსის დაკითხვა მისი მდგომარეობიდან გამომდინარე.

სენატორი კრეიგ დიდსი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელია.

პოლიციის განცხადებით, საქმეში სხვა ეჭვმიტანილები არ არიან.

„მამა-შვილს შორის ჩხუბი მოხდა. ამოღებული ნივთმტკიცებები იმის თქმის საუძველს იძლევა, რომ ეს იყო თავდასხმა მკვლელობის მიზნით და თვითმკვლელობა", – განაცხადა ვირჯინიის პოლიციის განყოფილების პრესმდივანმა კორინ გელერმა.

პოლიციის ინფორმაციით, სენატორმა დიდსმა ჭრილობების მიუხედავად, უახლოეს საავტომობილო გზასთან მისვლა შეძლო. ამ დროს ის ბიძაშვილმა შენიშნა და სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოძახა. 55 წლის სენატორი თვითმფრინავით საავადმყოფოში გადაიყვანეს. სენატორმა პოლიციასთან საუბარი შეძლო.



ერთ-ერთი გაზეთის ინფორმაციით, გას დიდსმა ორშაბათს, ადგილობრივ საავადმყოფოში ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმება გაიარა, თუმცა, თავისუფალი ადგილების არ არსებობს გამო, მისი ჰოსპიტალიზაცია არ მოხდა. გას დიდსი მუსიკალურ კოლეჯში კარგად სწავლობდა, მაგრამ, გაურკვეველი მიზეზების გამო, ოქტომბრეში სასწავლებელი მიატოვა.

# სამგლოვიარო განცხადებები

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს" საბურთალოს რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი

**ჯული ონიანი**

ქალბატონი ჯული იყო გულისხმიერი, გაწონასწორებული, თბილი, სამართლიანი, მიზანდასახული და საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი.

სამართლიანობის აღდგენა და საქართველოს გამთლიანება მის განუხორციელებელ მიზნად დარჩა.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, 14.00 საათზე.

მისამართი: ქ.თბილისი, დოლიძის ქ. 25, I სადარბაზო, VI სართული (16 სართულიანი).

გამოსვენება: წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიიდან (ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს გვერდით).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# კულტურის სამინისტროს არასამთავრობოები მიმართავენ

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ქართველოს კანონში არსებული მოქმედი ის ნორმა, რომელიც ძეგლისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე შესაბამის რეგულაციებს ითვალისწინებს;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ღიად დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით და საზოგადოებას მიაწოდონ სრული ინფორმაცია, თუ რამდენად სერიოზული საფრთხეების შემცველია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის დამტკიცება;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განუმარტოს საზოგადოებას, თუ კონკრეტულად რა ინტერესები დევს აღნიშნული კანონპროექტის მომზადების მიღმა და სინამდვილეში რა იგულისხმება კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნული „საზოგადოებრივი მნიშვნელობის გარკვეული შემთხვევების" უკან.

ამასთან, მოვუწოდებთ ყველა შესაბამის უწყებას, რომ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობის და მითუმეტეს საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების დროს, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობას ეხება, მაქსიმალურად უზრუნველყონ საზოგადოების შესაბამისი ჯგუფების ჩართულობა და ხელი შეუწყონ ამ ტიპის პროცესების საჯაროდ წარმართვას", – წერია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ტფილისის ჰამქარი, იკომოს საქართველო, ასოციაცია მწვანე ალტერნატივა, საზოგადოება ბათომი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი, იდენტობა, საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტი, ლგბტ საქართველო, საინფორმაციო ცენტრების ქსელი, წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი-ბათუმი. განცხადება ღიაა ხელმოსაწერად, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, ისე კერძო პირებისთვის.

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 21 ნოემბერი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**ბანზაი**" **17.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** ტ/სერ. "**მაფიოზი**" **23.30** "უცნობი მუსიკა" **01.00** მხ/ფ "**ყველასათვის ჩემპიონი**" (ჯ.ლენგი)

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ბრიუსელი" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო"

**06.45** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **10.05** სერ. "**ცივი გული**" **11.20, 12.05** სერ. "**სიყვარულის საფრთხე**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** კაცების შოუ **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" **01.00** მხ/ფ "**დედის ნებიერა**" (მ.დილონი) (ტიტ.)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **18.50, 19.50** სერ. "**ტიტების დრო**" **22.00** პროფილი (**1** სარეკლამო ჭრა) **00.00** სერ. "**ექიმი ჰაუსი**". **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.)

**06.15** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** მხ/ფ "**საბრალონი**" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.45** დოკ/ფ "ქართული სამკაულის ოსტატები" **11.15** ეთნოგრაფია **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**გლახის ნაამბობი**" **13.20** ქართული მულტფილმი **14.00** ქართული კინოს ოსტატები - სანდრო ჟორჟოლიანი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** ეთნოგრაფია **16.10** კონცერტი -ლიანა ისაკაძე (ბათუმი **2011**) **18.10** აქტუალური თემა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**დაგვიანებული სასიძო**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** მთავარანგელოზობა **22.35** მოკ/ფ "**შნო**" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ზღვარზე" გად. **V 00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ნისლების სანაპირო**"

მაესტრო **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო" 12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე". 23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 ნოემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6757

ევრო — 2,2642

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6997

100 რუსული რუბლი — 5,1456

## ამინდის პროგნოზი 21 ნოემბრისთვის




## ტიმოშენკოს და უკრაინის ევროინტეგრაციის ბედი დღეს გადაწყდება



უკრაინელმა დეპუტატებმა ყოფილი პრემიერის იულია ტიმოშენკოს საზღვარგარეთ გაშვების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ. თუ დეპუტატები ამ საკითხთან დაკავშირებით შეთანხმებას ვერ მოახერხებენ, ევროკავშირის სულ მცირე სამი ქვეყანა (გერმანია, ნიდერლანდები და შვედეთი) უკრაინასთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას მხარს არ დაუჭერს. შესაბამისად, შეთანხმება ჩაიშლება, რადგან ევროკავშირი მსგავს გადაწყვეტილებებს კონსესუსის წესით იღებს. შეგახსენებთ რომ ევროკავშირსა და უკრაინას შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე იგეგმება, რომელიც 28-29 ნოემბერს ვილნიუსში გაიმართება.

სამშაბათს ოპოზიცია და საპარლამენტო უმრავლესობა მხოლოდ ტიმოშენკოს სამკურნალოდ გაშვების ვადებზე შეთანხმდნენ. სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრები აცხადებენ, რომ ერთობლივი პროექტის მიღების იმედი გადაეწურათ.

როგორც ცნობილია, ევროკავშირის წარმომადგენლებმა უკვე რამდენჯერმე აღნიშნეს, რომ ტიმოშენკო საკითხის მოგვარების გარეშე უკრაინასთან შეთანხმების დადება ვერ მოხდება.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა უკვე განაცხადა, რომ უკრაინა არაა მზად შეასრულოს ევროკავშირის მიერ წამოყენებული ყველა მოთხოვნა. „დღეს უნდა გითხრათ, რომ ჯერჯერობით არ ჩანს უკრაინის მზადყოფნა, შექმნას ხელმოწერისთვის საჭირო წინაპირობები“, — განაცხადა მერკელმა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 21 ნოემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**ვერძი** — ფული გაქვთ, საჩუქრებიც გექნებათ. **კურო** — კარგ ამბავს გაიგებთ და გაგიხარდებათ. **ტყუპები** — თქვენი საქმე კარგად მიდის, გახარებული ხართ. **კირჩხიბი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ფულიც გექნებათ. **ლომი** — სიტუაცია გამოსწორდება, ბედს ეწევით. **ქალწული** — გზიდან ამანათს მიიღებთ, ძალიან მოგეწონებათ. **სასწორი** — თოვლის ბაბუა თქვენთვის არსებობს. **ღრიანკალი** — გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, გელით სხვა სიახლეც. **მშვილდოსანი** — ცხოვრება რადიკალურად გეცვლებათ. **თხის რქა** — დასვენება და გართობა გჭირდებათ. **მერწყული** — ახალი პროექტი სიმდიდრეს მოგიტანთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ მეგობრების რჩევას, გამოგადგებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. „კლდის ვეფხვად“ წოდებული ქართველი ალპინისტი; 2. უმცროსი მატროსი გემზე; 3. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 4. უბანი თბილისში; 7. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 9. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 12. ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რაიმეს შეფასების ან კლასიფიკაციისთვის; 14. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 15. უძველესი ქართული დამწერლობა; 17. საზეიმო ხასიათის დიდი ვოკალურ-ინსტრუმენტალური მუსიკალური ნაწარმოები; 18. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში.

**თარაზულად:** 5. ტემპერატურის შკალის გამომგონებელი შვედი ასტროფიზიკოსი; 6. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის“ კომპოზიტორი; 10. უბანი სოხუმში; 11. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 13. ფიფას პრეზიდენტი; 16. ბატონის მიერ ეკლესიისათვის გადაცემული ყმა ფეოდალურ საქართველოში; 18. ბეჭედში ან ბროშში ჩასმული ორნამენტიანი თლილი ქვა; 19. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 21. უმწიკვლო, უზადო, უბიწო; 22. წითელი, წვნიანი მარცვლების მქონე მაგარმერქნიანი ხილი; 23. ბუდიზმის ფუძემდებელი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა



## რამაზ ჩხიკვაძეს ძეგლი დაუდგეს

9 აპრილის ბაღში ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავის რამაზ ჩხიკვაძის ძეგლი გაიხსნა. მისი ავტორი რუსეთში მოღვაწე ქართველი მოქანდაკე ზურაბ წერეთელია. მან რამაზ ჩხიკვაძე აზდაკის როლში გამოაქანდაკა. ეს როლი მსახიობმა რობერტ სტურუას გახმაურებულ სპექტაკლში „კავკასიურ ცარცის წრეში“ შეასრულა.

რამაზ ჩხიკვაძის აზდაკის ძეგლის გახსნას 9 აპრილის ბაღში მისი ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები, მსახიობის შემოქმედების თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ ბიძინა ივანიშვილი მეუღლესთან ერთად და გიგი უგულავაც.

რამაზ ჩხიკვაძე ორი წლის წინ, 83 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ქართველი მსახიობი თეატრალური ინსტიტუტის დასრულებისთანავე რუსთაველის თეატრში მივიდა სამუშაოდ და სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. მიხეილ თუმანიშვილის მოწაფემ რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუასთან ერთად მთელი ეპოქა შექმნა. როგორც თეატრმცოდნეები აღნიშნავენ, მსახიობის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მკაფიო ინდივიდუალობა, თვითმყოფობა, დიდი შემოქმედებითი ფანტაზია, იმპროვიზაციისა და გარდასახვის ოსტატობა.



რუსთაველის თეატრში მოღვაწეობის პერიოდში რამაზ ჩხიკვაძემ შექმნა როლები ლეანდრო („ესპანელი მღვდელი“), ვეფხია გაბიდაური („ამბავი სიყვარულისა“), ქოსა მრჩეველი („ჭინჭრაქა“), მაქჰითი („სამგროშიანი ოპერა“), თედო („ბებერი მეზურნეები“), ფადინარი („ჩალის ქუდი“), აკოფა („ხანუმა“), კირილე მიმინოშვილი („სამანიშვილის დედინაცვალი“), შოშია („საბრალდებო დასკვნა“), ყვარყვარე („ყვარყვარე“), აზდაკი („კავკასიური ცარცის წრე“), რიჩარდ მესამე („რიჩარდ მესამე“), მოხუცი რეჟისორი („ვარიაციები თანამედროვე თემაზე“). ამ როლებმა რამაზ ჩხიკვაძეს დიდი პოპულარობა და მსოფლიო აღიარება მოუპოვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მის მიერ კინოში შესრულებული როლები. მისი კინოდებიუტი შედგა ფილმში „ჭრიჭინა“, რომელსაც მოჰყვა „ლონდრე“, „ჩირიკი და ჩიკიტელა“, „ნატვრის ხე“, „ნერგები“, „ვერის უბნის მელოდიები“, „სიყვარული, ხანძარი და პომპიერო“, „რაჭა, ჩემი სიყვარული“, „თეთრი ბაირაღები“, „შეყვარებული კულინარის ათას ერთი რეცეპტი“. ბოლო ფილმი მსახიობის მონაწილეობით აღმოჩნდა მერაბ კოკოჩაშვილის „სახლი სიხარულისა“, რომელიც „ქეთო და კოტეს“ მოტივებზეა. ფილმი დოკუმენტურია: ორკესტრანტები ინსტრუმენტებს აწყობენ, მზადდება სცენა საოპერო სპექტაკლისთვის „ქეთო და კოტე“. კინოს გადასაღებ, უზარმაზარ ნახევრად დანგრეულ პავილიონში მსახიობები რამაზ ჩხიკვაძე და ოთარ კობერიძე კინოფილმ „ქეთო და კოტეს“ გადაღების ეპიზოდებს იხსენებენ. ეკრანზე ჩნდება ფრაგმენტები ფილმიდან. ასე იწყება დოკუმენტური ფილმი ვახტანგ ტაბლიაშვილისა და შალვა გედევანიშვილის უკვდავი ფილმის „ქეთო და კოტეს“ შესახებ, რომელიც ქართველმა კინემატოგრაფისტებმა XX საუკუნის საუკეთესო ქართულ ფილმად აღიარეს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## პატრიკ ჰიკის მადლობა ოლიმპიურ კომიტეტს

საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი, რომელმაც საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს სამადლობელი წერილი გამოუგზავნა.



**პატრიკ ჰიკი:**

— უპირველეს ყოვლისა, ნება მომეცით მადლობა მოგახსენოთ იმ საოცარი მასპინძლობისთვის, რაც გამიწიეთ თბილისში ჩემი მოკლევადიანი ვიზიტის პერიოდში. ნამდვილად სასიამოვნოა ის, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ასეთ პროგრესს განიცდის და თქვენ მართლაც შეგიძლიათ იამაყოთ ოლიმპიური კომიტეტის ახალი შტაბბინით.

აღსანიშნავია იმ საქმიანი შეხვედრების უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც პრემიერ-მინისტრთან და მაღალი რანგის სხვა ხელმძღვანელებთან გვქონდა ამ ვიზიტის ფარგლებში. ჩვენ დავინახეთ ის დიდი ძალისხმევა და ყურადღება, რაც ვლინდება თბილისი 2015 ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადების პროცესში. ვიმედოვნებ, ყველა მხარე კარგად აცნობიერებს ჩვენს გზავნილს, რომ აუცილებელია გვერდზე გადაიდოს მათი პოლიტიკური შეხედულებები, რათა თბილისი და მთლიანად საქართველო მომავალ თამაშებზე წარმოჩნდეს ყველაზე პოზიტიური კუთხით, რაც ქალაქისა და ქვეყნის ინტერესებშია.

ვფიქრობ, დიდი მუშაობაა ჩასატარებელი ამ კუთხით, ხოლო ევროპის ოლიმპიური კომიტეტები კი ნებისმიერ დროს მზად არის ნებისმიერი დახმარების გასაწევად. გვიდო და მისი გუნდი თქვენს სამსახურშია და გთხოვთ თავისუფლად მიმართოთ მათ, როდესაც ამის საჭიროება იქნება.

მოუთმენლად ველი თქვენთან შეხვედრას რომში ამ თვეში.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## რა ბედი ელის რაბათის ციხეს?

— რა ბედი ელის რაბათის ციხეს? — ამ კითხვით ჟურნალისტებმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს გურამ ოდიშარიას წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე მიმართეს.

როგორც შეხვედრაზე გურამ ოდიშარიამ განაცხადა, რაბათის ციხეზე შესაძლოა, გუმბათის ფერი და გისოსები შეიცვალოს:



— რაბათის ციხეზე შესაძლოა, გუმბათის ფერი და გისოსები შეიცვალოს. რაბათის ციხის რესტავრაციის პროცესში თურქი სპეციალისტები ითხოვდნენ, რომ გუმბათი ოქროსფრად არ შეღებილიყო. ისტორიული გისოსები ჩანაცვლდა მოგვირისტებული, ჩახლართული გისოსებით, რომელიც ამ არქიტექტურისთვის დამახასიათებელი არ არის. თურქული მხარის შენიშვნები უმტკივნეულოა და მათი გათვალისწინება სირთულეს არ წარმოადგენს. თურქი ექსპერტები ვითარებას ადგილზე მოინახულებენ. საქართველო დაინტერესებულია, რომ სწორად აღადგინონ იშხანი, შემდეგ ოშკი და ზარზმა. ამიტომ საქართველომაც სწორად უნდა აღადგინოს ის კულტურული ძეგლი, რომელიც საქართველოსა და თურქეთის ზიარია.

რაბათის ციხესთან დაკავშირებით, საგანგებო განცხადება გაავრცელა შინაგან საქმეთა ექს-მინისტრმა და ყოფილმა პრემიერმა ვანო მერაბიშვილმა. წერილს „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ დღევანდელი მთავრობა კვლავაც გეგმავს ახალციხეში „რაბათის ციხის“ ოქროსფერი გუმბათის დემონტაჟს. ეს ოქროს გუმბათი არ არის რომელიმე ერთი ცალკეული შენობის გუმბათი. ეს არის მთელი კომპლექსის და უფრო მეტიც, ახალი კონცეფციის — ქართული იერუსალიმის გვირგვინი. ახალციხეში ერთდროულად არასდროს ფუნქციონირებდა ყველა ის დაწესებულება, რომლის თავმოყრაც ახლა, ჩვენს დროს მოხერხდა. ერთ ადგილას თავმოყრილია განახლებული მეჩეთი, მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები. იგეგმებოდა იქვე მდებარე სინაგოგის რესტავრაცია და განახლებული ქუჩებითა და შენობებით ამ ყველაფრის ერთმანეთთან, ერთ კომპლექსში გაერთიანება. ამ ყველაფერს ახალციხის, სამცხე-ჯავახეთის და იქ მცხოვრები ადამიანების განვითარება, დასაქმება და პერსპექტივა უნდა მოეტანა. ყველაფერ ამის სიმბოლოს სწორედ ეს ოქროს გვირგვინი წარმოადგენდა. ახალციხეს, როგორც მესხეთის დედაქალაქს, ბევრი ნგრევა აქვს ნანახი. ახალციხეზე ყოველთვის გადიოდა ისტორიული დაპირისპირების ფრონტი. მე-8 საუკუნიდან ეს მხარე და ეს ქალაქი მოწინავე კულტურული და რელიგიური ცენტრი იყო. მე-16 საუკუნეში აქ ისლამი გაბატონდა. გადაწყდა, წაშლილიყო ქრისტიანული კვალი ახალციხეში, ეკლესიები მეჩეთებად გადაკეთდა, ხოლო თავად ციხე ტყვეთა სავაჭრო ადგილად აქციეს. ის ხალხი, ვინც მაშინ ეკლესიებს ანგრევდა, უცხოელი დამპყრობლები არ ყოფილან. ისინიც გამაჰმადიანებული ქართველები იყვნენ. მოგვიანებით ახალციხე რუსული იმპერიის ნაწილი გახდა. და კიდევ ერთხელ, ამჯერად რუსული იმპერიის სამსახურში მყოფი ქართველების ხელით, ისლამის კვალის წასაშლელად მეჩეთები ეკლესიებად გადააკეთეს. მოგვიანებით კომუნისტები დაეუფლნენ ამ მხარეს და მათაც დაიწყეს წარსულის კვალის წაშლა. არაერთგზის დანგრეული და გადაკეთებული ეკლესიები დახურეს და ციხის ტერიტორიაზე სამხედრო ჰოსპიტალი განათავსეს. ესეც ძველის სიძულვილით კეთდებოდა და ვინც ამას აკეთებდა, ისინიც ქართველები იყვნენ — ქართველები, რომელთაც სძულდათ წარსული და მისი წაშლა ჰქონდათ განზრახული. დღესაც იგივე მეორდება. ისევ ქართველები, ჩვენი ზიზღით, ჩვენი კვალის წასაშლელად, ჩვენს ჯინაზე ანადგურებენ რაბათს. ჯერ იქ განთავსებული ობიექტები მიზანმიმართულად დახურეს. ახლა კი კომპლექსის მთავარი სიმბოლოს დემონტაჟი განიზრახეს.

მოვუწოდებ ხელისუფლებას, თუ ამ კომ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე